

პროექტის ციკლის მართვის (პცმ) სახელმძღვანელო

ახალი შესწორებული ვარიანტი

2019 წლის იანვარი

აღნიშნული ნაშრომი მომზადებულია კომპანია ეპტისას მიერ, მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ-ის) კონტრაქტის თანახმად, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტისთვის

აბრევიატურების ჩამონათვალი

CEGSTAR	ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი
კგა	კრიტიკული გზის ანალიზი
სმ	საქართველოს მთავრობა
გსა	განხორციელების საბოლოო ანგარიში
პსეა	პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიში
ლსა	ლოგიკურ-სტრუქტურული ანალიზი/მიდგომა
ლსმ	ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა
ლსმ	ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა
ათ	ადგილობრივი თვითმმართველობა
მგფ	მუნიციპალური განვითარების ფონდი
მ და შ	მონიტორინგი და შეფასება
რგის	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
სა	სამუშაო ადგილზე
ოშმ	ობიექტურად შემოწმებადი მაჩვენებლები
შ და პ	შეკითხვები და პასუხები
პცმ	პროექტის ციკლის მართვა
პგბ	პროექტის განმარტებითი ბარათი
პგგ	პროექტის განხორციელების გეგმა
პმ	პროექტის მართვა
პმიცო	პროექტის მართვის ინსტიტუტის ცოდნის ორგანო
სწდ	საპროექტო წინადადების დოკუმენტი
სკპ	საჯარო-კერძო პარტნიორობა
მშა	მდგრადობის შეფასების ანგარიში
შგთს	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
რმიგმპ	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
მსშს	ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები
ტდ	ტექნიკური დავალება
სპსპ	სწავლებაზე პასუხისმგებელი პირების სწავლება
მბ	მსოფლიო ბანკი
სდს	სამუშაოს დაშლის სტრუქტურა

სარჩევი

ანგარიშის მოკლე შინაარსი	5
ამ სახელმძღვანელოს დანიშნულება	6
შესავალი	6
რა არის პროექტი?	6
რა არის პროექტის ციკლის მართვა (პცმ)?	7
პცმ-ის ხუთი ძირითადი ეტაპი	7
ინფრასტრუქტურული პროექტის ციკლი	13
ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა	15
თავი 1: სიტუაციური ანალიზის ეტაპი	16
1.1 მსშს (SWOT) ანალიზი	17
თავი 2: პროექტის გამოვლენის ეტაპი	18
2.1 დაინტერესებული მხარეების საჭიროებების ანალიზი	21
2.2 პრობლემების ანალიზი	23
2.3 მიზნების ანალიზი	25
2.4 ლოგიკურ-სტრუქტურული ანალიზი	26
2.4.1 ლოგიკურ-სტრუქტურული ანალიზის ძირითადი ტერმინები	26
2.4.2 ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის შევსება	27
2.4.3 დაშვებები და რისკები	31
2.4.4 მაჩვენებლები	33
2.4.5 რაოდენობრივი მაჩვენებლები ხარისხობრივი მაჩვენებლების პირისპირ	33
2.5 პროექტის განმარტებითი ბარათი (პგბ)	34
თავი 3: პროექტის ფორმულირების, შეფასებისა და დამტკიცების ეტაპი	36
3.1 პროექტის სიცოცხლისუნარიანობის კვლევა	31
3.2 ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება	31
3.3 შეფასება	32
3.4 დაპროექტების ტექნიკური დავალება	32
თავი 4: პროექტის განხორციელება, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპის ჩათვლით. 35	
4.1 პროექტის საქმიანობა და რესურსების დაგეგმვა	37
4.1.1 პროექტის განხორციელების დაწყება	37
4.1.2 სამუშაოს დაგეგმვა: საქმიანობის კალენდარული გრაფიკი	37
4.2 პროექტის მონიტორინგი	39
4.2.1 მონიტორინგის ინსტრუმენტები და მონიტორინგის პროცესი	40
თავი 5: პროექტის შეფასების ეტაპი	47
5.1 შეფასების ძირითადი ტიპები	49
5.2 ზემოქმედება და მდგრადობა	49
5.3 შეფასების პროცესი	50
დანართების ჩამონათვალი	53

სურათების ჩამონათვალი

სურათი 1 პცმ-ის ციკლი.....	8
სურათი 2 „პრობლემების ხე“	24
სურათი 3 საწყისი პრობლემა	24
სურათი 4 „მიზნების ხე“	25
სურათი 5 ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომის ლოგიკა	28
სურათი 6 „ზიგზაგური ლოგიკა“	32
სურათი 7 პროექტის დაგეგმვის პროცესი.....	35
სურათი 8 განტის დიაგრამის მაგალითი	39
სურათი 9 განხორციელება და მონიტორინგი.....	48
სურათი 10 მდგრადობის დინამიური მოდელი.....	52

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 ინფრასტრუქტურული პროექტის ციკლი	14
ცხრილი 2 ანალიზის დაგეგმვა	15
ცხრილი 3 ინსტრუმენტების სია სიტუაციური ანალიზისათვის	17
ცხრილი 4 პროექტის გამოვლენის ინსტრუმენტების ჩამონათვალი	20
ცხრილი 5 დაინტერესებული მხარეების ანალიზის მაგალითი	22
ცხრილი 6 ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის ძირითადი ელემენტები	28
ცხრილი 7 ლოგიკურ-სტრუქტურული ცხრილის ნაბიჯ-ნაბიჯ შევსება	29
ცხრილი 8 პროექტის დაგეგმვის მატრიცის მაგალითი	31
ცხრილი 9 პცმ პროექტის მაჩვენებლები.....	34
ცხრილი 10 პროექტის განმარტებითი ბარათის (პგბ) ძირითადი პარაგრაფები	35
ცხრილი 11 პროექტის მართვის ინსტრუმენტები.....	30
ცხრილი 12 პროექტის სიცოცხლისუნარიანობის კვლევის ძირითადი პარაგრაფები.....	31
ცხრილი 13 პროექტის ტექნიკუ-ეკონომიკური დასაბუთების ძირითადი პარაგრაფები.....	32
ცხრილი 14 პროექტის ტექნიკური დავალების ძირითადი პარაგრაფები.....	34
ცხრილი 15 პროექტის მიმოხილვა	41
ცხრილი 16 მონიტორინგის ინსტრუმენტები.....	44
ცხრილი 17 პროექტის მართვის სტანდარტული ინსტრუმენტები	45
ცხრილი 18 პროექტის განხორციელების ეტაპის ინსტრუმენტები	46
ცხრილი 19 შეფასება და მონიტორინგი.....	48

ანგარიშის მოკლე შინაარსი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის მე-2 კომპონენტი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარებაზეა ორიენტირებული, ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.

ამ კონტექსტში, პროექტის ციკლის მართვის (პცმ) პროექტის ძირითადი მიზანი ადგილობრივ თვითმმართველობებში საბაზისო პროექტის ციკლის მართვის (პცმ) სისტემებისა და პროცედურების ჩამოყალიბებაა, ისევე როგორც კვალიფიციური პერსონალის ყოლა, რომლებსაც პცმ სისტემების ოპერირება შეეძლებათ.

ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი საქმიანობა პცმ მეთოდებში ადგილობრივი თვითმმართველობების პერსონალის სწავლებას, ისევე როგორც პრაქტიკული სწავლებების ჩატარებას მოიცავს.

სხვა საქმიანობა ისეთი ინსტრუმენტების შემუშავებას და დანერგვას გულისხმობს, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობებს სწავლებების დროს შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენებაში დაეხმარებათ. ეს ინსტრუმენტები პცმ სისტემის კომპონენტებს წარმოადგენენ, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობებში პროექტის მიმდინარეობისას დაინერგება.

ამ ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი **პცმ სახელმძღვანელოა**, რომლის მიზანიც ადგილობრივი თვითმმართველობების პერსონალისთვის პროექტის ციკლის მართვის გამოყენების ინსტრუქციის უზრუნველყოფაა, როგორც სწავლებების დროს, ასევე, პრაქტიკული სწავლებების ეტაპზე.

აღნიშნული სახელმძღვანელო პცმ-ის ხუთივე ეტაპის ძირითად ელემენტებს მოიცავს, კერძოდ:

- I. პროექტის სიტუაციური ანალიზი;
- II. პროექტის გამოვლენა;
- III. პროექტის ფორმულირება, ექსპერტიზა და დაგეგმვა;
- IV. პროექტის განხორციელება და მონიტორინგი;
- V. პროექტის შეფასება;

სახელმძღვანელო იმ ძირითად ინსტრუმენტებს აღწერს, რომლებიც პცმ-ის თანმიმდევრული ეტაპების ფარგლებში გამოიყენება - დაინტერესებული მხარეების ანალიზი, „პრობლემების ხის“ მომზადების ეტაპი, „მიზნების ხე“ (ეტაპი I), სამუშაოს კალენდარული გრაფიკი (ეტაპი IV) და ა.შ.

ამ სახელმძღვანელოს დანიშნულება

ამ სახელმძღვანელოს დანიშნულება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარებაა, რათა მათ საკუთარი პროექტების მომზადებაში, განხორციელებასა და მართვაში პროექტის ციკლის მართვის (პცმ) მიდგომა გამოიყენონ.

ეს სახელმძღვანელო პროექტის ციკლის მართვაში (პცმ) გამოყენებულ ძირითად ინსტრუმენტებსა და მეთოდებს მოიცავს, კონკრეტული აქცენტის გაკეთებით ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ციკლზე. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი აქცენტი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაკეთდება, იგივე მეთოდები და მიდგომები ყველა დარგის პროექტების გამოვლენის, დაგეგმვის და განხორციელების პროცესში შეგვიძლია გამოვიყენოთ.

აღნიშნული სახელმძღვანელო პროექტის ციკლის მართვის ძირითად პრინციპებზე ადგილობრივი თვითმმართველობების ცოდნის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, მათთვის დახმარების გაწევით პროექტის მართვის ყოველდღიურ ამოცანებში ამ მიდგომის გამოყენების და პროექტის ციკლის თითოეული ეტაპისთვის მაღალხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების კუთხით.

ძირითადი მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობების პერსონალის შესაძლებლობების გაზრდაა, რათა მათ გამოავლინონ, დაგეგმონ და უფრო მაღალხარისხიანი და შედეგებზე ორიენტირებული პროექტები მოამზადონ.

პცმ სახელმძღვანელოს არსებული ვარიანტი შესავალ ვერსიად უნდა ჩაითვალოს, რომელიც პცმ პროექტის ფარგლებში განხორციელებული სწავლების საქმიანობების საფუძველს უზრუნველყოფს. თითოეული სწავლების ჩატარების შემდეგ მოხდება სახელმძღვანელოს განახლება უწყვეტ რეჟიმში და მასში გათვალისწინებული იქნება მონაწილეთა მხრიდან მიღებული კონკრეტული უკუკავშირება, ასევე დაემატება სწავლებების დროს გამოყენებული დოკუმენტაცია.

შესავალი

რა არის პროექტი?

პროექტი იმ საქმიანობების ნაკრებია, რომლებიც წინასწარ დადგენილი დროის პერიოდში და კონკრეტული ბიუჯეტის ფარგლებში, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის მიღწევას ემსახურება.

პროექტები ზომის, მასშტაბის, ხარჯებისა და დროის მიხედვით განსხვავდებიან, მაგრამ ყველა მათგანს შემდეგი მახასიათებლები აქვს:

- ✓ დაწყების და დასრულების თარიღები;
- ✓ სასიცოცხლო ციკლი, რომელიც დაწყებასა და დასრულებას შორის ეტაპებს მოიცავს;
- ✓ ბიუჯეტი;
- ✓ საქმიანობების ნაკრები, რომლებიც თანმიმდევრული, უნიკალური და არა-განმეორებადია;
- ✓ რესურსების გამოყენება, რომელსაც კოორდინაცია შეიძლება დასჭირდეს;
- ✓ ცენტრალიზებული პასუხისმგებლობები მართვისა და განხორციელებისთვის;

- ✓ პროექტში მონაწილე მხარეებისთვის განსაზღვრული ფუნქციები და ურთიერთობები;
- ✓ მკაფიოდ განსაზღვრული დაინტერესებული მხარეები, პირველადი სამიზნე ჯგუფის და საბოლოო მოსარგებლე პირების ჩათვლით;
- ✓ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა (შესრულების მართვის მხარდასაჭერად); და
- ✓ ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის სათანადო დონე, რომელიც აჩვენებს, რომ პროექტის სარგებელი მის დანახარჯებს აღემატება.

რა არის პროექტის ციკლის მართვა (პცმ)?

პროექტის ციკლის მართვა (პცმ) ის ტერმინია, რომელიც პროექტის სასიცოცხლო ციკლის დროს გამოყენებული მართვის საქმიანობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების აღწერისთვის გამოიყენება.

ის მართვის მიდგომაა, რომლის გამოყენებაც ადგილობრივ თვითმმართველობებს პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში შეუძლიათ. ის ინსტრუმენტების ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენს, რომელიც პროექტების, ან პროგრამების გამოვლენასთან, წამოწყებასთან, დაგეგმვასთან, განხორციელებასთან, მართვასთან და შეფასებასთან არის დაკავშირებული.

პცმ პროექტის განხორციელების პროცესში შესასრულებელი ამოცანებისა და ფუნქციების გააზრებასა და განსაზღვრაში გვებმარება. ის ასევე პროექტის მიმდინარეობისას მართვის საქმიანობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს ხელმძღვანელობს.

პროექტების დაგეგმვისა და მართვის პროცესი შესაძლებელია ციკლის სახით წარმოვაჩინოთ. პროექტის თითოეულ ეტაპს შემდგომი ეტაპი მოჰყვება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ციკლის რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, თითოეული მათგანი ქვემოთ აღნიშნულ ძირითად ეტაპებს მოიცავენ:

პცმ-ის ხუთი ძირითადი ეტაპი

- I. პროექტის სიტუაციური ანალიზის (პროგრამირების) ეტაპი;
- II. პროექტის გამოვლენის ეტაპი;
- III. პროექტის ფორმულირების, შეფასებისა და დაგეგმვის ეტაპი;
- IV. პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპი;
- V. პროექტის შეფასების ეტაპი;

გარკვეული განმარტებები


- ✓ **რესურსები:** ფიზიკური და არაფიზიკური რესურსები, რომლებიც დაგეგმილი საქმიანობის შესასრულებლად და პროექტის სამართავად არის საჭირო;
- ✓ **რეზულტატები:** საქმიანობის უშუალო პროდუქტები;
- ✓ **შედეგები:** ხელშესახები პროდუქტი/მომსახურება, რომელსაც საქმიანობების განხორციელების შედეგად ვიღებთ;
- ✓ **ზეგავლენა:** პროექტის ზეგავლენა მის ფართო გარემოზე და მისი წვლილი ფართო დარგობრივი მიზნების მიღწევაში, რომლებიც პროექტის ძირითად მიზანში არის შეჯამებული, ისევე როგორც პროექტის ზეგავლენა ზემდგომი პოლიტიკის მიზნების მიღწევაში;

პროექტის მართვის ტერმინოლოგიის ლექსიკონი პცმ სახელმძღვანელოს XI დანართშია მოცემული.

დაფუძნებულია პცმ ინსტრუქციებზე, ევროპის კომისია, 2004 წლის მარტი

პროექტის ციკლის მართვის 5 ფაზა

სურათი 1 პცმ-ის ციკლი (წყარო: პცმ ინსტრუქცია, ევროპის კომისია, 2004 წლის მარტი)



I. სიტუაციური ანალიზის ეტაპი

აყალიბებს კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც პროექტების გამოვლენა, შემუშავება და განხორციელება ხდება. ის შეიძლება ეყრდნობოდეს ეროვნულ ან ადგილობრივ სტრატეგიებს, კონკრეტული სექტორის გეგმებს, რეგიონული, ან ადგილობრივი განვითარების გეგმებს. პროგრამის შემუშავება ეროვნულ, ადგილობრივ, ან დარგობრივ დონეზე არსებული მდგომარეობის პრობლემებისა და შესაძლებლობების გამოვლენისგან შედგება.

ეს ეტაპი იმ ცვლილების განსაზღვრებას მოიცავს, რომელიც გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უნდა განხორციელდეს.

- **პროგრამის შემუშავებისა და სიტუაციური ანალიზის ეტაპისთვის საჭირო ინფორმაცია:** ეს ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ეროვნულ პოლიტიკასა და სტრატეგიებს, რეგიონულ და მუნიციპალურ პროგრამებს, სტრატეგიებსა და განვითარების გეგმებს, დარგის შეფასების კვლევებს, დარგობრივ გეგმებსა და სტრატეგიებს, პოლიტიკისა და სტრატეგიის შეფასების დოკუმენტებს, შემთხვევების ანალიზს და ეკონომიკურ, ფინანსურ, სოციალურ, ინსტიტუციონალურ და გარემოს ანალიზს.

II. გამოვლენის ეტაპი

იმის გამოსავლენად, თუ რაზე გააკეთებს პროექტი აქცენტს, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ იქნებიან აღნიშნული პროექტის მოსარგებლე პირები და რა საჭიროებები გააჩნიათ მათ. „საჭიროებათა შეფასება“ საზოგადოების პრობლემებზე ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის. „შესაძლებლობების შეფასება“ კი დაგვხმარება იმ პრობლემების დადგენაში, რომელიც პროექტმა უნდა მოაგვაროს. ამასთანავე, პროექტის განხორციელების ზოგადი ზომა და მასშტაბი მკაფიოდ უნდა იქნას განსაზღვრული.

შესაბამისად, ეს ეტაპი ისეთ საქმიანობებს მოიცავს, როგორებიცაა **დაინტერესებული მხარეების ანალიზი** (ვინ არიან სამომავლო პროექტის დაინტერესებული მხარეები), **პრობლემების ანალიზი** (რა სახის პრობლემები უნდა მოაგვაროს პროექტმა) და **მიზნების ანალიზი** (რა მიზნებისგან შედგება პროექტი). ამ პროცესისგან ჩვენ **პროექტის გამოვლენის წინასწარი ცხრილი** უნდა მივიღოთ.

- **გამოვლენის ეტაპისთვის საჭირო ინფორმაცია:** ეს ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ეროვნულ და ადგილობრივ პოლიტიკას ან სტრატეგიას, დარგობრივი ანალიზის შედეგებს, დაგეგმვის ეტაპზე ჩამოყალიბებულ ჩარჩოს, პროექტის პოტენციურ დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების შედეგებს.

III. ფორმულირების, ექსპერტიზის და შეფასების ეტაპი

ამ ეტაპის მიზანი პროექტის გამოვლენის ეტაპზე დადგენილი საპროექტო იდეების განხორციელებადობის დადასტურებაა. ეს შესაძლოა პროექტის მიერ მოსაგვარებელი პრობლემების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის უფრო სიღრმისეულ კვლევას გულისხმობდეს. ეს ეტაპი **ფილტრაციას და შეფასებას** (საპროექტო იდეის კონკრეტული კრიტერიუმების საპირისპიროდ შეფასება) მოიცავს, ისევე როგორც **ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების** ჩატარებას.

ის თანაბრად მოიცავს პროექტის გარე ფაქტორებიდან გამომდინარე შესაძლო რისკების გამოვლენას და მათ მოგვარებას. ამ ყველაფერზე დაყრდნობით, დეტალური პროექტი უნდა მომზადდეს (**ტექნიკური დავალება**), მართვის ღონისძიებების ჩათვლით, პროექტის შესრულების და ზემოქმედების (შეფასების მეშვეობით) გაზომვის გზებით (**მონიტორინგის მეშვეობით**), ფინანსური გეგმით, ხარჯი-სარგებლის ანალიზით და საფინანსო წინადადებით.

ეს ეტაპი, ასევე, ე.წ. „**ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის**“ შემუშავებას მოიცავს, რომელიც პროექტის ძირითად მიზანს, პროექტის დანიშნულებას/რეზულტატს, პროექტის შედეგებს და პროექტის მიერ შემოთავაზებულ საქმიანობას უყრის თავს. ამას ემატება იმ **კრიტერიუმის/ინდიკატორების** განსაზღვრა, რომლებიც განხორციელების პროცესში პროექტის მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენენ და ამ კრიტერიუმისთვის ინფორმაციის/გადამოწმების წყაროები იქნებიან.

- ფორმულირებისა და შეფასების ეტაპისთვის საჭირო ინფორმაცია: პროექტის გამოვლენის ცხრილი, პრიორიტეტულობის დოკუმენტი, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, შეფასების ქულა.

IV. განხორციელება, მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩათვლით

ამ ეტაპის დანიშნულება შედეგების ჩვენება და პროექტის ძირითადი მიზნის ხელშეწყობაა. ის პროექტისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მართვასაც მოიცავს, ისევე როგორც ანგარიშგებას პროექტის პროგრესზე და პროექტის საქმიანობის მონიტორინგს.

პროექტის განხორციელების პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის პროგრესის მონიტორინგი, მისი მიმოხილვა და ნებისმიერი გარე ცვლილების გამოვლენა, რომელსაც პროექტზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. პროექტის გეგმები საჭიროებისამებრ უნდა დაკორექტირდეს. საკვანძო „საკონტროლო ეტაპების“ გამოვლენა, ისევე როგორც მკაფიოდ დადგენილი ანგარიშგების გრაფიკი და მონიტორინგის პროგრამის მომზადება, პროექტის ეფექტურ მართვაში გვეხმარება. მონიტორინგი, როგორც ასეთი პროექტის და მისი საქმიანობის ეფექტურობისა და ნაყოფიერების გაზომვის საშუალებაა.

- განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპისთვის საჭირო ინფორმაცია: ტექნიკური დავალება და დეტალური პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია და დაფინანსების შეთანხმება, ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა მაჩვენებლების და ინფორმაციის წყაროების ჩათვლით, საქმიანობა და სამუშაო პროგრამა, რესურსები, ბიუჯეტის გადანაწილება და გრაფიკები, რისკების მართვის მატრიცა, სახელშეკრულებო დოკუმენტები, პროექტის განხორციელების გეგმა.

V. შეფასებისა და აუდიტის ეტაპი

შეფასება პროექტის დასრულებამდე, ან მისი დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს. იმისათვის, რომ პროექტის გრძელვადიანი ზეგავლენა და მდგრადობა დადგინდეს, შეფასების ჩატარება პროექტის დასრულებიდან რამდენიმე თვეში, ან წელიწადში არის შესაძლებელი. შეფასებას დარგობრივი პოლიტიკის და სტრატეგიების გაუმჯობესების ხელშეწყობა შეუძლია, კონკრეტულ პროგრამაზე, რეგულაციაზე, ან სტრატეგიაზე რეკომენდაციების გაცემით.

აუდიტი მიმოხილავს, თუ როგორ გაკეთდა დაფინანსება და უზუნველყოფს იმას, რომ ყველა გადასახადი დამფინანსებელი ორგანოს ბიუჯეტის დებულებებთან თანხვედრაში იქნა გადახდილი (შიდა დაფინანსება მთავრობის მხრიდან, ან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ გაწეული გარე დაფინანსება). თითოეულ დონოს საკუთარი მარეგულირებელი ნორმები და წესები ექნება. აუდიტორების ფუნქცია იმის შეფასებაა, თუ რამდენად კარგად მოახდინა პროექტის სახელმძღვანელო გუნდმა ამ წესებისა და ნორმების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ...

- ✓ ციკლის ეტაპები პროგრესირებადია - თითოეული ეტაპი მომდევნო ეტაპის დაწყებამდე უნდა დასრულდეს, იმისათვის, რომ შემდგომი ეტაპი წარმატებული აღმოჩნდეს. მაგალითისთვის, ახალი პროგრამა და პროექტის გამოვლენის პროცესი მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს მიიღებენ მხედველობაში.

- ✓ ანალოგიურად, ეტაპების იგნორირება, ან გამოტოვება დაუშვებელია. თავდაპირველი დაგეგმვიდან პირდაპირ (საქმიანობის) ფორმულირებაზე გადასვლა და გამოვლენის ეტაპის გამოტოვება ხშირი შეცდომაა. გამოვლენის ეტაპი დაინტერესებული მხარეების რეალური მდგომარეობის გამოსაკვლევად და იმ პრობლემების განსაზღვრისთვის არის საჭირო, რომლებიც ან პროექტით და ან პროექტის გარეთ არსებული სხვა მხარეების მხრიდან უნდა მოგვარდეს, იმისათვის, რომ ინტერვენცია წარმატებული გამოდგეს (ანუ მდგომარეობის რეალური ცვლილება და გაუმჯობესება გახდეს შესაძლებელი).
- ✓ სწორედ გამოვლენის ეტაპზე დგინდება დაგეგმილი საქმიანობის შესაბამისობა (შესაბამისობა საბოლოო მომხმარებლებისთვის, მოსარგებლე პირებისთვის და ასევე შესაბამისობა დონორის, ან პროექტის ინიციატორის განვითარების პრიორიტეტებთან).
- ✓ ფორმულირების ეტაპზე, კონკრეტული შედეგების შესახებ (რომელთა მიღწევაც უნდა მოხდეს), მკაფიო წარმოდგენის შემუშავებაა მნიშვნელოვანი. კონკრეტული შედეგების ნაკრების მომზადება დონორის/პროგრამაზე უფლებამოსილ და განმარტებულ (კონტრაქტორ) მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველს წარმოადგენს. შემფასებლები და აუდიტორები ხშირად აკრიტიკებენ მთავრობის მიერ პროგრამებისა და პროექტების მართვას, გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული შედეგები, რომელთა მიღწევაც სასურველია, არ არის წინასწარ მკაფიოდ დადგენილი.
- ✓ ფორმულირების ეტაპზე ასევე რისკების დადგენა ხდება, ხოლო გეგმა, რომელიც ამ რისკების შემცირებას ისახავს მიზნად, პროექტის სამუშაო გეგმაში ინტეგრირდება. ხდება საქმიანობის (საფუძველს ქმნის პროექტის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვისთვის) და წარმატების მაჩვენებლების განსაზღვრა. ჰკმ სისტემაში აღნიშნული გეგმა ძირითადად ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის¹ ფორმატში არის წარმოდგენილი. ეს ის ეტაპია, რომელზეც პროექტის განხორციელებადობა ფასდება; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის თუ არა გეგმა ლოგიკური, თანმიმდევრული და აქვს თუ არა მას წარმატების შანსი?
- ✓ განხორციელების ეტაპზე, პროექტის ჯგუფი სამუშაოს ასრულებს. პროგრამის მართვაზე პასუხისმგებელი პირები პროგრესის მონიტორინგს დისტანციურად ახდენენ, იღებენ ინფორმაციას ძირითადად ანგარიშების სახით და ასევე ვიზიტებსაც ანხორციელებენ, რის შემდეგაც მონიტორინგის ნიმუშებს ავსებენ. ისინი როგორც რეალური (ფიზიკური) საქმიანობის მონიტორინგს, ასევე შედეგების მიღწევის დონეს და ფინანსურ დანახარჯებსაც აკონტროლებენ. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები ანგარიშებს ავსებენ.
- ✓ შეფასების ეტაპზე, ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი სპეციალისტების დაქირავება ხდება, რომლებიც საქმიანობის და იმ კონტექსტის მიმოხილვას ახდენენ, სადაც ინტერვენცია განხორციელდა და მიზნებისა და შედეგების მიღწევის დონეს ამოწმებენ. სპეციალისტები შეაგროვებენ ფაქტებს (სხვადასხვა საშუალებებით, საოფისე სამუშაოს, გამოკითხვების და დიდი ალბათობით შეხვედრებისა და სემინარების ჩათვლით), ინტერპრეტაციას გაუკეთებენ მათ და მომავლისთვის დასკვნებსა და რეკომენდაციებს შეიმუშავებენ.

¹ იხილეთ გვერდი 25

ამ სახელმძღვანელოს სტრუქტურა კვმ-ის ხუთ ძირითად ეტაპად არის წარმოდგენილი:

ეტაპი I: პროექტის სიტუაციური ანალიზი

- სტრატეგიები, დარგობრივი ანალიზი, განვითარების გეგმები (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური);
- ინსტიტუციონალური და პოლიტიკური სპექტრის შეფასება, გარემოს ანალიზი;
- შედეგი: სტრატეგიული ანგარიშები, პროექტის შეფასების კრიტერიუმი სტრატეგიაზე დაყრდნობით;

ეტაპი II: პროექტის გამოვლენა

- დაინტერესებული მხარეების ანალიზი;
- პრობლემების ანალიზი;
- “პრობლემების ხის” მომზადება და მისი გადამოწმება;
- „მიზნების ხის“ მომზადება
- ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;
- პროექტის დანიშნულება;
- პროექტის ძირითადი მიზანი;
- პროექტის შედეგები;
- საქმიანობა და რესურსები;
- პროექტის წარმატებისთვის მაჩვენებლების განსაზღვრა;
- შედეგები: პროექტის განმარტებითი ბარათი, ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;

ეტაპი III: პროექტის ფორმულირება, შეფასება და დამტკიცება

- პროექტის გამოვლენის დოკუმენტი, ტექნიკური დავალება პროექტის დეტალური დიზაინისთვის;
- ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;
- რესურსების საჭიროებების შეფასება;
- დაშვებებისთვის პირობების გაანალიზება;
- რისკების გამოვლენა;
- შედეგები: წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, პროექტის ანოტაცია, პროექტის ტექნიკური დავალება, ტექნიკური დავალება დეტალური პროექტისთვის, დაფინანსების წინადადება, შესყიდვის დოკუმენტაცია;

ეტაპი IV: პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

- სატენდერო დოკუმენტაცია, დაფინანსების ხელშეკრულება, პროექტის ბიუჯეტი, კონტრაქტი;
- გადამოწმების წყაროები და მაჩვენებლები, ხარისხის კრიტერიუმი და სტანდარტები, ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა, ტექნიკური დავალება, პროექტის განხორციელების გეგმა;
- მონიტორინგი, ანგარიშგება;
- მონიტორინგის გეგმა და ნიმუშები;
- შედეგები: პროექტის პროგრესის ანგარიშები, მონიტორინგის ანგარიშები;

ეტაპი V: პროექტის შეფასება

- პროექტის სხვადასხვა დოკუმენტაციის ანალიზი: პროექტის ტექნიკური დავალება, პროექტის ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა, პროექტის პროგრესის ანგარიშები, მონიტორინგის ანგარიშები;
- შედეგი: შეფასების საბოლოო ანგარიში;

ინფრასტრუქტურული პროექტის ციკლი

ეტაპი	ამოსავალი მონაცემები	პროცესი	შედეგი
I. სიტუაციური ანალიზი	სტრატეგიული გეგმები (ეროვნული / რეგიონული / ადგილობრივი); პროგრამული დოკუმენტი; ანგარიშები და საკონსულტაციო დოკუმენტები;	სტრატეგიაზე დამყარებული ანალიზი; მოსარგებლე პირები და დაინტერესებული მხარეები; დაინტერესებული მხარეების საჭიროებების ანალიზი;	დარგობრივი სტრატეგიები და გეგმები (მაგ. სივრცითი მოწყობის გეგმა); გრძელვადიანი მიზნები და ხედვა;
II. გამოვლენა	პროგრამული დოკუმენტები: სტრატეგიები და განვითარების გეგმები (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური, დარგობრივი და ზოგადი);	მოსაგვარებელი პრობლემები; პროექტის საკუთრების სტრუქტურა;	პროექტის გამოვლენის დოკუმენტი; პროექტის მონაცემთა ცხრილი/პროექტის განმარტებითი ზარათი;
III. ფორმულირება და შეფასება (და დამტკიცება)	ტექნიკური დავალება ფილტრაცია/შეფასება კონკრეტული კრიტერიუმების წინააღმდეგ; საპროექტო წინადადებების რანჟირება	რანჟირების სისტემები და საპროექტო წინადადებების გაფილტვრა დაშვებები; რისკების გამოვლენა; გადაწყვეტილებები დაფინანსების წინადადებაზე; დაფინანსების გადაწყვეტილება; დეტალური პროექტის შესყიდვა; პროდუქციის შესყიდვა; მომსახურებების შესყიდვა;	წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება; ხარჯი-სარგებლის ანალიზი, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, შეფასების ქულა; ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება; დაფინანსების პირველადი წინადადება; (ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა) დეტალური პროექტი;

			დაფინანსების ხელშეკრულება; სატენდერო დოკუმენტაცია;
IV. განხორციელება და მონიტორინგი	სატენდერო დოკუმენტაცია; ტექნიკური დავალება ადგილობრივი თვითმმართველობის ქვე-კონტრაქტორებისთვის/ სამშენებლო კომპანიებისთვის; ხელშეკრულებები მშენებლებთან/კონტრაქტორებთან; პროექტის გეგმა (საქმიანობის კალენდარული გრაფიკი) პროექტის ბიუჯეტი ტექნიკური დავალება მშენებლობისთვის	მშენებლობის ფიზიკური და არაფიზიკური საშუალებები; განსაკუთრებული პირობები, დადგენილი სხვა დაწესებულებების/ მთავრობების მიერ; ზედამხედველობა	პროგრესის და მონიტორინგის ანგარიშები; განხორციელებისა და ორგანიზაციის პროცედურები და პროცესები; დანახარჯებისა და დაფინანსების გეგმა; განაცხადი ანაზღაურებაზე
V. შეფასება	პროექტის სხვადასხვა დოკუმენტაცია, ტექნიკური დავალება, ანგარიშები, მონიტორინგის ანგარიშები, პროგრესის ანგარიშები, ბიუჯეტი, ა.შ.	გადაწყვეტილება შედეგების გამოყენებაზე პროექტების სამომავლო გამოვლენასა და დაგეგმვაში;	შეფასების ანგარიში

ცხრილი 1 ინფრასტრუქტურული პროექტის ციკლი (შემუშავდა მგფ-სთან თანამშრომლობით)

ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა

ქვემოთ მოცემული ცხრილი პროექტის გამოვლენისა და დაგეგმვის პროცესში ძირითად ეტაპებს გამოყოფს:

ანალიზის ეტაპი	დაგეგმვის ეტაპი
<p>დაინტერესებული მხარეების ანალიზი პოტენციური დაინტერესებული მხარეების გამოვლენას და მათ დახასიათებას მოიცავს, მათი შესაძლებლობების შეფასებით;</p>	<p>ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის შემუშავება პროექტის სტრუქტურის გამოვლენას გულისხმობს, მისი შიდა ლოგიკისა და რისკების ტესტირებით და წარმატებისთვის გაზომვადი მაჩვენებლების ფურმულირებით;</p>
<p>პრობლემების ანალიზი ძირითადი პრობლემების, შეზღუდვებისა და შესაძლებლობების გამოვლენას მოიცავს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენით;</p>	<p>საქმიანობების დაგეგმვა საქმიანობების თანმიმდევრობისა და ურთიერთდამოკიდებულების დადგენას გულისხმობს, მათი ხანგრძლივობის შეფასების და პასუხისმგებლობების გადანაწილებით;</p>
<p>მიზნების ანალიზი გამოვლენილი პრობლემებისთვის გადაწყვეტილებების შემუშავებას მოიცავს, საშუალებებსა და საბოლოო შედეგს შორის დამოკიდებულების განსაზღვრით;</p>	<p>რესურსების დაგეგმვა რესურსების გრაფიკის შემუშავებას და საქმიანობის გრაფიკის ბიუჯეტს მოიცავს;</p>
<p>სტრატეგიის ანალიზი გადაწყვეტილებების განხორციელების სხვადასხვა სტრატეგიების გამოვლენას და ყველაზე შესაფერისი სტრატეგიის შერჩევას გულისხმობს;</p>	

ცხრილი 2 ანალიზის დაგეგმვა (წყარო: პემ ინსტრუქცია, ევროპის კომისია, 2004 წლის მარტი)

თავი 1: სიტუაციური ანალიზის ეტაპი



ეტაპი I. სიტუაციური ანალიზი

ეს ეტაპი აყალიბებს კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც პროექტების გამოვლენა, შემუშავება და განხორციელება ხდება. ის შეიძლება ეყრდნობოდეს ეროვნულ, ან ადგილობრივ სტრატეგიებს, კონკრეტული სექტორის გეგმებს, რეგიონული, ან ადგილობრივი განვითარების გეგმებს. პროექტების შემუშავება ეროვნულ, ადგილობრივ, ან დარგობრივ დონეზე არსებული მდგომარეობის ანალიზისგან შედგება, პრობლემებისა და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით.

აღნიშნული ეტაპი იმ ცვლილების გამოვლენას მოიცავს, რომელიც გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად არის საჭირო.

პროექტის გამოვლენა სიტუაციურ კონტექსტში უნდა მოხდეს. ეს 'კონტექსტი' ზოგადად პასუხისმგებელი მმართველი ორგანოს პოლიტიკური ნებით, ან სტრატეგიით დგინდება და ის შეიძლება ეროვნულ სტრატეგიულ გეგმებში, ან რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებში იქნას გამოხატული.

ეს კონტექსტი უზრუნველყოფს იმას, რომ მიმდინარე და სამომავლო პროექტები ამ ზოგად სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში მოდიოდეს და თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან და სხვა დამატებით პროექტებთან (შესაძლოა მესამე მხარის პროექტებთან), რომლებიც იმავე რეგიონში ხორციელდება, ან იგივე მოსარგებლე პირები და საბოლოო მომხმარებლები ყავს.

ამ კონტექსტის გარეშე, არსებობს იმის საშიშროება, რომ პროექტები არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს, აკლდეთ კავშირი, დახარჯონ შეზღუდული ფინანსური რესურსები, ან ვერ მიაღწიონ მმართველი ორგანოს ძირითად მიზნებსა და ამოცანებს.

თუკი მთლიან მდგომარეობას კარგად დავაკვირდებით, რომელსაც პროექტის შედეგებსა და მის საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, განხორციელებადი პროექტის მომზადება ხდება შესაძლებელი, რომელსაც რესურსებისა და ფინანსების ეფექტური გამოყენებით, ყველა მოსალოდნელი შედეგის დროულად მიწოდება შეუძლია.

ეს ანალიზი საშუალებას აძლევს პროექტის დამგეგმავ პირებს, რომ ისეთი გარე ფაქტორები გამოავლინონ, რომლებსაც პროექტზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ და იმის უზრუნველყოფა მოახდინონ, რომ პროექტი თანმიმდევრული იყოს სხვა ინიციატივებთან და მუნიციპალიტეტის ზემდგომ პოლიტიკასთან, ან მიზნებთან.

სიტუაციური ანალიზის ეტაპში შესატანი მონაცემები: ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიები, რეგიონული და მუნიციპალური დოკუმენტები, სტრატეგიული და განვითარების გეგმები, დარგობრივი შეფასების კვლევები, დარგობრივი გეგმები და სტრატეგიები, სტრატეგიული შეფასების დოკუმენტები, შემთხვევების ანალიზი და ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური, ინსტიტუციონალური და გარემოს ანალიზი.

სიტუაციური ანალიზის ეტაპის ძირითადი შედეგია: პროექტის შეფასების კრიტერიუმი, რომელიც შესაბამის სტრატეგიებს (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური) ეყრდნობა.

პროექტის წინასწარი გამოვლენის ეტაპზე, სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები გამოიყენება და მათ შეუძლიათ დაგვეხმარონ პროექტის შესაბამისი კონტექსტის დადგენაში.

სტრატეგიული ინსტრუმენტები	ინსტრუმენტების აღწერა
1. გარემოს სკანირება	მატრიცა სტრატეგიული წყაროებისთვის და ინფორმაციის რანგირებისთვის, რომელიც პროექტის კონტექსტს ინსტიტუციონალური დონით და დოკუმენტების ტიპით უკავშირდება
2. ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები (მსშს)	ოთხი სვეტისგან შემდგარი ცხრილი, რომელიც აჯამებს პროექტის კონცეფციის გარე შესაძლებლობებსა და საფრთხეებს და მის შიდა ძლიერ და სუსტ მხარეებს

ცხრილი 3 ინსტრუმენტების სია სიტუაციური ანალიზისათვის (წყარო: პროექტის მართვის ინსტრუმენტები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის წყლისა და ტრანსპორტის რეგიონული ინფრასტრუქტურული პროგრამა, ბუზ ალენ ჰამილტონი, USAid, 2003 წლის იანვარი).

1.1 მსშს (SWOT) ანალიზი

SWOT ანალიზი ის ინსტრუმენტია, რომელიც ხშირად პროექტის სტრატეგიული ანალიზის შემადგენელ ნაწილად გამოიყენება. ის გვეხმარება, რომ პროექტის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები გავიგოთ.

SWOT ანალიზი გულისხმობს:

<p>ძლიერი მხარეები: დარგის ის ნაწილები, რომლებიც კარგად მუშაობენ და სავარაუდოდ მომავალშიც იგივენაირად გააგრძელებენ მუშაობას;</p> <p>სუსტი მხარეები: დარგის ის ნაწილები, რომლებიც კარგად არ მუშაობენ და სავარაუდოდ მომავალშიც იგივენაირად გააგრძელებენ მუშაობას;</p> <p>შესაძლებლობები: დარგის ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება მომავალში უკეთესად შესრულდეს სათანადო ინტერვენციის შედეგად;</p>

საფრთხეები: დარგის ის ნაწილები, რომლებიც პრობლემატურია, ან ასეთად შეიძლება იქცეს;


მუშაობა პროექტის ძირითადი მიზნიდან იწყება და შემდგომ შიდა ფაქტორების (ძლიერი და სუსტი მხარეები), ისევე როგორც გარე ფაქტორების (შესაძლებლობები და საფრთხეები) ჩამოწერაზე გადადის, რომლებსაც ძირითადი მიზნის მიღწევაზე შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (ძლიერი და სუსტი მხარეები).

ძსშს ანალიზის მატრიცა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
შესაძლებლობები	საფრთხეები

უფრო მეტი მაგალითისთვის, იხილეთ დანართი 1 სიტუაციური ანალიზის ინსტრუმენტები

თავი 2: პროექტის გამოვლენის ეტაპი



ეტაპი II. პროექტის გამოვლენა

იმის გამოსავლენად, თუ რაზე გააკეთებს პროექტი აქცენტს, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ იქნებიან აღნიშნული პროექტის მოსარგებლე პირები და რა საჭიროებები გააჩნიათ მათ. „საჭიროებათა შეფასება“ საზოგადოების პრობლემებზე ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის. „შესაძლებლობების შეფასება“ კი დაგვეხმარება იმ პრობლემების დადგენაში, რომელიც პროექტმა უნდა მოაგვაროს. ამასთანავე, პროექტის განხორციელების ზოგადი ზომა და მასშტაბი მკაფიოდ უნდა იქნას განსაზღვრული.

შესაბამისად, ეს ეტაპი ისეთ საქმიანობებს მოიცავს, როგორებიცაა: დაინტერესებული მხარეების ანალიზი (ვინ არიან სამომავლო პროექტის დაინტერესებული მხარეები), პრობლემების ანალიზი (რა სახის პრობლემები უნდა მოაგვაროს პროექტმა) და მიზნების ანალიზი (რა მიზნებისგან შედგება პროექტი). ამ პროცესისგან ჩვენ პროექტის წინასწარი განმარტებითი ბარათი (პროექტის ანოტაცია, ან საპროექტო წინადადების დოკუმენტი) უნდა მივიღოთ.

პრობლემის გამოვლენა: ეს პროექტის დაგეგმვის მთლიან პროცესში საკვანძო ეტაპია. თუკი ანალიზი ცუდად, ან არასათანადოდ არის შესრულებული, შედეგად მიღებული პროექტი შეიძლება დაუსრულებელი, ან არაეფექტური გამოდგეს, ხოლო მოსალოდნელი შედეგები დიდი ალბათობით ბოლომდე ვერ მიიღწევა.

შესაბამისი პრობლემების გამოვლენის მიზნით, პირველ რიგში ჩვენ ანალიზის მასშტაბი და სიღრმე უნდა გვესმოდეს კარგად. ამისათვის, ის აღწერილობა და ჩარჩო უნდა განისაზღვროს, რომლის ფარგლებშიც გამოვლენა განხორციელდება. მნიშვნელოვანია დადგინდეს, რამდენად შესაბამისია პრობლემები და რამდენად ლეგიტიმურია მათი გათვალისწინება. პრობლემები ჩართული მხარეების შესატყვისი უნდა იყოს.

რამდენიმე რჩევა გამოვლენილი პრობლემების კონტექსტის განსაზღვრისთვის:

1. დაადგინეთ **მდგომარეობა** (მაგ., გეოგრაფიული, დემოგრაფიული, დარგობრივი, ა.შ.);
2. დაადგინეთ **პრობლემების ხასიათი**, რომლებზეც ანალიზი გააკეთებს აქცენტს (ყველა პრობლემა, შეზღუდვები დარგის მიხედვით, სამიზმე ჯგუფის მიხედვით, ა.შ.);
3. გადაწყვიტეთ, თუ რომელი **დაინტერესებული მხარისთვის** არის ეს პრობლემები **აქტუალური**;
4. ჩამოაყალიბეთ **მდგომარეობის აღწერა ერთი წინადადებით**;
5. გადაამოწმეთ, რამდენად **მისაღებია** პრობლემის განმსაზღვრელი **დაინტერესებული მხარეებისთვის** ეს დეფინიცია;
6. გადაამოწმეთ რამდენად **მისაღებია ეს განსაზღვრება პროექტის სპონსორებისთვის/დონორებისთვის** (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

პროექტის გამოვლენის ეტაპის ორგანიზაციული ნიმუში პროექტის განმარტებითი ბარათი (პგბ), ან საპროექტო წინადადების დოკუმენტია (სწდ). ეს ნიმუში „დასაფინანსებელი“, ან „რენტაბელური“ პროექტის ყველა საჭირო ელემენტს მოიცავს - პროექტი, რომლის საინვესტიციო დაფინანსებას ბანკი, ან სხვა რომელიმე ფინანსური ინსტიტუტი დათანხმდება, უფრო დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და შეფასების შედეგად. აღნიშნულ დოკუმენტს ხანდახან როგორც პროექტის ანოტაციას, ან პროექტის გამოვლენის ცხრილს ისე მოიხსენიებენ. პგბ-ს და სწდ-ს მაგალითები დანართი I-ის მე-3 დანართში - პროექტის გამოვლენის ინსტრუმენტები არის წარმოდგენილი.

პროექტის გამოვლენის ეტაპის მსვლელობისას, ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტის გამოყენებაა შესაძლებელი:

ინსტრუმენტები	ინსტრუმენტების აღწერა
1. „პრობლემების ხე“	იერარქიული თანმიმდევრობით პრობლემების, ან საკითხების დიაგრამების სახით წარმოჩენის ანალიტიკური მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკის გამოყენებით
2. „ალტერნატივების ხე“	ანალიტიკური მეთოდი პროექტის ალტერნატიული გადაწყვეტილებების მომზადებისთვის და წარმოჩენისთვის მიზეზ-შედეგობრივი ჰიპოთეზების ფორმით, რომლებიც პროექტის დანიშნულებასთან და დაინტერესებული მხარეების მიზნებთან არიან კავშირში
3. ხარჯების ღირებულებისა და ეფექტურობის ანალიზი	შედარებითი მატრიცა, რომელიც პროექტის ალტერნატივებს აყალიბებს და მათი რანგირების საშუალებას იძლევა ღირებულების, ეფექტურობისა და წარმატების ალბათობის შეფასებით
4. „მიზნების ხე“	ანალიტიკური მეთოდი პროექტის სასურველი შედეგების, დანიშნულებისა და მიზნების გამოვლენისთვის და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების დადგენისთვის
5. დაინტერესებული მხარეების ანალიზი	მატრიცა, რომელიც ძირითად დაინტერესებულ ჯგუფებს აყალიბებს, ადგენს მათ ინტერესებს პროექტთან მიმართებაში როგორც მოსარგებლე პირების, ან მოზარალე მხარის და განსაზღვრავს სტრატეგიებს დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერის მისაღებად
6. ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა	შემაჯამებელი 4-4-ზე მატრიცა, რომელიც პროექტის ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს აჯამებს; ვერტიკალური ლოგიკა თხრობით შეჯამებას და დაშვებების სვეტებს მოიცავს
7. საჯარო-კერძო-პარტნიორობის (სკპ) ანალიზი	საკონტროლო სია იმის დასადგენად, თუ რომელი საჭირო სკპ მოთხოვნები არსებობს, შესაბამისი სკპ მოწყობაზე რეკომენდაციის გასაცემად
8. წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნები	წინასწარ საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური შეკითხვები, რომლებიც პროექტის გამოვლენის დროს უნდა იქნას მხედველობაში მიღებული პროექტის თავდაპირველი განხორციელებადობის შესაფასებლად და პრობლემების გამოსავლენად, უფრო სიღრმისეული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების მიზნით

ცხრილი 4 პროექტის გამოვლენის ინსტრუმენტების ჩამონათვალი (წყარო: პროექტის მართვის ინსტრუმენტები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის წყლისა და ტრანსპორტის რეგიონული ინფრასტრუქტურული პროგრამა, ბუზ ალენ ჰამილტონი, USAid, 2003 წლის იანვარი).

პროექტის გამოვლენის ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები ქვემოთ არის დეტალურად აღწერილი, თუმცა უფრო მეტი მაგალითი აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დანართი I-ის მე-3 დანართში შეგიძლიათ იხილოთ.

გამოვლენის ეტაპში შესატანი მონაცემები: ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკა, ან სტრატეგია, დარგობრივი ანალიზის შედეგები, სიტუაციური ანალიზის ეტაპის დროს ჩამოყალიბებული ჩარჩო, პროექტის პოტენციურ დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების შედეგები.

პროექტის გამოვლენის ეტაპის ძირითადი შედეგები:

- დაინტერესებული მხარეების ანალიზი;
- „პრობლემების ხე“
- „მიზნების ხე“

- ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;
- პროექტის განმარტებითი ბარათი (ან საპროექტო წინადადების დოკუმენტი/პროექტის ანოტაცია);

2.1 დაინტერესებული მხარეების საჭიროებების ანალიზი

დაინტერესებული მხარეების ანალიზი იმ ფიზიკური პირების, ჯგუფების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მნიშვნელობის დადგენას და შეფასებას მოიცავს, რომლებსაც პროექტის წარმატებაზე, მის საქმიანობებსა და შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

დაინტერესებული მხარეების ანალიზი პროექტზე ამ ჯგუფებისა და ორგანიზაციების მხრიდან შესაძლო ზეგავლენის ტიპის წინასწარ პროგნოზირების ინსტრუმენტად გამოიყენება.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლოა პროექტის მიერ მოსაგვარებელ პრობლემებზე განსხვავებული ხედვები ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე, ჩართული მხარეების ანალიზი დაგვეხმარება, რომ მათი შესაბამისი ზეგავლენა, ფუნქციები და ინტერესები გამოვავლინოთ.

დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ტიპი არსებობს:

- **დაინტერესებული მხარეები:** ინდივიდუალური პირები, ან ორგანიზაციები, რომლებსაც შემოთავაზებული პროექტის ინტერვენცაზე შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (უარყოფითად, დადებითად, პირდაპირ, ან არაპირდაპირ), ან ამ ზეგავლენის ქვეშ მოქცევა;
- **მოსარგებლე პირები:** ისინი, ვინც პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით, შემოთავაზებული პროექტის ინტერვენციით მიიღებენ სარგებელს;

ამისათვის, ჩვენ დაინტერესებული მხარეების მატრიცის მომზადება შეგვიძლია, სამომავლო პროექტში თითოეული მხარის პრობლემების, ინტერესის, ზეგავლენისა და შესაძლო ფუნქციის განსაზღვრის მიზნით.

ქვემოთ დაინტერესებული მხარეების მატრიცის მაგალითია მოყვანილი, სადაც სხვადასხვა მხარეები მათი ინტერესის, ისევე როგორც ზემოქმედებისა და ჩართულობის შესაძლო დონის მიხედვით შეგვიძლია ჩამოვწეროთ.

დაინტერესებული მხარეების მატრიცის მაგალითი, რომელიც ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტს ეყრდნობა (ქუთაისი)

დაინტერესებული მხარე	მათი ინტერესები, ან საჭიროებები	რას მოელოს პროექტი მათგან (თუკი რაიმე მოლოდინი არსებობს)	აღქმული დამოკიდებულება და/ან რისკები	მისაღები ზომები
<i>ჩამოწერეთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც აღნიშნული პროექტის ზეგავლენის ქვეშ არიან</i>	<i>კონკრეტულად რა არის მათი ინტერესები, საზრუნავი და/ან საჭიროებები</i>	<i>მოითხოვს თუ არა პროექტი გარკვეული გზით დაინტერესებულ ი მხარის პირდაპირ, ან არაპირდაპირ ჩართულობას</i>	<i>არსებობს თუ არა რაიმე პრობლემები დაინტერესებულ მხარის საქციელთან/და მოკიდებულებასთან დაკავშირებით, რომლებსაც პროექტის წარმატებით განხორციელებაზე ზეგავლენის ქონა შეუძლიათ</i>	<i>რა და როდის უნდა გააკეთოს პროექტმა აღნიშნული პოტენციური რისკების შესარბილებლად</i>
სარეაბილიტაციო ქუჩაზე არსებული კომერციული ობიექტების მესაკუთრეები	გაუმჯობესებული მისაღვომობა მათ ობიექტებთან; უკეთესი მისასვლელი გზა მომხმარებლები სთვის და მომწოდებლებისთვის; მომხმარებელთა გაზრდილი რაოდენობა	თანამშრომლობა გზის სამშენებლო კონტრაქტორთან	სამუშაოებისთვის წინააღმდეგობის გაწევა; მუშებისთვის ხელის შეშლა	სამუშაოების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე, ობიექტების მესაკუთრეებისთვის და მათი მომხმარებლებისთვის რეაბილიტირებული გზის უპირატესობებზე ინფორმაციის მიწოდება

ცხრილი 5 დაინტერესებული მხარეების ანალიზის მაგალითი (მფფ-ს ქუთაისის ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის ქვეპროექტის საფუძველზე)

2.2 პრობლემების ანალიზი

პრობლემების ანალიზი ერთი, ან უფრო მეტი პრობლემის გამოვლენისგან და ანალიზისგან შედგება, იმისათვის, რომ მათი მოგვარების გზები გადაწყდეს.

პრობლემების ანალიზის უკან არსებული დაშვება ისაა, რომ პრობლემის მიზეზების დასადგენად საკმარისი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი და პრობლემის მოგვარების შესაძლო გადაწყვეტილებების გამოვლენა იქნება შესაძლებელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემების გამოსავლენად, მნიშვნელოვანია რომ ჯერ მდგომარეობა, პრობლემების მიზეზები და მათი შედეგები შევისწავლოთ. ინფორმაციის წყაროები შესაძლოა მოიცავდეს სხვა პროექტების დოკუმენტაციას, მთავრობის ანგარიშებს, ინტერვიუებს და ინტერესებულ მხარეებთან, განხილვებს მოსარგებლე მხარეების ჯგუფებთან, ა.შ.


“პრობლემების ხის” მომზადება

როგორც კი პრობლემების განსაზღვრა მოხდება, ამ პრობლემების იერარქიის ფორმულირება არის საჭირო. ეს „მიზეზ-შედეგობრივი“ დამოკიდებულება სამომავლო მიზნების შემუშავების საფუძველს შექმნის და საბოლოო ჯამში თვითონ პროექტის გეგმას ჩამოაყალიბებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაბიჯი მეთოდურად, სიფრთხილით განხორციელდეს. ყველა გამოვლენილი პრობლემა ზოგადად ამ ხის ფარგლებში მოექცევა.


ამ ეტაპის დანიშნულება ყველა პრობლემას შორის არსებული კავშირის ვიზუალურად წარმოჩენაა, ისევე როგორც მათი რეალისტური სახით დაკავშირება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ „ეს პრობლემა *იწვევს* ამ პრობლემას“.

„პრობლემების ხე“ გვაჩვენებს, თუ როგორ არის ყველა პრობლემა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული და ხის თითოეული ხაზი ერთმანეთთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს წარმოაჩენს.

ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტი (SRMIDP), ქუთაისის მუნიციპალიტეტი



სურათი 2 „პრობლემების ხე“ (მგფ-ის რმიგმპ-ის ქუთაისის ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტზე დაყრდნობით)



სურათი 3 საწყისი პრობლემა (წყარო: პცმ ინსტრუქცია, ევროპის კომისია, 2004 წლის მარტი)

2.3 მიზნების ანალიზი


მიზნების ანალიზი

მიზნების ხე ყველა შესაძლო მიზანს უყრის თავს, რომლებსაც ორგანიზაციაში ყველა პრობლემის მოგვარების შემთხვევაში მივიღებდით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემები გადაწყვეტილებებად გარდაიქმნება.

რაც იმას ნიშნავს, რომ „პრობლემების ხეში“ ასახული უარყოფითი მდგომარეობები დადებით მდგომარეობებად გარდაიქმნება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიზანი სავარაუდოდ ვერ გახდება პროექტის ნაწილი, პროცესის შემდგომი ნაბიჯებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე მიზნების სრულყოფილი ხე მომზადდეს. თვითონ პროცესი საკმაოდ მარტივია.

“მიზნების ხის” მარტივი მაგალითი

ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტი (SRMIDP), ქუთაისის მუნიციპალიტეტი



სურათი 4 „მიზნების ხე“ (მგფ-ის რმიგმპ-ის ქუთაისის ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტზე დაყრდნობით)

2.4 ლოგიკურ-სტრუქტურული ანალიზი

ლოგიკურ-სტრუქტურულ მიდგომა, რომელიც პროექტის მართვის ინსტრუმენტია, შემოთავაზებული პროექტის ინტერვენციის ძირითად საქმიანობებს აჯამებს, პროექტის მოსალოდნელი შედეგების (დანიშნულების) აღწერასთან, რისკებთან/დაშვებებთან და პროექტის შედეგების მიღწევისთვის საჭირო დანახარჯებთან და საშუალებებთან ერთად.

ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომის ცხრილი ძირითადი დოკუმენტია, განსაკუთრებით მაშინ, რომდესაც პროექტის დაფინანსების შესახებ წინადადება გარე დონორისგან მოდის (მაგალითად, ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში, როგორცაა ავტომაგისტრალი, ან დიდი ხიდი). აღნიშნული მატრიცა საშუალებას აძლევს პროექტის დამგეგმავ პირებს დარწმუნდნენ იმაში, რომ პროექტის დიზაინში შიდა სიმტკიცე არსებობს, რომ ყველა საქმიანობა გამოვლენილია და გარე ფაქტორები მხედველობაში არის მიღებული.

ის ასევე გამოყოფს იმ საქმიანობას, რომლის მონიტორინგი და გაზომვაც უნდა მოხდეს, იმისათვის, რომ პროექტის შედეგები წარმატებული იყოს. ამას გარდა, ის პროექტის ხელმძღვანელ გუნდს ათვლის წერტილს აძლევს, რომლის საპირისპიროდაც პროექტის პროგრესის მონიტორინგი და პოტენციური პრობლემებისა და სირთულეების გამოვლენაა შესაძლებელი. ეს ეტაპი მაშინ სრულდება, როდესაც ლოგიკურ-სტრუქტურული ცხრილის შევსება ხდება.

2.4.1 ლოგიკურ-სტრუქტურული ანალიზის ძირითადი ტერმინები

- **პროექტის დანიშნულება** მდგომარეობა პროექტის დასასრულს; პრობლემა, რომლის მოგვარებასაც პროექტი ისახავს მიზნად. პროექტი წარმატებულია, თუკი ის პროექტის დანიშნულებას აღწევს. პირდაპირი სარგებელი პროექტის სამიზნე ჯგუფ(ებ)ისთვის;
- **ძირითადი მიზანი** პროექტის მიერ შეტანილი წვლილი პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამის მიზნების მიღწევაში (ზემოქმედება);
- **შედეგები** პროექტის მიერ მოტანილი ხელშესახები პროდუქტები, ან მომსახურებები. პროექტის დანიშნულების მისაღწევად საჭირო სტრატეგიები. თუკი შედეგები შესრულდება, პროექტის დანიშნულებაც მიიღწევა;
- **საქმიანობა/რესურსები** შედეგების/რეზულტატების მისაღწევად განხორციელებული კონკრეტული საქმიანობა;
- **მნიშვნელოვანი დაშვებები და რისკები** პროექტის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი პირობები, რომლებსაც პროექტი ვერ გააკონტროლებს. ეს პროექტის გარემო ფაქტორებში შესაძლო ცვლილებებს მოიცავს, რომლებსაც პროექტის განხორციელებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ;
- **ობიექტურად შემოწმებადი მაჩვენებლები** სტანდარტები პროექტის მიღწევის დონის გასაზომად;
- **გადამოწმების საშუალებები/ინფორმაციის წყაროები** გვაჩვენებენ სად მოვიპოოთ ინფორმაცია მაჩვენებლების მიერ აღწერილ მდგომარეობაზე;
- **ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა** პროცესი, რომელიც პრობლემების ანალიზს, მიზნების დასახვას და სტრატეგიის შერჩევას მოიცავს;

➤ **ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა** პროცესის დასასრულს მიღებული დოკუმენტირებული პროდუქტი (მიზნებისა და პოტენციური რისკების დეტალური ანალიზის ჩათვლით);

2.4.2 ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის შევსება

ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა პროექტის დიზაინის შეჯამებას უნდა წარმოადგენდეს. ზოგადად, ის პროექტის ძირითად მიზანს, დანიშნულებას (რეზულტატს) და შედეგებს მოიცავს. ამას გარდა, ის საქმიანობების სიას წარმოაჩენს, მაჩვენებლებთან, ინფორმაციის (გადამოწმების) წყაროებთან და დაშვებებთან ერთად.

პროექტის შესაძლო ყველა ინტერვენციიდან, პროექტის ავტორებმა ერთი მიზანი უნდა აირჩიონ, რომელიც *პროექტის დანიშნულება* იქნება. პროექტის შემდგომმა გეგმამ ეს მიზანი პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის ბოლომდე უნდა „შეასრულოს“. პროექტი ასევე სხვა მიზნებსაც *შეუწყობს ხელს (ძირითადი მიზნები)*. მისი სასიცოცხლო ციკლის დროს, პროექტი კონკრეტულ შედეგებს მოიტანს, პროექტის *საქმიანობების* წარმატებულად შესრულების შემდეგ. ეს ელემენტები მატრიცის ფორმით არის წარმოდგენილი, რომელსაც ზოგადად ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა ეწოდება.

ლოგიკურ-სტრუქტურული ცხრილის მარტივი მაგალითი მაჩვენებლების სხვადასხვა ტიპით, ინფორმაციის წყაროებით, დაშვებებითა და რისკებით ქვემოთ არის წარმოდგენილი.

ლოგიკურ-სტრუქტურული ცხრილი - ძირითადი ელემენტები

	აღწერა	მაჩვენებლები	ინფორმაციის წყაროები	დაშვებები და რისკები
ძირითადი მიზანი	პროექტის ფართო ზეგავლენა დარგობრივ, ან ეროვნულ დონეზე;	ზეგავლენის მაჩვენებელი: ზოგადი ზეგავლენა ეროვნულ/დარგობრივ დონეზე, შედეგები სამიზნე ჯგუფების მიღმა;	როგორ მოხდება ინფორმაციის შეგროვება, როდის და ვის მიერ?	
დანიშნულება	პროექტის შედეგი პროგრამის/პროექტის ციკლის დასასრულს - კონკრეტული სარგებელი სამიზნე ჯგუფისთვის/მოსარგებლე პირებისთვის;	შედეგის მაჩვენებელი: პროექტის პირდაპირი ზეგავლენა სამიზნე ჯგუფზე/მოსარგებლე პირებზე;	იგივე, რაც ზემოთ	თუკი დანიშნულება შესრულდება, რა დაშვებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ძირითადი მიზნის მისაღწევად?


შედეგები/ რეზულტატები	ხელშესახები რეზულტატები, პროდუქტები და/ან მიწოდებული მომსახურებები;	რეზულტატის მაჩვენებელი: დაკავშირებულია საქმიანობებთან, კერძოდ განხორციელებული საქმიანობების შედეგთან;	იგივე, რაც ზემოთ	თუკი შედეგები შესრულდება, რა დაშვებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ დანიშნულების მისაღწევად?
საქმიანობა	ამოცანები, რომლებიც დაგეგმილი შედეგების მისაღებად უნდა განხორციელდეს;			თუკი საქმიანობა შესრულდება, მაშინ რა დაშვებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ შედეგების მისაღწევად?

ცხრილი 6 ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის ძირითადი ელემენტები (წყარო: სწავლების მასალები, პროექტის პცმ ექსპერტი)

პროექტის დასასრულს, თქვენ ასევე შეგიძლიათ გადაამოწმოთ, რამდენად შეუწყო ხელი ძირითად მიზანს პროექტის დანიშნულებამ, მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება სავარაუდოდ შემდგომი შეფასების ფარგლებში უფრო მარტივია, რომელიც ზოგადად პროექტის დასრულებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ხორციელდება.

ქვემოთ ამ პროცესის კიდევ ერთი ილუსტრაცია არის მოცემული:

სურათი 5 ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომის ლოგიკა



ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის შევსების ეტაპობრივი თანმიმდევრობა

1. ძირითადი მიზანი
2. პროექტის დანიშნულების კონკრეტული მიზნები
3. (მისაღწევი) შედეგები
4. საქმიანობა
5. საქმიანობების დასაწყებად საჭირო წინაპირობები
6. დაშვებები საქმიანობების დონეზე
7. დაშვებები შედეგების დონეზე
8. დაშვებები პროექტის დანიშნულების დონეზე
9. დაშვებები ძირითადი მიზნების დონეზე
10. მაჩვენებლები ძირითადი მიზნების დონეზე
11. გადამოწმების წყარო ძირითადი მიზნების დონეზე
12. მაჩვენებლები პროექტის დანიშნულების დონეზე
13. გადამოწმების წყარო პროექტის დანიშნულების დონეზე
14. მაჩვენებლები შედეგების დონეზე
15. გადამოწმების წყარო შედეგების დონეზე
16. საშუალებები საქმიანობის დონეზე
17. დანახარჯები საქმიანობის დონეზე

		მაჩვენებლები	გადამოწმების წყარო	გარე დაშვებები
ძირითადი მიზანი	1	10	11	9
პროექტის დანიშნულება	2	12	13	8
შედეგები	3	14	15	7
საქმიანობა	4	16. საშუალებები	17. დანახარჯები	6
				5. წინაპირობები

ცხრილი 7 ლოგიკურ-სტრუქტურული ცხრილის ნაბიჯ-ნაბიჯ შევსება (წყარო: პემ ინსტრუქცია, ევროპის კომისია, 2004 წლის მარტი)

ლოგიკურ-სტრუქტურულ მატრიცაში ოთხი შესაბამისი სვეტია:

ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის სვეტი 1

პირველი სვეტი პროექტის იერარქიის სხვადასხვა დონეებზე პროექტის ინტერვენციას აღწერს (ძირითადი მიზანი, პროექტის დანიშნულება, შედეგები, საქმიანობა).

ძირითადი მიზნები იმ შედეგებს აღწერენ, რომლებსაც პროექტი მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მოიტანს. მეორე რიგი პროექტის დანიშნულების აღწერას მოიცავს, კერძოდ კონკრეტულ მიზანს, რომელიც პროექტის ინტერვენციით იქნება მიღწეული. შემდეგი ცხრილი იმ შედეგებს აღწერს, რომლებიც პროექტის სასიცოცხლო ციკლის პერიოდში იქნება მიღწეული და საბოლოოდ საქმიანობებს, რომლებსაც პროექტი რეალურად განახორციელებს.

ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის სვეტი 2

მეორე სვეტი იმ მაჩვენებლებს ასახავს, რომელთა გამოყენებაც იმის განსაზღვრაში დაგეგმვარება, თუ რამდენად შესრულდა პროექტის მიზნები. აქ ნაკლებად სავარაუდოა „ძირითადი მიზნების“ დონეზე რაიმე მაჩვენებლების ქონა, თუმცა ზოგიერთმა დონორმა ორგანიზაციამ შესაძლოა დაამატოს/გამორიცხოს ისინი. ყველა ეს მაჩვენებელი დამოუკიდებლად გადამოწმებადი უნდა იყოს (იხილეთ მომდევნო პარაგრაფი).

ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის სვეტი 3

მესამე სვეტი გვიჩვენებს, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ მაჩვენებლების შეფასება/გადამოწმება და საიდან იქნება ეს დადასტურება მიღებული.

შენიშვნა: საქმიანობებისთვის, 2 და 3 სვეტები საშუალებებით/რესურსებით და შესაბამისად დანახარჯებით არის ჩანაცვლებული.

ეს სამი სვეტი იმ საქმიანობებს წარმოადგენს, რომლებიც პროექტის კონტროლის ფარგლებშია. ისინი პროექტის ზეგავლენის სფეროში შედიან. თუმცა, პროექტის საქმიანობის, შედეგებისა და დანიშნულების წარმატებულად მიღწევის უზრუნველსაყოფად, სხვა ფაქტორებიც არის საჭირო და ისინი პროექტის გავლენის ფარგლებს გარეთაა.

ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის სვეტი 4

მეოთხე სვეტი იმ „დაშვებებსა“ და „წინაპირობებს“ განსაზღვრავს, რომლებიც იმ შემთხვევაში უნდა შესრულდეს, თუკი პროექტი მთლიანად წარმატებული იქნება.

პროექტის დანიშნულება

პროექტის დანიშნულება ის მიზანია, რომლის მიღწევასაც პროექტი მისი მიმდინარეობისას ემსახურება. პროექტის დანიშნულება მიზნების ხიდან უნდა იქნას არჩეული.

ძირითადი მიზნის დადგენა

ძირითადი მიზნები ის მიზნებია, რომლებიც პროექტის პასუხისმგებლობების და კონტროლის გარეთაა, მაგრამ რომელთა მიღწევასაც პროექტი ხელს შეუწყობს. ისინი მიზნების ხიდან უნდა შეირჩეს.

პროექტის დაგეგმვის მატრიცა			
შეჯამება	ობიექტურად შემოწმებადი მაჩვენებლები	გადამოწმების წყაროები	დაშვებები
ძირითადი მიზანი			
პროექტის დანიშნულება			
შედეგები (რეზულტატები)			
საქმიანობები			

ცხრილი 8 პროექტის დაგეგმვის მატრიცის მაგალითი

პროექტის შედეგების დადგენა

პროექტის შედეგები პროექტის პასუხისმგებლობების, რესურსებისა და დროის განრიგის ფარგლებში იქნება მიღწეული. ისინი პროექტის მართვის მონიტორინგის პირდაპირი თემებია. შედეგები უპირველეს ყოვლისა მიზნების ხიდან უნდა იქნას შერჩეული (ის მიზნები, რომლებიც უშუალოდ პროექტის დანიშნულების დონის ქვემოთ მდებარეობენ). პროექტის დანიშნულების მიღწევა მისი შედეგების მიღწევით ხორციელდება.


საქმიანობებისა და რესურსების დადგენა

მომდევნო ნაბიჯი საქმიანობების ლოგიკურ-სტრუქტურულ მიდგომაში მოთავსებაა და აქ პასუხისმგებლობების, რესურსების, პერსონალის, დაფინანსების, ა.შ. გათვალისწინებაც ღირს.

2.4.3 დაშვებები და რისკები

პროექტის დაგეგმვის დოკუმენტი პროექტის მიზნების მისაღწევად საჭირო შესაბამის ინფორმაციას და ყველა ფაქტორს უნდა მოიცავდეს. იმის უზრუნველსაყოფად, რომ გეგმა სრულყოფილია, ჩვენ პროექტის დანიშნულების მისაღწევად საჭირო ყველა პირობები უნდა გავითვალისწინოთ. დაშვებები ის პირობებია, რომლებიც პროექტის წარმატებისთვის არის აუცილებელი, მაგრამ რომლებიც თვითონ პროექტის კონტროლს გარეთაა.

ამ პროცესის საფუძველი ე.წ. „ზიგზაგური“ ლოგიკაა. ეს ქვემოთ არის ილუსტრირებული.



სურათი 6 „ზიგზაგური“ ლოგიკა (წყარო: პემ ინსტრუქცია, ევროპის კომისია, 2004 წლის მარტი)

დაშვებები ის ფაქტორებია, რომლებზეც ზემოქმედება, ან რომელთა მიღწევაც პროექტს პირდაპირ არ შეუძლია, სხვაგვარად ისინი საქმიანობები იქნებოდნენ; შესაბამისად ისინი პროექტის გუნდის პირდაპირი კონტროლის მიღმა რჩებიან და პროექტის თითოეულ დონეზე ერთგვარ რისკს წარმოადგენენ.

რა თქმა უნდა, პროექტის ზემოქმედების მიღმა არსებული ფაქტორები პროექტის წარმატებისთვის ერთგვარ რისკს წარმოადგენენ. ბევრი პროექტი დეტალური საქმიანობის განხორციელებაში ძალიან წარმატებულია, მაგრამ მაინც ვერ ახდენს მოსალოდნელი გავლენის მიღწევას, მათი კონტროლისა და ზემოქმედების გარეთ არსებული ფაქტორების მიზეზით.

დაშვებები მათი მონიტორინგის მიზნით გეგმაში არის შეტანილი, ასე რომ პროექტის საქმიანობები აღნიშნული გარე ფაქტორების მონიტორინგსაც უნდა მოიცავდეს.

2.4.4 მაჩვენებლები

ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომის მაჩვენებლები პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების ზეგავლენისთვის მკაფიო და ცალსახა მონიტორინგის ინსტრუმენტების უზრუნველსაყოფად გამოიყენება. ეს მაჩვენებლები ობიექტურად შემოწმებადი უნდა იყოს.

მაჩვენებლები ის კრიტერიუმია, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება და რომლებიც პროექტის პროგრესის გადამოწმების საშუალებას გვაძლევს.

მაჩვენებლები პროექტის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს. მათი მიზანი იმის მონიტორინგი და შეფასებაა, თუ რამდენად აკეთებს პროექტი იმას, რის გაკეთებასაც ის ისახავდა მიზნად.

მაჩვენებლები იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ რაღაც საქმიანობა შესრულდა, რომ რეზულტატი/შედეგი განხორციელდა, დაუყოვნებლივი ეფექტი მიღებულ იქნა, ან გრძელვადიან ცვლილებას ჰქონდა ადგილი (ზეგავლენის მაჩვენებელი).

პროექტის დანიშნულებისთვის, რაოდენობა და ხარისხი უნდა განისაზღვროს, ისევე როგორც დროის განრიგი, ადგილმდებარეობა და სამიზნე ჯგუფები. შედეგებისთვის, რაოდენობის და ხარისხის დადგენა ზოგადად საკმარისია ხოლმე.

მაჩვენებლები გაზომვადი უნდა იყოს.

2.4.5 რაოდენობრივი მაჩვენებლები ხარისხობრივი მაჩვენებლების პირისპირ

მაჩვენებლების დაყოფა შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

- რაოდენობრივი მაჩვენებლები
- ხარისხობრივი მაჩვენებლები

ა. რაოდენობრივი მაჩვენებლები

მაჩვენებლები, რომლებიც გვეუბნებიან, თუ რამდენად სათანადოდ შესრულდა ჩვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობა და ქმედებები, რეზულტატის/შედეგის მაჩვენებლების სახელით არიან ცნობილები. ასეთი ტიპის მაჩვენებლები იმის მონიტორინგში დაგვეხმარება, თუ რამდენად კეთდება ის, რაც თქვენ დაგეგმეთ (რეზულტატი/შედეგი), თუმცა ისინი არ გვაწვდიან ინფორმაციას აღნიშნული რეზულტატების/შედეგების მიერ მოტანილ ეფექტზე/ზეგავლენაზე.

რაოდენობრივი მაჩვენებლები რაოდენობრივად შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სოფელში საკერავ მანქანებს ფლობენ.

ბ. ხარისხობრივი მაჩვენებლები

ხარისხობრივი მაჩვენებლები როგორც წესი ცვლილების (ზეგავლენის) მაჩვენებლებია. გარკვეული ტიპის შეკითხვებზე პასუხის გაცემა გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად განაპირობებს პროექტი ცვლილებებს ადამიანების ცხოვრებაში.

ხარისხობრივი მაჩვენებლები როგორც გარკვეულ საკითხზე ადამიანთა აზრები და აღქმები ისე შეგვიძლია განვიხილოთ, მაგალითად იმ ადამიანთა თავდაჯერებულობა, ვისაც ფინანსური დამოუკიდებლობის ინსტრუმენტად საკერავი მანქანები გააჩნიათ. ხარისხობრივი მაჩვენებლები არა რიცხობრივი ფაქტორებია, კონკრეტული მიზნის მიღწევის პროგრესის დონის დასადგენად. ხარისხობრივი მონაცემები უფრო მეტად მოსაზრებებსა და შეხედულებებს ეყრდნობა, ვიდრე მყარ ფაქტებსა და რიცხვებს.

შუალედური შედეგების/რეზულტატის (რაოდენობრივი) მაჩვენებლები „პცმ პროექტის“-თვის (SRMIDP-ის მე-2 კომპონენტი) რეზულტატის/შედეგის გაზომვა	
მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული
ადგილობრივი თვითმმართველობების პროცენტული მაჩვენებელი, ჩამოყალიბებული პცმ სისტემებითა და პროცედურებით	პროცენტულობა
ადგილობრივი თვითმმართველობების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა პერსონალს პცმ სისტემების ოპერირება შეუძლიათ	პროცენტულობა

რეზულტატის (რაოდენობრივი) მაჩვენებლები „პცმ პროექტის“-თვის (SRMIDP-ის მე-2 კომპონენტი) რეზულტატის გაზომვა (პროექტის დანიშნულება).	
მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული
ადგილობრივი თვითმმართველობების პროცენტული მაჩვენებელი, ჩამოყალიბებული პცმ სისტემებითა და პროცედურებით	პროცენტულობა
ადგილობრივი თვითმმართველობების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა პერსონალს პცმ სისტემების ოპერირება შეუძლიათ	პროცენტულობა

რეზულტატის/შესრულების (ხარისხობრივი) მაჩვენებელი „პცმ პროექტის“-თვის (SRMIDP-ის მე-2 კომპონენტი) ზემოქმედების გაზომვა (ძირითადი მიზანი)	
მოქალაქეთა კმაყოფილების დონე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურებებით	მოქალაქეთა აზრი

ცხრილი 9 პცმ პროექტის მაჩვენებლები

2.5 პროექტის განმარტებითი ბარათი (პგბ)

პროექტის განმარტებითი ბარათის (პგბ) ძირითადი მიზანი საპროექტო წინადადების მონახაზის მკაფიო ფორმატში წარმოდგენაა, რომელიც შემდგომში დასამტკიცებლად შეიძლება განვიხილოთ. როგორც კი წინასწარი თანხმობა მიღებულია, ჩვენ უფრო დეტალური საპროექტო წინადადების მომზადებას შეგვიძლია შევუდგეთ, ტექნიკური დავალების ჩათვლით. განმარტებითი ბარათისთვის საჭირო ძირითადი პარაგრაფები ქვემოთ არის მოცემული:

ადმინისტრაციული დეტალები	პროექტის დასახელება და ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის პროექტის შესახებ.
პროექტის დასაბუთების მონახაზი	აღნიშნული პარაგრაფი უშუალოდ ადგილზე არსებულ პრობლემებზე გვაწვდის ინფორმაციას, რომელთა მოგვარებაც პროექტის ინტერვენციით უნდა მოხდეს. აქ მკაფიოდ უნდა იქნას წარმოდგენილი, თუ როგორ მოახდენს პროექტი აღნიშნული პრობლემების მოგვარებას და რა ალტერნატიული 'გადაწყვეტილებები' იქნა განხილული და უარყოფილი ამ კონკრეტული პროექტის სასარგებლოდ.
ძირითადი მომხმარებლების საჭიროებების გამოვლენა, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს	აღნიშნული პარაგრაფი გამოვლენილ საჭიროებებს და მათი პროექტით მოგვარების გზებს წარმოადგენს. ის დაინტერესებული მხარეების/საჭიროებების ანალიზს უნდა დაეყრდნოს და პროექტის მასშტაბსა და აქცენტებზე შესაბამისი ინფორმაცია წარმოადგინოს, ისევე როგორც პროექტის მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნები.
პროექტის მასშტაბი	აღნიშნული პარაგრაფი მოკლედ მიმოიხილავს პროექტის ინტერვენციას, პროექტის განხორციელებაში ძირითადი ეტაპების გამოვლენისთვის საკმარისი ინფორმაციის წარმოდგენით და იმის ჩვენებით, თუ როგორ შეუწყობენ ისინი ხელს სასურველ შედეგებს.
განხორციელების ხარჯები	აღნიშნული პარაგრაფი ცხრილის ფორმატში პროექტის ფინანსურ დანახარჯებს წარმოადგენს შვიდი წლის პერიოდისთვის, ისევე როგორც შედარებას სხვა ალტერნატიულ პროექტის ინტერვენციებთან (თუკი პროექტი 7 წელზე მეტ ხანს გაგრძელდება, დარჩენილი თანხა როგორ ერთჯერადი თანხა (პაუშალური თანხა) ისე ჩაიწერება). კრიტიკულია, რომ აღნიშნულ პარაგრაფში ყველა შესაბამისი ხარჯი შევიდეს, გარეშე ზემოქმედების შემარბილებელი ნებისმიერი ზომების ჩათვლით.
პროექტის სარგებელი	აღნიშნულ პარაგრაფებში მოთხოვნილი ინფორმაცია იმ სარგებელს უკავშირდება, რომელიც ინტერვენციას წინასწარ გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებზე ექნება და საჭიროების შემთხვევაში, აქ მანამდე განხილულ ალტერნატიულ შემოთავაზებებთან არსებული განსხვავებები უნდა დაფიქსირდეს. ამას გარდა, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების სახარჯთაღრიცხვო ვარაუდების წარმოდგენაც უნდა მოხდეს. საბოლოოდ, ეს პარაგრაფი უნდა განმარტავდეს, თუ რატომ არის პროექტი სახელმწიფო სახსრების ყველაზე გონივრული გამოყენება უარყოფილ ალტერნატივებთან შედარებით.
ხელმისაწვდომობა	საბოლოო პარაგრაფი პროექტის მუნიციპალურ ბიუჯეტზე ზეგავლენას და საკუთრების, სამომავლო მოვლა-შენახვის (სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის ჩათვლით) და გარემოს დაცვითი ხარჯების დეტალებს უნდა წარმოადგენდეს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა კვლევებს, რომლებიც საბოლოო დამტკიცებამდე შესაძლოა გახდეს საჭირო - მაგ., ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

ცხრილი 10 პროექტის განმარტებითი ბარათის (პგბ) ძირითადი პარაგრაფები

იხილეთ დანართი 2 "პროექტის გამოვლენის ინსტრუმენტები" პროექტის განმარტებითი ბარათების რეალური მაგალითების სანახავად.

2.6 მუნიციპალიტეტებში გამოვლენილი პროექტების სიტუაციური მაგალითები

2.6.1 გორის მუნიციპალიტეტი

სიტუაციური მაგალითი : გორის ხიდი

დამუშავებული მაგალითი : ქალაქ გორში ხიდის მშენებლობის მიზნით დაინტერესებულ პირთა ანალიზი, რაც საჭიროა პროექტის პრობლემის და საშუალო ვადიანი ზემოქმედების განსაზღვრისთვის.

გორი მდებარეობს საქართველოს სამხრეთით შიდა ქართლის რეგიონში სადაც 50.000 მოსახლეა, მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა შემცირდა 69,000-ს წარმოადგენდა, ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა მოსახლების ზრდა. ქალაქის ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობა სოფლის მეურნეობას, ტურიზმს, საშუალო და მცირე წარმოებას და მომსახურების სექტორს. მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა თბილისში გადადის საცხოვრებლად. თბილისი გორს 90 კმ დაშორებით მდებარეობს და გზად 45 წუთის სავალია.

გორში დაიბადნენ ისეთი გამოჩენილი ისტორიული ადმიანები, როგორებიც იყვნენ სტალინი და ცნობილი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი. გორში ბევრი ისტორიული ძეგლები არსებობს-გორი ჯვარი რომელიც 17-18 საუკუნეებში აშენდა და იქვე ახლოს მდებარე კლდეში გამოკვეთილი ქალაქი უფლისციხე, რომელიც მე-7 საკუნეში აშენებულ სიონის ათენის ეკლესიაზე ადრე იქნა შექმნილი, ეკლესია ასვე ტურისტული სანახაობის ერთერთ საინტერესო ობიექტს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ეყრდნობა სოფლის მეურნეობის დარგს (მეხილეობა, ბოსტნეულის და მარცვლეულის წარმოება და მეცხოველეობა) რაც შეეხება სხვა სფეროებს ეს არის: კომერციული საქმიანობა, ტრანსპორტირება, მშენებლობა და ტურიზმი. გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, მათ გამოხატეს სურვილი ტურიზმის განვითარების და მთლიანი კომერციული და სავაჭრო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა 17, სექტემბერი 2013 წ. შიდა ქართლის 2014-2021 წლებზე გათვლილი მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა. დოკუმენტი ატარებს ზოგად ხასიათს და არ ითვალისწინებს კონკრეტულ განვითარების გეგმას არც გორისთვის და არც სხვა მუნიციპალიტეტებისთვის. მიუხედავად ამისა, არსებული გეგმა ზოგადად განსაზღვრავს ეკონომიკის, სოციალური, ჯანდაცვის და განათლების ძირითად საკითხებს.

პროექტი ეხება მდინარე ლიახვზე ახალი ხიდის მშენებლობას, რომელიც ქალაქის ორ მხარეს დააკავშირებს (ქვემოთ იხილეთ რუკა) მეორე ალტერნატიული ხიდი, რომელიც აშენდა ამ საუკუნის ბოლოს და 2008 წლის რუსეთ საქართველოს საომარი კონფლიქტის დროს დაზიანდა, მდინარეზე გადასვლის ერთადერთი საშუალება.

გორში მანქანების მოძრაობის სიხშირე საკმაოდ მაღალია, რაც მისი თბილისთან სიახლოვეთაც აიხსნება. ბოლო წლებში ახალი საგზაო მაგისტრალი იქნა გაკეთებული, რამაც მეტნაკლებად შეამცირა სატრანსპორტო მოძრაობა. როგორც წესი, გადატვირთული საგზაო მოძრაობა გვხვდება მთავრ გზებზე და განსაკუთრებით პიკის საათებში. დასავლეთ ნაპირზე ამ დატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის ფონზე ხიდი კიდევ უფრო დატვირთულია, რაც ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს.



მდებარეობა

იმ ადგილას, სადაც ახალი ხიდის მშენებლობა იგეგმება, მიწა უსარგებლოა და არც მისასვლელი გზა არ არსებობს, ამიტომ ეს ადგილი ნაგავსაყრელად არის მიჩნეული, რაც საჭიროებს აღდგენას.



მდინარის დასავლეთ სანაპიროს ხედი

მდინარის დასავლეთ მხარეს არსებული საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ შეკეთებას, რაც მუნიციპალიტეტის მთავარ საზრუნავს და ამ მხრივ კერძო თუ სახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას და გორის როგორც მიმზიდველი ქალაქის შექმნის პერსპექტივას ქმნის.

გარდა ამისა, ქალაქის მეორე ნაპირთან დასაკავშირებელი მისასვლელი ადგილის შეკეთება ხელის შეუწყობს ინვესტიციების შექმნას, რომელიც თავის მხრივ ქარხნების და საწარმოების ამუშავებას უზრუნველყოფს ქალაქის სასარგებლოდ.



ძველი ქარხნები/საწარმოები



გორის აღმოსავლეთით ახალი ხიდის სავარაუდო მდებარეობა.

ახალი ხიდის მშენებლობა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო წლების განმავლობაში. მოსახლეობის ნელი ზრდა და სუსტი ეკონომიკა აღმოჩნდა კატალიზატორი იმისთვის, რომ წინ წამოწეულიყო ხიდის მშენებლობის შედეგად მიღებული სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხი.

ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სწორად განხილვის მიზნით, გაკეთდა დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი, რომლის შედეგებიც მოყვანილია ქვემოთ.



ძველი ხიდი

დაინტერესებულ მხარეთა ცხრილი

დაინტერესებული მხარე	პრობლემები
ბიზნეს სექტორი	<p>მომხმარებელთა შემცირებული რაოდენობა</p> <p>დაგვიანებით პროდუქტის მიღება</p> <p>რეგულარული საცობი ქალაქის ცენტრში</p> <p>შეზღუდული ბიზნეს შესაძლებლობები</p> <p>ფერმერებისთვის ბაზრების ხელმისაწვდომობის პრობლემა</p>
ტურისტები	<p>არასაკმარისი საცხოვრებლით უზრუნველყოფა</p> <p>ნაკლები ტურისტული შემოთავაზებები</p>
ქალაქის მოსახლეობა	<p>გაზრდილი მოსახლეობის რაოდენობა</p> <p>მდინარის დასავლეთი ნაპირთან ხელმისაწვდომობის სირთულე</p> <p>დასავლეთ ნაპირიდან ქალაქის ცენტრთან დაკავშირების პრობლემა</p> <p>ნელი სატრანსპორტო მოძრაობა</p> <p>ქალაქის სხვადასხვა მხარეებთან დაკავშირებისთვის დიდი დროის ხარჯი</p>

გარემოს დაცვის სამინისტრო	ჭაერის დაბინძურება რაც დაკავშირებულია მოსახლეობის მზარდი რაოდენობასთან
ეკონომიკის სამინისტრო	დაბალი ეკონომიკური აქტივობა
გორის მუნიციპალიტეტი	შეზღუდული ტურისტული პოტენციალი არა-გაშენიანებული მდინარის დასავლეთი მხარე

მას შემდეგ რაც მოხდა პოტენციური პრობლემების გამოვლენა, განისაზღვრა მათი ერთმანეთთან ურთიერთ კავშირი და შემუშავდა „ხე“ ან სტრუქტურა, რომელიც მათ ურთიერთ კავშირის გამოხატავს, (იხილეთ ცხრილი ქვემოთ ილუსტრაციის სახით). ეს მიდგომა სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც განსაზღვრავს პროექტის შედეგებს და ასევე უზრუნველყოფს დამატებითი ფაქტორების აღმოჩენას, რომელიც პროექტის კონტროლის მიღმა შეიძლება არსებობდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია პროექტის დამატებითი ღირებულების განსაზღვრა და პროექტის მიერ შექმნილი ცვლილების წინასწარი შეფასება განვახორციელოთ ასევე განვსაზღვროთ თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი პროექტის დასრულების შემდგომ მის შენარჩუნებასა და მოვლაზე.


გამარტივებული პრობლემების ხე

მას შემდეგ რაც მოხდა პოტენციური პრობლემების გამოვლენა, განისაზღვრა მათი ერთმანეთთან ურთიერთ კავშირი და შემუშავდა „ხე“ ან სტრუქტურა რომელიც მათ ურთიერთ კავშირის გამოხატავს, (რაც მოყვანილია ქვემოთ ილუსტრაციის სახით). ეს მიდგომა სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც განსაზღვრავს პროექტის შედეგებს და ასევე უზრუნველყოფს დამატებითი ფაქტორების აღმოჩენას, რომელიც პროექტის კონტროლის მიღმა შეიძლება არსებობდეს.

გარდა ამისა, შესაძლებელია პროექტის დამატებითი ღირებულების განსაზღვრა და პროექტის მიერ შექმნილი ცვლილების წინასწარი შეფასება განვახორციელოთ ასევე განვსაზღვროთ თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი პროექტის დასრულების შემდგომ მის შენარჩუნებასა და მოვლაზე.

ამ ანალიზს რომ მივყვეთ, დავინახავთ, მთელ რიგ მიზეზებს თუ რატომ არის ეს ინვესტიცია ქალაქისთვის ხელსაყრელი - ხიდის მშენებლობა და რეკრეაციული პარკის/ბაღის მშენებლობა.

ამ პროექტის შემდეგი ეტაპი არის ფინანსურ ეკონომიკური კვლევის ჩატარება, რათა მოხდეს პროექტთან დაკავშირებული საკითხების ყოვლისმომცველი შესწავლა. ეს ანალიზი უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების და ფინანსურ ეკონომიკური კვლევის და პოტენციური დაფინანსების წყაროების მოძიების საშუალებას.



დასკვნები

ამ მიდგომის მთავრ მიზანს წარმოადგენს, ის რომ პროექტის დიზაინზე მომუშავე მხარისათვის არსებული პრობლემები და საკითხები გასაგები და აღქმადია, რომელიც პროექტის განხორციელების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული და ასევე თუ რას უნდა მოიცავდეს ტექნიკური დავალება.

შემდეგი ეტაპი უკვე ტექნიკური დავალების და ფინანსურ ეკონომიკური კვლევის სამუშაო ვერსიის შედგენა იქნება. ტექნიკური დავალების შედეგების ერთერთ მოთხოვნას ასევე წარმოადგენს პოტენციური სირთულეების და პრობლემების განსაზღვრა.

შემდეგი ნაბიჯები:

1. ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსიის მომზადებაში ხელშეწყობა
2. ტენდერის გამოცხადება (მუნიციპალიტეტი)
3. სატენ დერო წინადადების შეფასებაში რეკომენდაციის გაწევა.

სიტუაციური მაგალითი: გორში ხიდის მშენებლობის პროექტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ნაწილი 2

გორი. ნაწილი 2: “პროექტების აკინძვა & პროექტების დაგეგმვა”

ნებისმიერი პროექტის შემუშავების შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიქმნას გარე ფაქტორები, რომელიც ზეგავლენას მოახდენს პროექტის აქტივობებზე და შედეგებზე. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დამპროექტებელს ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია, რათა პროექტი მოარგოს შეცვლილ გარემოს.

ესეთ მოვლენას ნებისმერ დროს შეიძლება ჰქონდეს ადგილი მთავარია, პროექტმა უპასუხოს ცვლილებებს და მოხდეს მისი ხელახალი დაპროექტება.

გორში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით დამპროექტებლებს მოუწიათ პროექტის ხელახალი გადახედვა და მისი მისადაგება არსებულ სიტუაციასთან

პროექტების აკინძვა

პროექტების აკინძვა გახლავთ პცმ პროცესის ნაწილი, კერძოდ კი პოტენციური მიზნების გამოვლენა მიზნების ხეთა სისტემის გამოყენებით. ეს გახლავთ დიაგრამა, რომელიც მიზნების ურთიერთკავშირს ასახავს.


ამ მიმოხილვითი ეტაპის დროს ხდება პროექტის გამოვლენა- რეალისტური და განხორციელებადი პროექტების გამოვლენა და შეფასება.

გორის შემთხვევაში განვითარების პროგრამა წარმოდგენილია მრავალი მცირე მოცულობის პროექტების სახით, რაც ერთ მთლიან სურათს ქმნის საერთო ჯამში და მას მეტი ზემოქმედებს უნარი გააჩნია, რის გამოც დონორის მხრიდან იქნა დაფინანსებული. (აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონორისთვის მსგავსი ფართო მასშტაბიანი პროექტი ბევრად მიმზიდველი და საინტერესოა)

ქვემოთ მოცემული „მიზნების ხე“ წარმოადგენს მხოლოდ მიზნების ილუსტრაციას. თითოეული უჯრა პოტენციური პროექტს გამოსახავს, ნებისმიერი მითითებული მიზანი შეიძლება, რომ პროექტად გამოვლინდეს თუმცა ხის კენწეროში მოქცეულ მიზნებს მეტი ზემოქმედების გამოწვევის შესაძლებლობა გააჩნიათ, რასაც თავისთავად მეტი რესურსი, მატერიალური თუ ფინანსური სახსრები სჭირდება.

აქედან გამომდინარე ნათელია რომ ხის ძირას განთავსებულ პროექტის/მიზნების ზემოქმედების ხარისხი იმდენად იქნება მაღალი, რამდენადაც კიდევ დამატებით პროექტები განხორციელდება მესამე მხარის მიერ.

(უნდა აღნიშნოს, რომ *მოხერხებულობისთვის თითოეული მიზნების უჯრას მინიჭებული აქვს დასახელება*)



თავდაპირველი პროექტი ეხებოდა გორში, მდინარე ლიახვზე ხიდის მშენებლობას, რომელიც ქალაქის საპირისპირო მხარეებს ერთმანეთთან დააკავშირებს.

ძველი ხიდი, რომელიც გასულ საუკუნეში აშენდა და დაზიანდა რუსეთ საქართველოს 2008 წლის საომარი კონფლიქტის შედეგად, ერთადერთი საშუალება მდინარეზე გადასასვლელად.

გარდა ამისა, არსებობს პარკის გაშენების შესაძლებლობა ხიდის აღმოსავლეთ სანაპიროს, რომელიც მეორადი პროექტის სახით წარმოდგება მთლიანი პროგრამის შიგნით.



პარკის და ხიდის ხედი

მიუხედავად, იმისა რომ ეს ინიციატივა გაზრდილ საბიუჯეტო და დროის რესურს მოითხოვს, ამ ერთმანეთისგან განსხვავებული თუმცა უერთ დაკავშირებული პროექტების ზემოქმედება საკმაოდ მაღალი იქნება.

შემდეგი ნაბიჯი, უკვე ფინანსურ ეკონომიკური კვლევისთვის ტექნიკური დავალების შედგენას ეხება, რათა დასრულდეს ხიდის და პარკის გაშენების პროექტის დიზაინის ფაზა. ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ანგარიშებში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაძლო ხელისშემშლელი ფაქტორები და სირთულეები.

ტექნიკური დავალების შედგენა

შემდეგი ეტაპი დაეთმო გაერო მოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისთვის ტექნიკურ დავალების მონახაზის და საბოლოო პროექტების დიზაინს შედგენას.

ინფრასტრუქტურის სამსახურმა უნდა დაასრულოს დეტალურად დოკუმენტზე მუშაობა პცმ გუნდის მხარდაჭერით.

პროექტის დასახელება	გორი. ახალი ხიდის მშენებლობა და რეკრეაციული პარკი
შინაარსი	<p><i>ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით გარემო ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოთხოვნა</i></p> <p>წარმოადგინეთ დასაბუთება გზმ და პროექტისთვის</p> <p>პროექტის მოკლე აღწერა (ლოგიკური ჩარჩო მიუთითეთ) ასევე ძირითადი ინფორმაციის მითითებით: მიზნები, ადგილმდებარეობა, ხანგრძლივობა, პროექტის სასიცოცხლო ციკლი</p> <p><i>მიუთითეთ პროექტის ტექნიკურად განხორციელებადი ალტერნატივები.</i></p> <p><i>პროექტის გზმ შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიება: ეს მოიცავს სათანადო კვლევებს ან სხვა პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.</i></p>
მიზნები	გზმ დოკუმენტი მუნიციპალიტეტს უზრუნველყოფს საკმარისი ინფორმაციით გარემო ფაქტორებზე ინფორმაციის, პროექტის

	დადასტურების, მიღების და უარყოფის ან მისი შეცვლის თაობაზე.
შედეგები	<p>აქ მნიშვნელოვანია მკაფიოდ იყოს ხაზგასმული თუ მუნიციპალიტეტს კონტრაქტორისგან რა მოლოდინები აქვს. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არსებულ კანონმდებლობის გათვალისწინებით პროექტის მიმოხილვა ○ სხვა ალტერნატივების შეთავაზება ○ დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების და მათი მოთხოვნების აღწერა ○ პროექტთან დაკავშირებული ძირითადი გარემოსდაცვითი საკითხების და მოსალოდნელი აქტივობების აღწერა ○ ხიდის და პარკის გაშენების ადგილის აღწერა ასევე სხვა ფაქტორების დასახელება, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს პროექტის შედეგებზე. ○ რეკომენდაციები კონკრეტული ზემოქმედების შესახებ და რა გზით მეთოდოლოგია იქნება გამოყენებული ○ გზით შესრულებისთვის საჭირო დრო და მიახლოებითი ხარჯებისა და რესურსების აღწერა
საპროექტო შედეგები	<p>მუნიციპალიტეტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს საპროექტო შედეგების ჩამონათვალი მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ განსაზღვრეთ და შეაფასეთ პროექტების და ან მათი ალტერნატივების პოტენციური გარემო ზემოქმედება ○ რეკომენდაციები გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტის მიზნით ○ პროექტის აქტივობების ხელახალი შემუშავების წინადადება ○ დამატებითი რისკების მართვის გადაწყვეტის წინადადება ○ პროექტის აქტივობების დროს წარმოქმნილი შესაძლო შეფერხებების აღმოფხვრის შეთავაზება
მითითება	<p>გამოიყენეთ მონახაზი / ლოგიკური ჩარჩო</p> <p>პროექტთან დაკავშირებული დამატებითი მასალების ან კვლევების გამოყენება</p>

პროექტების დაგეგმვა

პროექტის დაგეგმვა მოითხოვს პროექტებს შორის ურთიერთკავშირის და ურთიერთ ზეგავლენის დადგენას. ესეთი მიდგომა წარმოადგენს პროექტებს შორის

სისტემურ კავშირს, რომელიც ითხოვს გრძელვადიანი მიზნების დასახვას, სადაც კარგად ჩანს განსახორციელებელ პროექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება.

გორში ამჟამად ახალი განვითარების პერსპექტივა იკვეთება, რომელიც პროექტის დიზაინზე მოახდენს ზეგავლენას. მუნიციპალიტეტში დაფინანსდა სხვადასხვა სახის ტურისტული ღონისძიებები ქალაქისა გარემოს განაშენიანებისთვის, რომელიც ქალაქის გარშემო მოიცავს საველოსიპედო გზების შექმნას და შემდგომ მის გაფართოებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნდა გამოვლინდეს ერთმანეთთან კავშირში მყოფი პროექტები.

პროექტის ფარგლებში იგეგმება სხვა პროექტებთან ურთიერთკავშირში ახალი ტურისტული ცენტრის მშენებლობა.



კულტურული სავაჭრო ცენტრი





5 კმ გზა რომელიც ქალაქის ცენტრს დააკავშირებს სხვადასხვა ტურისტულ ადგილებთან. არსებული პროექტი ასევე გულისხმობს საშუალო და მცირე ბიზნესების ხელშეწყობას ტურიზმის კუთხით ასევე ტურიზმის შესახებ ცოდნის ამაღლებას. პროექტის დაგეგმარება ასევე უზრუნველყოფს პოტენციური საფრთხეების და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. ასევე ადამიანური, მატერიალური ფინანსური და დროის რესურსების გადანაწილებას.

მსგავსად განტის ცხრილი გამოიყენება ამ კომპონენტების განსაზღვრისთვის პროექტის შემუშავების დროს, რაც საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ქვემოთ. მნიშვნელოვანია, ის რომ გავითვალისწინოთ სად არსებობს გარდაუვალი საჭიროებები, დამატებითი რესურსები ან დრო რომ საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული გზების გამოძებნა შევძლოთ.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროექტების უმეტესობის დაგეგმვა უნდა მოხდეს მისი დაპროექტების ფაზაში და ასევე მათი განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონიტორინგი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია პროექტებზე ურთიერთზემოქმედების საკითხი და სავარაუდო პრობლემები, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს პროექტის მიმდინარეობა და სხვა პროექტებზეც იმოქმედოს.

		გამარტივებული განტის ცხრილი														
		Q 1	Q 2	Q 3	Q 4	Q 1	Q 2	Q 3	Q 4	Q 1	Q 2	Q 3	Q 4	Q 1	Q 2	Q 3
პროექტი 1	ადამიანური რესურსების მართვა - ექსპერტიზა															

	მასალები																			
	ფინანსები																			
პროექტი 2	ადამიანური რესურსების მართვა - ექსპერტიზა																			
	მასალები																			
	ფინანსები																			
პროექტი 3	ადამიანური რესურსების მართვა - ექსპერტიზა																			
	მასალები																			
	ფინანსები																			
პროექტი 4	ადამიანური რესურსების მართვა - ექსპერტიზა																			
	მასალები																			
	ფინანსები																			

პცმ ჯგუფის მიერ განსახორციელებელი შემდეგი ნაბიჯები:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის შესადგენი ტექნიკური დავალების მომზადებაში მხარდაჭერა (კვარტალი 3/2018)
2. სა ტენდერო წინადადებების შეფასებაში მხარდაჭერა (კვარტალი. 3/2018)
3. მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პროექტების გადახედვა (კვარტალი 3/2018)

4. პოტენციური საერთაშორისო დონორის გამოვლენაში მხარდაჭერა (3 კვარტალი/2018)

მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი შემდეგი ნაბიჯები:


1. გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის შესადგენი ტექნიკური დავალების დასრულება (კვარტალი 3)
2. ტენდერის გამოცხადება (კვარტალი 3)
3. სატენ დერო წინადადებების შეფასების განხორციელება (კვარტალი 3) გამოვლენილი პოტენციური პრობლემების გადახედვა (Q3/2018)

2.6.2 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

სიტუაციური მაგალითი: თეთრიწყაროსა და მიმდებარე სოფლებისთვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება

ზოგადი ინფორმაცია

მუნიციპალიტეტი თბილისის მახლობლად მდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, რომელიც მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით. მთლიანი მოსახლების რაოდენობა 21.000 აღწევს, საიდანაც 17.000 სოფლად მაცხოვრებელია. მუნიციპალიტეტში შექმნილია საფეხმავლო ბილიკები და საველოსიპედო გზები. სოფლებში დიდ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის მიწოდება. ამდენად, აუცილებელია საკითხის დაუყოვნებლი გადაჭრა: ხარისხიანი სასმელი წყლის რესურსების მოპოვება სოფლებისთვის და ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა.



უნდა აღინიშნოს, რომ 84 სოფლიდან ოთხი სოფელი მთლიანად დაცარიელებულია.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა პროდუქციის წარმოების და სავაჭრო ბრუნვის ზრდა. დასაქმების მაჩვენებელი 30% არის გაზრდილი.

თეთრ წყაროს მაღალი ტურისტული პოტენციული გააჩნია, ამჟამად მხოლოდ რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმრო ფუნქციონირებს. ტურისტული ობიექტების არ არსებობა და ტურიზმის ნაკლებობა მოსახლეობის მიერ დამატებითი პდუქტის წარმოებისთვის მოტივაციის შექმნის ხელისშემშლელი ფაქტორია.

თეთრიწყაროს დათვალიერება შეიძლება დაიწყოს ასურეთით, ძველად ელისაბედად წოდებული, სადაც გერმანული სასაფლოები დღემდე შემორჩენილია, ასევე შესაძლებელია 1871 წელს აშენებული ლუთერანის ეკლესიის, ღვინის მარნების, ვენახების და გერმანელების მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლების მონახულება. (Fachwerkhaus/ხის სახლი).

საქართველოში გერმანულ ფესვებს საფუძველი ჩაუყარა შვაბიანთა გვარმა, რომელიც რელიგიური საკითხზე შექმნილი კონფლიქტს გამო იმპერატორი ალექსანდრეს I (1815-1818). დროს გამოიქცა გერმანიიდან. ელისაბედალში (ასურეთი) განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა, ლუთერანელი მღვდელი სოფელ შულტს ედგა სათავეში. აღსანიშნავია გერმანელების მიერ გაშენებული ხეივანი ლუსტართანი. ადგილობრივმა გერმანელებმა შექმნეს საკანალიზაციო სისტემა და პირველი ჰიდრო ჰესი სოფლების მოსამარაგებლად. ევგენი რეიტენბახი გახლდათ ცნობილი გერმანელი ღვინის მწარმოებელი, რომელმაც 5.000 ტონა ღვინო აწარმოა. იგი 1938 წელს გარდაიცვალა.



თეთრიწყაროდან გუდარების მონასტრამდე (XII-XIII) შესაძლებელია გაკეთდეს საფეხმალო ტურისტული გზა. სამონასტრო კომპლექსი ძველი სასახლის, საცხოვრებელი სახლების და ღვინის მარნების ნანგრევებს ინახავს. მონასტერი და მისი სამრეკლო, რომელიც დემეტრე II მეფის დროს 1278 წელს იქნა აგებული, მდებარეობს ტყეში და ამდენად გუდარებიდან მონასტრამდე საფეხმავლო მარშუტი ძალზედ საინტერესო იქნება ტურისტისთვის. გზად მონასტერისკენ შეხვდებით გამოქვაბულს, სადაც ქართველი საზოგადო მოღვაწის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლის, ქაუცა ჩოლოყაშვილის თავშესაფრის ადგილი იყო.



ასევე აღსანიშნავია 6-7 საუკუნეებში აგებული მანგლისის კათედრალი და აქვე ხელვნურად შექმნილი ბურატინოს ტბა, არსენას გამოქვაბული და იქვე არსებული საპიკნიკე და დასასვენებელი ადგილები. ალგეთის ეროვნული პარკის გზის სათავე იწყება მანგლისიდან, განსაკუთრებით შემოდგომის სეზონზე ძალზედ ლამაზია შერეული ფოთლოვანი ტყეებით.



ამდენად, უძველესი ისტორიულ-კულტურული სანახაოებები და ტყე-პარკები საუკეთესო საშუალებაა ტურიზმის აყვავებისა ხელშეწყობისთვის მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორცაა გზების რეაბილიტაცია, ელექტროენერჯით, წყალმომარაგებით, გაზით და საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფა მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში.

მუნიციპალიტეტის გზების მხოლოდ 14% ია მოასფალტებული, რაც ზოგადად მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენს-შიდა მეურნეობების განვითარების ტრანსპორტირების ხარჯების გაზრდისა და უსაფრთხოდ მგზავრობის დამაბროკოლებელ ფაქტორად ითვლება.

განთლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში სკოლამდელ განათლებას მოსახლების 64% იღებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ არსებობს გამოუყენებელი რესურსები რომლის 50% ჯერ კიდევ უთვისებელია. რეაბილიტირებულ იქნა საბავშვო ბაღები, ხოლო სკოლები საჭიროებენ შესაბამის აღდგენას. მუნიციპალიტეტში არსებობს კოდას ტრენინგ ცენტრი. ასევე მნიშვნელოვანია სპორტის და კულტურის დანიშნულების შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.


გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას ნარჩენების მართვის პრობლემა, რადგან მწირი საბიუჯეტო სახსრებით (4.86%) ვერ ხერხდება საჭირო რაოდენობის კონტეინერების და ნაგავსაყრელი ტრანსპორტის შექმნა. უკანონო ნაგავსაყრელების განადაგურება ჰიგიენისა და სანიტაციის დაცვის ერთერთი პირობაა, რაც ითხოვს შესაბამის რეაგირებას და მეტ ფინანსურ საშუალებას რათა შემცირდეს გარემოს დაბინძურების რისკი.

ტყე პარკების და ეროვნული ნაკრძალების მოვლა და შენარჩუნება ასევე ტურისტული პოტენციალის განვითარება მოსახლებისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომატანია.

მდებარეობა

რუკაზე ნაჩვენებია ის ადგილები, რომელიც უზრუნველყოფილია წყლით ხოლო ის ადგილები სადაც არ ხდება წყლის მიწოდება აღნიშნულია წითლად. მუნიციპალიტეტში არსებობს დამატებითი წყლის რესურსები მდინარეების, ნაკადულების სახით რომელიც წყალმომარაგების მნიშვნელოვანი წყაროა.



არსებული ძირითადი პრობლემები:

მუნიციპალიტეტში ძირითად პრობლემას წარმოადგენს წყალმომარაგება და ასევე საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით სასწავლო მაგალითის შემუშავება წყალმომარაგების პროექტის მოსამზადებლად, ასევე სხვა პროექტების შესაძლებლობების განსაზღვრა და მათი გამოვლენა.

წყალმომარაგების პრობლემის გადაჭრა შექმნის უკეთეს საცხოვრებელ პირობებს, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ეკონომიკური სტაბილურობის შექმნას სოფლებში. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა მოსახლეობაში დაავადების და დაბინძურების საშიშროებას შეამცირებს. ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა ტურიზმის განვითარების წინა პირობაა, რაც თავისთავად შემოსავლების ზრდასა და ბიზნესის განვითარებას უზრუნველყოფს.

სამომავლოდ მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტებს წარმოადგენს კერძო ბიზნესის ხელშეწყობა, გზების მოწყობა, ფერმერთა გაერთიანებების შექმნა, წყლის და სანიტაციის საკითხების გადაჭრა, ისტორიულ კულტურული ძეგლების ათვისება და ტურისტებისათვის უკეთესი საინფორმაციო წყაროს

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა-ბუკლეტების, საინფორმაციო მასალების მიწოდებით.

არსებული ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით პროექტის ფარგლებში შესაძლებელია დახმარების გაწევა და შესაბამისი საპროექტო წინადადების მომზადება, რათა სოფლად წყალმომარაგება იქნას მიღწეული.

არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემები


წყალმომარაგების პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას მუნიციპალიტეტში.

მხოლოდ 17 სოფელია უზურუნველყოფილი წყალმომარაგებით. საკანალიზაციო სისტემა მხოლოდ ქალაქ თეთრწყაროში არსებობს, რომლის სიგრძე 14 კმ და მთლიან რეაბილიტაციას საჭიროებს.

არსებული ჭები და საკანალიზაციო სისტემის არ არსებობა არ იძლევა ჰიგიენის ნორმების დაცვის საშუალებას.

ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებს დამატებითი წყლის რესურსების დადგენის მცდელობა ჰქონდათ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მდინარე და წყარო ხელმიუწვდომელია არასახარბიელო მდებარეობის გამო. არსებული საკითხი საჭიროებს შესაბამის კვლევას, რათა დადგინეს რეალური წყლის რაოდენობრივი რესურსი და მისი სტაბილურად მიწოდების შესაძლებლობა.





დაინტერესებულ მხარეთა მატრიცა

დაინტერესებული მხარე	(შესაძლო) ინტერესები და პრობლემები
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლების და ბიზნეს ობიექტების წყალმომარაგებით უზრუნველყოფა. • მომსახურების უწყვეტობა • დაფინანსების წყარო • სოციალურ-ეკონომიკური გარემოს, განსაკუთრებით კომუნიკაციების ხელშეწყობა

მოსახლეობა	<ul style="list-style-type: none"> • ხარისხიანი წყალმომარაგების სერვისი • ხარისხიანი საკანალიზაციო სისტემის მომსახურება • მისაღები ტარიფები • გამარტივებული ურთიერთობები • პასუხისმგებელი წყლის კომპანია (საჭიროა სწრაფი და სწორი ქმედებები, მოთხოვნის შემთხვევაში) • სუფთა გარემო
ბიზნეს სექტორი (არსებული და პოტენციური ახალი მომხმარებლები)	<ul style="list-style-type: none"> • ხარისხიანი წყალმომარაგების სერვისი • ხარისხიანი საკანალიზაციო სისტემის მომსახურება • მისაღები ტარიფები • გამარტივებული ურთიერთობები • პასუხისმგებელი წყლის კომპანია (საჭიროა სწრაფი და სწორი ქმედებები, მოთხოვნის შემთხვევაში)
წყლის ოპერატორი კომპანია (UWSCG) + მუნიციპალიტეტის წყლის კომპანია	<ul style="list-style-type: none"> • მეტი მომხმარებელი • ბრუნვის გაზრდა • უკეთესი სატარიფო სტრუქტურა • ახალი ინვესტიციები
გარემოს დაცვის სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> • გარემოს დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობა • გაუმჯობესებული წყლის ხარისხი
ჯანდაცვის სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> • სახალხო ჯანდაცვის საკითხები
კონტრაქტორის სამშენებლო სამუშაოები	<ul style="list-style-type: none"> • სახარბიელო მომხმარებელი • მისაღები ფასი და გადახდა • მარტივი შესყიდვის პროცედურა • კარგი რეპუტაცია (კონტრაქტორის რეპუტაცია ხშირად ამასთან არის დაკავშირებული) • მათი შეტანილი წვლილის თვალსაჩინოება
მიმწოდებლები	<ul style="list-style-type: none"> • სახარბიელო მომხმარებელი • მისაღები ფასი და გადახდა მომსახურებასა და პროდუქტზე • მარტივი შესყიდვის პროცედურა • გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა, ჯანსაღი კონკურენცია..
კომუნალური მომსახურების და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის საჯარო დაწესებულებები. (ელექტროობა, ტელეფონი, გაზი, საკაბელო ქსელი და გზები	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო გაცვლა წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მიღების მდებარეობის შესახებ. (საკუთარი ქსელების მოქმედების შემთხვევაში) • შეკეთების საჭიროების ან სამუშაოების დროში გახანგრძლივების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია. • სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დამტკიცება და ნებართვები • ერთობლივი დაგეგმვა და კოორდინაცია


ტურისტები	<ul style="list-style-type: none"> • სასიამოვნო და სუფთა გარემო. ირგვლივ გასართობი საშუალებები. • დაცული ტერიტორიების ხელმისაწვდომობა • ისტორიული ძეგლების ხელმისაწვდომობა
მასმედია (პრესა, ტელევიზია, რადიო)	<ul style="list-style-type: none"> • წყლის კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს ახალი ამბების მიწოდება • რაც მუნიციპალიტეტს შეუძლია, რომ გამოიყენოს ინვესტიციების მიზიდვის და ინფორმაციის გავრცელების მხრივ.
მოხალისე ორგანიზაციები (არასამთავრობო ორგანიზაციები)	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში შეიძლება ჰქონდეთ გაკრვეული შეხება და კავშირი პროექტის ფარგლებში (მაგალითად სოციალური დახმარება, მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციის გავრცელება, გარემოს დაცვა) • შესაძლებელია თანა-დამფინანსებელის არსებობა

გამარტივებული პრობლემის ხე

მას შემდეგ, რაც მოხდა პრობლემის გამოვლენა, მათ შორის კავშირის დადგენის მიზნით შეიქმნა გრაფიკული სტრუქტურა „ხე“ რომელიც ურთიერთ კავშირს უზრუნველყოფს. მსგავსი ტექნიკა სასარგებლოა, რადგან განსაზღვრავს წარმატებული პროექტის მიერ შექმნილ ზემოქმედების მასშტაბს და გამოავლენს სხვა დამატებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, რომელიც შეიძლება არსებობდეს პროექტის კონტროლის მიღმა.

ასევე დამატებითი ღირებულების და წინასწარი შეფასების გაკეთება და პროექტის დასრულების შემდეგ ობიექტის მოვლა -შენახვის საკითხის განსაზღვრა ძალზედ მნიშვნელოვანია.

ასეთი ანალიზის გაკეთება ემსახურება, ახალი წყლის რესურსების გამოვლენის და ამ მიზნით შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების აუცილებლობის განსაზღვრას.



დასკვნა

ეს მიდგომა ითვალისწინებს პროექტის კონცეფციის ისეთ შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური კონტრაქტორისათვის ყველა შესაძლო საკითხის და პრობლემის ხელმისაწვდომობას, რათა დროულად მოხდეს მათზე რეაგირება, როგორც კი პროექტის განხორციელების ეტაპი დაიწყება და ასევე- ტექნიკურ დავალებაში გასათვალისწინებელი საკითხების განსაზღვრას.

შემდეგი ნაბიჯები:

1. ტექნიკური დავალების შედგენაში ხელშეწყობა-ანალიზის საგანი
 - არსებული სიტუაციის, ძირითადი პრობლემების და ადგილზე სისტემის გაუმართაობის აღწერა

- მოთხოვნის ანალიზის გაკეთება დემოგრაფიული ანალიზისა და პროგნოზის ჩათვლით, წყალმომარაგებისა და საკანიზალიციო წყლის საკითხების გათვალისწინებით.
 - ტექნიკური და ტექნოლოგიური ანალიზი-წყალის რესურსების ხელმისაწვდომობა (ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, წყაროები) წყლის ხარისხი (წყლის გამწმენდის საჭიროება)
 - ალტერნატივების ანალიზი- მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის ვარიანტების შეფასება.
 - პროექტის ფინანსური ანალიზი მოიცავს დაფინანსების წყაროებს, საოპერაციო ხარჯებს (მათ შორის ცვეთა), საოპერაციო შემოსავლებს, სამუშაო კაპიტალს და ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებას. (ქსელის მიმდინარე ტარიფი და ბრუნვის შიდა კურსი)
 - ორგანიზაციული და სამართლებრივი ანალიზი განსაზღვრავს პროექტის შექმნის, განხორციელების და მოქმედების საუკეთესო ვარიანტს.
2. ტენდერის გამოქვეყნება (მუნიციპალიტეტი)
 3. სატენდერო წინადადების შეფასების მხარდაჭერა.

სიტუაციური მაგალითი: წყალმომარაგება თეთრწყაროში

ნაწილი 2

1. ზოგადი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია პროექტისთვის



თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ქვემო ქართლის ტერიტორიულ თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენს. ჩრდილოეთით ესაზღვრება კასპი და მცხეთა, აღმოსავლეთით- გარდაბანი და რუსთავი, სამხრეთ-აღმოსავლეთით-მარნეული სამხრეთით ბოლნისი, სამხრეთ-დასავლეთით-დმანისი და დასავლეთით წალკის მუნიციპალიტეტი. თეთრიწყარო თბილისიდან დაშორებულია 57 კმ და რუსთავიდან 60კმ. საერთაშორისო და ეროვნული მნიშვნელობის გზები კვეთს თეთრიწყაროს, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ფართი 1175.5 კვ.მ. (117 446 ჰა) საიდანაც 50.616 (63%) ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების სავარგულებია. 18.028 ჰა სახნავ-სათეს მიწებს უჭირავს. (36% სასოფლო სამეურნეო მიწებისა) 21.142 ჰა საძოვრებს უჭირავთ და 446 ჰა-ზე გაშენებულია ბაღები. (1% სასოფლო სამეურნეო მიწებისა)

თეთრი წყაროს კლიმატი ზომიერად ნესტიანია. ზამთარი საშუალოდ ცივი და ზაფხული-თბილი. საშუალო წლიური ტემპერატურა აღწევს 112-13⁰. ინვარში საშუალო ტემპერატურ მერყეობს 0⁰-10⁰ და ვილისში-15⁰-24⁰. წლიური საშუალო ნალექების რაოდენობა მერყეობს 500 - 900 mm; მზიანი დღეების რაოდენობა საშუალოდ წელიწადში აღწევს 220, როცა წვიმიანი დღეები-70 დღეს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ჰიდროგრაფიული ქსელის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია. თითქმის თეთრიწყაროს ყველა მდინარე მტკვარს უერთდება. მუნიციპალიტეტის სამხრეთით მდებარე მდინარე ხრამი ერთერთი მნიშვნელოვანი მდინარეა თავისი შენაკადებით: ასლანკა, ჭივჭივა, ახალქალაქის წყალი და თეთრიწყაროს წყალი. მდინარე ხრამი ქმნის კანიონს, რომლის სიგრძე 22კმ. მდინარე ალგეთი კვეთს მთელ მუნიციპალიტეტს. თეთრიწყაროს წყლის რესურსების დიდი ნაწილი მოდის წვიმის წყლებზე. წყლის ადიდება გაზაფხულის და ზაფხულის დასაწყისის არის დამახასიათებელი. შემოდგომასა და ზამთარში

წყლის დონე საგრძნობლად იკლებს. ალგეთის წყალსაცავი, რომელიც ირიგაციისთვის გამოიყენება, მდინარე ალგეთის შუა ნაწილში შეიქმნა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური წყლებით, აქ მოიპოვება ბაზალტის და მანგანუმის საბადო, თეთრი ქვა, თიხა, მადაროები.

ალგეთის ეროვნული პარკი მუნიციპალიტეტი ჩრდილოეთით მდებარეობს. პარკი ზღვის დონიდან 1100-2000 მ სიმაღლეზე მდებარეობს და 6,822 ჰა ფართს მოიცავს. აქ ხარობს 1,644 ჯიშის მცენარე, მათ შორის 250 ტიპის სოკო, ასევე 3 ტიპის კავკასიური ენდემური ჯიშის მცენარე. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მდიდარი ფაუნით აქ ბინადრობს როგორც ძუძუმწოვრები, ასევე სხვადასხვა ფრინველი და ამფიბია. მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ფაუნის სახეობა საქართველოს "წითელ ნუსხაშია" წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტში 90 სოფელი, ერთი დაბა და ერთ ქალაქია, აქედან 13 სოფელი მიტოვებულია და 6 სოფელში მაცხოვრებელთა რაოდენობა არ აღწევს 5 ადამიანს. მუნიციპალიტეტი დაყოფილია 20 ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულად. რომელთაგან 18 სათემო ტიპის დასახლებაა, ერთი დაბა და ერთი ქალაქი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და სოფლები					
#	ადმინისტრაციული ერთეული	სოფლები			
1	თეთრიწყარო ქალაქი	თეთრიწყარო ქალაქი			
2	მანგლისი (დაბა)	მანგლისი (დაბა)	ალგეთი		
3	ასურეთი	ასურეთი	ენაგეთი	შავსაკდარი	
4	ახალსოფელი	ახალსოფელი	გოხნარი	მირბითი	საფუძვრები
5	ბორბალო	ბორბალო	ერთისი	ვამლოვანი	გოუბანი
6	გოლეეთი	გოლეეთი			
7	დაგეთი	დაგეთი	სამშვილდ		


8	დ ურკუნი	დიდი დურკუნი	პატარა დურკუნი		
9	თონეთი	დიდი თონეთი	პატარა თონეთი	მოხისი	ცხრაკუდიანი
10	ირგა	პატარ ირგა	ალექსიევკა	Didi Iraga	Vizirovka
		ივანოვკა	მენკალისი	ნათიანი	ჯიგრაშენი
11	კლდეისი	დიდი კლდეისი	პატარ კლდეისი		
12	კოდა	კოდა	მუხათი		
13	მარაბდა	ახალი მარაბდა	კოთიში	ძველი მარაბდა	
14	ორბეთი	ორბეთი	ამლევი	ახალი ზირბათი	დიდგორი
		დრე	ვანათი	ნაოსარი	პანტიანი
		ლასტისციხე	მეორე შამთა	გვევი	ლილოვანი
		შამთა	ცვერი	წყლულეთი	
15	შეკვეთილა	შეკვეთილა	არხოთი	დიდი ნამდტვირანი	ზემო ჭინჭარიანი
		კოდის წყალი	ნაპილნარი	პატარა ნამტვირანი	უგუდეთი
		ქვემო ჭინჭარიანი	ჯვრისხევი (პოლანა)		
16	ჩხიკვთა	ჩხიკვთა	აბელიანი	გუდარები	ვაკე
		მაცევანი	ტბისი		
17	წინწყარო	წინწყარო	ქოსალარი	ქსოვრეთი	ხოფისი
18	ჩოჩავი	ჩოჩავი	დუმანისი	ზემო ახაშენი	ზემო ახკალაპა
		იფნარი	ლიპი	სამღერეთი	ფიტარეთი
		შიხილო	წყნარი აბანო	ქვემო ახკალაპა	ქვემო ახაშენი
19	ხაიში	ხაიში			
20	ჯორიაშვილი	ჯორჯიაშვილი	არდის უბანი	ბოგვი	საღრაშენი
		ფარცხისი	აბრამეთი		

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა 21.127-ია. მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ვარდნა 1989 და 2000 წლებში მოხდა. ბოლო 25 წლის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობა ორჯერ შემცირდა. 1989 წლის მონაცემებით თეთრწყაროში 36,432 მოსახლე ცხოვრობდა. მაცხოვრებელთა 85% სოფლებად ცხოვრობს ხოლო ქალაქში -3000 მეტი. მოსახლეობის 52% (10,792) ქალია და 48% (10,335) მამაკაცი.

თეთრწყაროს მოსახლეობის 85% (17,424) ქართველები არიან. 7-7% (1548 და 1544) არიან აზერბაიჯანელები და სომხები. ასევე ცხოვრობენ რუსები (1.3%), ბერძნები (0.85%) და ოსები (0.4%).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებლები სარგებლობენ მთის კანონით გათვალისწინებული სარგებელი. 49 სოფელი, ერთი პატარა ქალაქი (დაბა) და ერთი ქალაქი აკმაყოფილებს მთის კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

2. სტრატეგიის შემუშავების პროცესი



ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენელთა მონაცემებით, თეთრწყაროს განვითარების სტრატეგიის ოთხი პრიორიტეტია გამოვლენილი:

- გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა და კატასტროფების რისკის შემცირება

- სასოფლო-სამეურნეო და არა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების კონკურენტუნარიანობისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა
- სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
- სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება / რეაბილიტაცია

სიტუაციური მაგალითის მიმოხილვისთვის ყველაზე რელევანტურია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

✚ გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა და კატასტროფების რისკის შემცირება

გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა და კატასტროფების რისკის შემცირება წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია თეთრიწყაროს განვითარების სხვა სტრატეგიული მიმართულებებთან. ეს სტრატეგიული პრიორიტეტი მიზნად ისახავს:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. იგი გამოირჩევა თავისი მრავალფეროვანი ლანდშაფტითა და ეკო-სისტემით; თუმცა არ ხორციელდება მათე სათანადო ზრუნვა და მათი მართვა. თეთრიწყაროში ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემებია ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვება, მუნიციპალური ნარჩენების მართვის, კატასტროფების რისკის შემცირების არარსებობა და, ზოგადად, გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე.

გარემოს პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია ადგილობრივ მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობასთან. ინფორმაციის ნაკლებობა ან მისი ხელ მიუწვდომლობა წარმოქმნის უამრავ გარემოსდაცვითი პრობლემებს. ადგილობრივ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება არის

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი რეალური ცვლილებების მისაღწევად, რაც შეიძლება განხორციელდეს საინფორმაციო კამპანიების საშუალებით. (მათ შორის, არსებული რისკების შესახებ ინფორმაციის გაზიარება)

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მხარდაჭერა

<p>3.1 გარემოს დაცვა და კატასტროფების რისკის შემცირება</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება <input type="checkbox"/> ნარჩენების გადამუშავების ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობა <input type="checkbox"/> ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენების გამოვლენა (როგორც არის ვიდეო, ონლაინ ჩანაწერები) <input type="checkbox"/> კატასტროფების რისკის შეფასების მეთოდოლოგიის და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება <input type="checkbox"/> ენერგო ეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა / ლობის დანერგვა
<p>3.2 ეფექტური მექანიზმების/მეთოდების დანერგვა ბუნებრივი რესურსების რესგისტრაციითვის</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ბუნებრივი რესურსების რეესტრის დანერგვა მუნიციპალურ დონეზე <input type="checkbox"/> მუნიციპალიტეტის დონეზე რესურსების რეგისტრაციის მეთოდოლოგიის დანერგვის ხელშეწყობა და გარემოს დაბინძურებასა / ზემოქმედებაზე რეაგირების მექანიზმები დანერგვა
<p>3.3. ბუნებრივი რესურსების რეგისტრაციის ხელშეწყობა და ინტერვენციების განხორციელება რომელიც ეხება ცნობიერების ამაღლებას, გარემოს დაცვასა და კატასტროფების რისკის შემცირებას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არსებული რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა <input type="checkbox"/> გარემოსდაცვითი და DRR საკითხებთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის პროგრამები. <input type="checkbox"/> სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა (ტრენინგები) <input type="checkbox"/> განახლებადი ენერჯის წყაროების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების მხარდაჭერა <input type="checkbox"/> მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ ცნობიერების ამაღლების შესახებ ღონისძიებების მხარდაჭერა

სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება / რეაბილიტაცია

სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა თეთრიწყაროს განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

თეთრიწყაროში ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემაა, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის სხვა სტრატეგიული მიმართულებების განვითარებას.

მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა, გაუმართავი მიწისქვეშა ნაგებობები, არასრული გაზიფიკაცია და სასმელი წყლის შეზღუდვა და ა.შ., ხელს უშლის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და მეწარმეობის სექტორის განვითარებას.

ასევე, სარწყავი სისტემების გაუმართავობა მოუწესრიგებელი სამომთაბარო მარშუტები და ა.შ., დიდი გამოწვევაა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორის ეფექტური ფუნქციონირებისთვის

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემად დასახელდა.

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის საჭიროა გარკვეული ჩარევა კერძოდ- ფილტრაციის და სასმელი წყლის გამანაწილებელი ქსელის შექმნა.

ქვემოთ წარმოდგენილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული სექტორის SWOT ანალიზი:

ძლიერი მხრეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> კულტურული ძეგლები <input type="checkbox"/> მდიდარი ბუნებრივი რესურსები <input type="checkbox"/> ადგილობრივი და სართაშორისო მნიშვნელობის გზები <input type="checkbox"/> სასოფლო და არასასოფლო ნაკვეთები <input type="checkbox"/> მიმდინარე საერთაშორისო პროექტები <input type="checkbox"/> ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე დაგეგმილი პროექტები 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> დაფინანსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა <input type="checkbox"/> კვალიფიციური კადრების ნაკლებობა <input type="checkbox"/> დაბალი ხელფასი <input type="checkbox"/> ბიუროკრატიული მექანიზმები; ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე რთული სამართლებრივი რეგულაციები <input type="checkbox"/> საჯარო სივრცის არარსებობა <input type="checkbox"/> პროფესიული განათლების ნაკლები ხელმისაწვდომობა <input type="checkbox"/> მომსახურების დაბალი დონე <input type="checkbox"/> არსებული რესურსების არაეფექტიანი გამოყენება
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არსებული ინფრასტრუქტურული პირობები (არსებული გზები, შენობები, სასმელი წყლის სისტემები) <input type="checkbox"/> მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მზაობა <input type="checkbox"/> მუნიციპალიტეტის, დონორებთან თანამშრომლობის მზაობა 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივ დონეზე ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების არ ქონა <input type="checkbox"/> კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაზიანების საშიშროება <input type="checkbox"/> ბუნებრივი და ტექნოლოგიური საფრთხეები <input type="checkbox"/> საბადოს მომპოვებელი კომპანიების გარემოზე ზემოქმედების ხარისხი <input type="checkbox"/> პოლიტიკური არასტაბილურობა

მიზნები	ამოცანები	აქტივობა / მოსალოდნელი პროექტები
<p style="writing-mode: vertical-rl; transform: rotate(180deg);">თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და განვითარების ხელშეწყობა</p>	<p>1. წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასმელი წყლის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება (ფილტრაცია / წყალმომარაგების ქსელის გაფართოება) • სარწყავი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა
	<p>2. სოფლის ინფრასტრუქტურის საკითხების მხარდაჭერა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გამოვლენა</p>	<ul style="list-style-type: none"> • სათემო ნაგებობების რეგისტრაცია და შეფასება • მრავალფუნქციური (მაგ. კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, რიტუალის, ტურისტული საინფორმაციო) ცენტრების მშენებლობა / განვითარება • სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა • პარკების რეაბილიტაცია და მოწყობა
	<p>3. სოფლის ინფრასტრუქტურის საკითხების მხარდაჭერა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გამოვლენა</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაზიფიკაციის, შიდა გზის ინფრასტრუქტურის, მიწისქვეშა კომუნალური და სამედიცინო ცენტრების პრობლემების გადაჭრის მხარდაჭერა • ადგილობრივ დონეზე ინფრასტრუქტურული პროექტების /პროგრამების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

შემდეგი ნაბიჯები: პცმ პროექტის ჯგუფი

5. წყალგამწმენდი ნაგებობისთვის ტექნიკური დავალების შემუშავების მხარდაჭერა (კვარტალი 3 /2018)
6. მუნიციპალიტეტში წყლის პროექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადახედვა (კვარტალი 3/2018)
7. პოტენციური საერთაშორისო დონორების გამოვლენა (კვარტალი3/2018)

შემდეგი ნაბიჯები: მუნიციპალიტეტი

4. წყალგამწმენდი ნაგებობისთვის ტექნიკური დავალების დასრულება (კვარტალი 3 /2018)
5. ტენდერის გამოცხადება (კვარტალი 3)
6. სატენდერო წინადადების შეფასება (კვარტალი 3)

2.6.3 წალკის მუნიციპალიტეტი

სიტუაციური მაგალითი : ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარება

წალკის ტურისტულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის კავშირი

წალკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთით და ძირითად მოსახლეობას წარმოადგენს ქართველები, სომხები და აზერბაიჯანლები, სადაც მათთვის განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები არსებობს. მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის მონაცემებით დაახლოებით 19.000-ია

ტურისტული აქტივობები ტურისტული სააგენტოს დახმარებით ხორცილდება და ასევე მუნიციპალიტეტის აქტიური ჩარევით.

ქალაქში და მის შემოგარენში მრავალი საინტერესო სანახაობაა. მათ შორის აღსანიშნავია ისტორიული ძეგლები როგორც არის კლდეკარის ციხესიმაგრე (9 საუკუნე) და წმინდა გიორგის ეკლესია დაშბაში (მეათე-მეთერთმეტე საუკუნე). ასევე საინტერესოა დაშბას კანიონი, რომელიც ევროპის კანიონებს შორის ერთერთი დიდი კანიონი, რომელსაც გასულ წელს უამრავი ქართველი და საერთაშორისო ტურისტი ეწვია.



ისტორიული ციხე



დაშბაშის ეკლესია


აღსანიშნავია, რომ წალკის თვალწარმტაცი ბუნება ქმნის მრავალფეროვან ტურისტულად პოტენციურ ადგილებს, რომელთაც შესაბამისი ხელშეწყობა სჭირდებათ რათა გამოყენებულ იქნას წალკას ტურისტული პოტენციალი: განვითარდეს ეკო და აგრო-ტურიზმი სხვა ტრადიციულ ტურისტულ სახეობებთან ერთად. 2017 წელს (FAO) სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ აგრო-ტურიზმის განვითარების მიზნით იზრუნა ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და უზრუნველყო ტურიზმის სერვისის შესახებ ტრენინგების ჩატარება.

ქალაქში ჩატარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რამაც შესაძლებელი გახადა ტურისტებისთვის უკეთესი პირობების, მათთვის გაუმჯობესებული მომსახურების შეთავაზება. თუმცა არსებობს სხვა მნიშვნელოვანი წინსვლებიც რომელსაც სწორი დაგეგმვა და მართვა სჭირდება.

მაგალითისთვის განისაზღვრა სამი აქტიური ტურიზმის ვარიანტი: პირველი - საფეხმავლო, მეორე -ველოსიპედით მოძრაობა და მესამე-სამანქანო ტურიზმი რომელიც მოიცავს წალკაში არსებული დაშბაშის კანიონის, კულტურული ძეგლების, ეკლესიების რომელიც 11-ე საუკუნით თარიღდება, მონახულებას. საოჯახო სასტუმროები, და მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქტის შეთავაზება საუკეთესო გარემოა ტურისტის მოსაზიდად.

განისაზღვრა ასევე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის შესაძლებლობები: 25 ტურგაი-12 ქალი და 13 კაცი, რომლებიც წარმოდგენილები იქნებიან მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან გაივლიან შესაბამის სამ დღიან ტრენინგს სოფლის ტურიზმის, საოჯახო სასტუმროების მუშაობის სტანდარტების, ბიზნეს გეგმის განვითარების და ეკო-ტურიზმის ძირითად საკითხებს შესახებ.

მუნიციპალიტეტის მიზანს წარმოდგენს არსებული ობიექტების /შენობა ნაგებობების გაუმჯობესება რათა გაზრდილი ტურისტული მოთხოვნა დაკმაყოფილებული და ახალი დამატებითი შესაძლებლობები ათვისებული იქნას. ამჟამად რამდენიმე სასტუმრო ფუნქციონირებს- კომერციული ცენტრი და მაღაზიები. მუნიციპალიტეტმა კანიონთან ახლოს გააკეთა საპიკნიკე ადგილები თუმცა არსებობს უფრო მეტი ინვესტიციის პერსპექტივა, მუნიციპალიტეტს რომ ჰქონდეს სათანადო ბიზნეს გარემოს შექმნის შესაძლებლობა.



კანიონი

პცმ მიდგომა ტურიზმის განვითარების საკითხში

პცმ იყენებს უამრავ სახის ტექნიკას პოტენციური პროექტების განსაზღვრის მიზნით, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა მიზნებისთვის იყოს გამოსადეგი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის მატრიცა და მეტა გეგმა, რათა გამოვლინდეს კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც შემდგომში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მუნიციპალიტეტში თავდაპირველი შეხვედრის დროს გამოვლინდა ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა შესაძლო იდეები და ალტერნატივები, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში მათ დეტალურ განხილვას და ალტერნატივების რეალური შეფასებას და სხვადასხვა ფაქტორების და პროექტების ურთიერთ-ზეგავლენის და ურთიერთქმედების საკითხების განსაზღვრას.

პცმ გულისხმობს ეტაპობრივი მიდგომას, პოტენციური ალტერნატივების დეტალური ანალიზის გაკეთებას და გვეხმარება საკითხის ზუსტად და ნათლად განსაზღვრაში


მომდევნო გვერდებზე თითოეული ძირითადი ტურისტული იდეა იქნება განხილული დეტალურად, პცმ მიდგომის და დაინტერესებულ პირთა ანალიზის გამოყენებით.

ძირითადი პასუხისმგებლობა ინფრასტრუქტურის სამსახურს აკისრია- მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებები, რაც ინვესტორს როგორც მესამე მხარესაც შეეხება.

პკმ მთავარ მიზანს წარმოადგენს პოტენციურ პროექტებს შორის გამოავლინოს მათი ურთიერთ გადაკვეთის და თანამშრომლობის სფეროები. ასევე უზრუნველყოს პროექტების მჭიდრო ურთიერთკავშირი, ისე რომ თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი დორის და შრომის დანახარჯი (ორმაგი სამუშაოს თავიდან აცილება)

ტურიზმის პოტენციური დარგების განვითარება

ველო-ტურიზმი 19 საუკუნიდან იღებს სათავეს, რომელიც 1980 წელს გახდა ყველაზე პოპულარული. მუნიციპალიტეტს გააჩნია მრავალფეროვანი შესაძლებლობები, რომ ხელი შეუწყოს ასეთი ტურიზმის განვითარებას, რომელიც სხვა ტურიზმის სახეობებთან შეიძლება იყოს მორგებული.



ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ გადასაჭრელი საკითხები:

- შესაბამისი ველო ბილიკის განსაზღვრა
- შესაძლო „დასვენების ადგილების“ განსაზღვრა
- როგორ უნდა იქნას განათება ველოსიპედით მოსარგებლეთათვის მოწყობილი
- სად უნდა შეიქმნას ეკონომიკური ზონა ინვესტიციების მოსაზიდად


მუნიციპალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები:

- ხელშეწყობის გეგმის და პოლიტიკის შემუშავება
- არის თუ არა სხვა მუნიციპალიტეტის ჩართვის საჭიროება ან შესაძლებლობა?
- როგორ შეიძლება ეროვნული ტურისტული სააგენტოს ჩართულობა განვახორციელოთ?
- სხვა რა დამატებითი მომსახურების უზრუნველყოფა შეუძლია მუნიციპალიტეტს?
- რამდენი შესაძლო ინვესტორი იქნა გამოვლენილი
- როგორ შეიძლება ამის გაკეთება

- არის თუა არა ფორმალური ტურისტული საინფორმაციო ოფისის შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტის გარშემო, თუ არსებობს ამის საჭიროება რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში?

მესამე მხარესთან დაკავშირებული საკითხები:

- არსებობს თუ არა ინვესტორებისთვის სახარბიელო ბიზნეს შესაძლებლობები
- მუნიციპალიტეტი პასუხობს თუ არა პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებსაფხვმაველო ტურიზმი ერთერთი ძველი ტრადიციაა. საქართველოში დაბალ-ბიუჯეტისანი ავია კომპანია (ქუთაისიდან ახორცილებს ფრენებს) საშუალებას აძლევს ტურისტებს ხშირად განახორციელონ ვიზიტი საქართველოში და ამდენად, საფხვმაველო ტურიზმის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ ფეხით შემოიარონ ტურისტული ადგილები.



ინფრასტრუქტურის სამსხურის მიერ გადასაჭრელი საკითხები:

- ბილიკების დათვალიერება
- გზად შესაძლო შესვენების ადგილების განსაზღვრა
- გარე განათების მოწყობა, უსაფრთხო გარემოს შექმნა (შემოღობვა)
- ტურისტებისთვის შესაბამისი საინფორმაციო ნიშნების განლაგება იმ ადგილებში სადაც შეეძლება დასვენება (ვინ და როგორ უნდა გაკეთდეს)

მუნიციპალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები:


- სათანადო ხელშეწყობის პოლიტიკის/გეგმის შემუშავება
- არის თუ არა საჭირო ეროვნული ტურისტული სააგენტოს ჩართულობა (თუ არის საჭირო როგორ და ვინ იქნება ჩართული)
- რა დამატებითი მომსახურების შემოთავაზება შეუძლია მუნიციპალიტეტს ტურისტისთვის

- არის თუა არა ფორმალური ტურისტული საინფორმაციო ოფისის შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტის გარშემო, თუ არსებობს ამის საჭიროება რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში?

მესამე მხარესთან დაკავშირებული საკითხები:

- რა რეალური ბიზნეს შესაძლებლობები არსებობს?
- მუნიციპალიტეტი პასუხობს თუ არა პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებს
- მომავალში კერძო სექტორის ჩართულობა

ავტო-ტურიზმის მოიცავს: მაგალითად საქართველოში ცნობილი „ღვინის გზა“-ს ასევე ისტორიული ეკლესიების, არქეოლოგიური ადგილების მონახულებას. პროექტი არ განსაზღვრავს ტურის კონკრეტიზაციას თუმცა ზოგად მოთხოვნებს უყენებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურებს.



ინფრასტრუქტურის სამსხურის მიერ გადასაჭრელი საკითხები:

- შესაბამისი გზების განსაზღვრა
- შესაძლო „შესვენების ადგილების“ განსაზღვრა
- სათანადო საცნობი ნიშნების და საინფორმაციო აზრების ორგანიზება
- სად უნდა შეიქმნას ეკონომიკური გარემო საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის
- რა ინფრასტრუქტურული საჭიროებები არსებობს ამ ადგილებში

- არის თუ არა შექმნილი რაიმე სხვა ალტერნატიული მომსახურება გარდა არსებულისა? რა არის ინფრასტრუქტურული შედეგები?

მუნიციპალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები:

- ხელშეწყობის პოლიტიკის/გეგმის შემუშავება
- არის თუ არა სხვა მუნიციპალიტეტის ჩართვის აუცილებლობა/შესაძლებლობა
- იმ შემთხვევაში თუ არის ამის აუცილებლობა, როგორია მათი მიდგომა?
- რა სიხშირით არის საჭირო ეროვნული ტურისტული სააგენტოს ჩართულობა
- რა დამატებითი სერვისების შემოთავაზება შეუძლია მუნიციპალიტეტს
- გამოვლინდა თუ არა რომელიმე ინვესტორი
- როგორ?
- არის თუ არა ფორმალური ტურისტული საინფორმაციო ოფისის შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტის გარშემო, თუ არსებობს ამის საჭიროება რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში?


მესამე მხარესთან დაკავშირებული საკითხები:

- არსებობს თუ არა ინვესტორებისთვის სახარბიელო ბიზნეს შესაძლებლობები
- მუნიციპალიტეტი პასუხობს თუ არა პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებს
- აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს დახმარების და მხარდაჭერის შესაძლებლობები

აგრო-ტურიზმი ტურიზმის სპეციფიური სახეობაა, რომელიც ეფუძნება ფერმერულ საქმიანობას. უფრო ზუსტად რომ განვსაზღვროთ, ტურიზმის ეს სახეობა სოფლის მეურნეობის აქტივობით მიღებულ პროდუქტს სთავაზობს ტურისტს.

ამდენად, ინფრასტრუქტურის სამსხურის მთვარ საზრუნავს წარმოადგენს ტურისტებისთვის შესაბამისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როცა სხვა სამსხურებს ევალუბათ სხვა დამატებითი სერვისების განხორციელება.

ეს არის ტურიზმის ის ნიშა, რომელმაც კარგად განვითარდა ბალტიის პირა ქვეყნებში, შორეულ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში.



ინფრასტრუქტურის სამსხურის მიერ გადასაჭრელი საკითხები:

- გზების მოწყობის შემთხვევაში შესაძლო სირთულეების განსაზღვრა
- სათანადო განათების მოწყობა და ტურისტისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა


მუნიციპალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები:

- ხელშეწყობის პოლიტიკის/გეგმის შემუშავება?
- სხვა მუნიციპალიტეტების ჩართულობის საჭიროება ან შესაძლებლობა არსებობს?
- როგორ არის შესაძლებელი ეროვნული ტურისტული სააგენტოს ჩართულობა?
- რა დამატებითი სერვისების უზრუნველყოფა შეუძლია მუნიციპალიტეტს
- რამდენი შესაძლო ინვესტორი გამოვლინდა?
- როგორ?
- არის თუა არა ფორმალური ტურისტული საინფორმაციო ოფისის შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტის გარშემო, თუ არსებობს ამის საჭიროება რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში?
- აქვთ თუ არა ფერმერებს მუნიციპალიტეტისგან დამატებითი მხარდაჭერის მიღების მოლოდინი?
- სრულად პასუხობს თუ არა აგრო-ტურიზმი ტურისტის მოთხოვნებს ?
- აგრო-ტურიზმის ალტერნატივები სხვა დაინტერესებულ პირებთან თუ იქნა განხილული?

მესამე მხარესთან დაკავშირებული საკითხები:

- არსებობს თუ არა ინვესტორისთვის სახარბიელო ბიზნეს შესაძლებლობები ?
- მუნიციპალიტეტი პასუხობს თუ არა პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებს?
- რამდენად მისაღებია ფერმერული საქმიანობის შედეგები?

ეკო-ტურიზმი ახლად შექმნილი ტურიზმის სახეობაა, რომელიც გულისხმობს მშვიდ, სუფთა და ბუნებრივ გარემოთი ტურისტების დაინტერესებას, რომელიც სხვა კომერციული ტურიზმის სახეობებთან შედარებით ვიწრო და ნაკლებად განვრცობილია. პრაქტიკაში ეს გულისხმობს ბუნებაში გასერნებას, გარემოს შენარჩუნებას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.



- შესაბამისი ადგილების განსაზღვრა ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად
- გარემო ზემოქმედების გათვალისწინება
- შედარებით დაშორებული ადგილების მისასვლელი უზრუნველყოფა
- შესაძლო დასვენების ადგილების განსაზღვრა
- როგორ და სად უნდა შეიქმნას სათანადო ეკონომიკური გარემო პოტენციური ინვესტირებისთვის

მუნიციპალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები:


- ხელშეწყობის პოლიტიკის/გეგმის შემუშავება
- როგორ უნდა იყოს ჩართული ეროვნული ტურისტული სააგენტო?
- რა დამატებითი სერვისების უზრუნველყოფა შეუძლია მუნიციპალიტეტს
- გამოვლინდა შესაძლო ინვესტორები
- როგორ?
- არის თუა არა ფორმალური ტურისტული საინფორმაციო ოფისის შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტის გარშემო, თუ არსებობს ამის საჭიროება რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში?
- საგზაო რუკების, ბუკლეტების, სახელმძღვანელოების შექმნა.

მესამე მხარესთან დაკავშირებული საკითხები:

- არსებობს თუ არა ინვესტორისთვის სახარბიელო ბიზნეს შესაძლებლობები
- რა შესაძლებლობებია?
- მუნიციპალიტეტი პასუხობს თუ არა პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებს

ისტორიულ კულტურული სახის ტურიზმი. ამ სახის ტურიზმი ორიენტირებულია ქვეყნის ისტორიულ კულტურული ძეგლების და სანახაობების წარმოჩენაზე. ტურისტის მიზანს წარმოადგენს შემეცნებითი სახის ტურისტული მოგზაურობა და არსებული ძეგლების დათვალიერება. ამის საუკეთესო მაგალითია ეგვიპტის პირამიდები.

საქართველო ტურისტს სთავაზობს ურიცხვ კულტურულ და ისტორიულ/რელიგიურ ძეგლებს.



ინფრასტრუქტურის სამსხურის მიერ გადასაჭრელი საკითხები:

- ისტორიული /კულტურული ძეგლების ადგილების განსაზღვრა
- გზად შესაძლო „შესვენების ადგილების“ განსაზღვრა
- ტურისტისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა
- ინვესტიციისთვის ეკონომიკური გარემოს შექმნა

მუნიციპალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები:

- ხელშეწყობის პოლიტიკის/გეგმის შემუშავება
- არსებობს თუ არა სხვა მუნიციპალიტეტის ჩართულობის საჭიროება ან შესაძლებლობა
- როგორ უნდა იყოს ჩართული ეროვნული ტურისტული სააგენტო?
- რა დამატებითი სერვისების უზრუნველყოფა შეუძლია მუნიციპალიტეტს
- რამდენი შესაძლო ინვესტორი გამოვლინდა
- როგორ
- არის თუა არა ფორმალური ტურისტული საინფორმაციო ოფისის შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტის გარშემო, თუ არსებობს ამის საჭიროება რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში?
- როგორ უნდა უზრუნველყოთ კულტურულ ისტორიული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება

მესამე მხარესთან დაკავშირებული საკითხები:

- არსებობს თუ არა ინვესტორისთვის სახარბიელო ბიზნეს შესაძლებლობები
- მუნიციპალიტეტი პასუხობს თუ არა პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებს

დასკვნა

ეს მიდგომა გამოიყენება იმისთვის რათა გამოიკვეთოს ის დამატებითი ფაქტორები რომელიც საჭიროა პროექტის შესამუშავებლად და მაქსიმალური შედეგის მისაღწევად სადაც კერძო სექტორის ჩართულობა ძალზედ მნიშვნელოვანია. ინვესტირება მხარდაჭერის მიზნით, მუნიციპალიტეტს შეიძლება დასჭირდეს სხვადასხვა მიდგომის გამოყენება.

შემდეგი ნაბიჯები:


1. დაინტერესებულ მხარეთა სრული და დეტალური ანალიზის გაკეთება, პროექტებში სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის განსაზღვრა
2. დაინტერესებულ პირთა ანალიზის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას მათი პროექტზე უარყოფითად ზემოქმედების შესაძლებლობა
3. გათვალისწინებულ უნდა იქნას ინფრასტრუქტურის და მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურების მოლოდინები და შედეგები
4. პროექტი უნდა ეყრდნობოდეს კარგად ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ იდეას და მოთხოვნებს.
5. პროგრამის პრიორიტიზაცია.
6. ფინანსური ალტერნატივები მოძიება

სამუშაო მაგალითი: ტურიზმის განვითარება წალკაში და მისი როლი მუნიციპალიტეტის განვითარების გენერალურ სტრატეგიაში

რადგან მუნიციპალიტეტი გეგმავს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ცხადია საჭიროა, განისაზღვროს თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთი გეგმის მისადაგება ზოგად სტრატეგიულ განვითარების ერთიან გეგმასთან.

როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს მთელი რიგი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები, მირთადად ტურიზმის კუთხით. შემდეგი ეტაპი მოიცავს კონკრეტული პროექტების ერთიან პროგრამად წარმოდგენას, სადაც არსებული ინიციატივები და განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები ერთმანეთთან ურთიერთ კავშირშია.

წინა შეხვედრაზე გამოიკვეთა პროექტის მონახაზი, რომელიც გულისხმობს საფეხმავლო ბილიკების შექმნას. ეს პროექტ-კონცეფცია მოიცავს ტურისტისთვის სატრანსპორტო და სასიარულო გზების უზრუნველყოფას, რომელიც ისევე როგორც ველოსიპედით და ცხენით სარგებლობის საშუალებას იძლევა (სამომავლოდ, მესამე მხარის მიერ ინვესტიციის საჭიროებას მოითხოვს) ქვემოთ მოცემული დიაგრამა მოკლედ აღწერს არსებულ ინიციატივას:



ამდენად, გზების მოწყობით წალკის ცენტრის და კანიონის ერთმანეთთან დაკავშირება იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, იგეგმება, დაკიდული ხიდის მშენებლობა, რომელიც კანიონის საპირისპირო მხარეებს ერთმანეთთან დააკავშირებს და დამატებით ტურისტულ პროდუქტს შექმნის და მნახველს კანიონის უკეთესად დათვალიერების საშუალებას მისცემს.

ეს იდეა გულისხმობს, წალკის ისტორიული სანახაობების ერთიან სანახაობად წარმოდგენას, რომელიც ფეხით მოსიარულე ტურისტს მიიზიდავს, თუმცა მოგვიანებით სხვა ტიპის ტურისტულ ისარგებლებს მიღებული შედეგით.



კანიონზე დაკიდული ხიდის მშენებლობის ადგილი

შემდეგი განხილვა დაეთმო, დაინტერესებული მხარეების ანალიზს, სხვადასხვა სახის ტურისტების გამოვლენას, თუ ვინ დაინტერესდება ხიდის სარგებლობით.

აღმოჩნდა რომ დიდი განსხვავება არ არსებობს უცხოელი და ქართველი ტურისტის მოთხოვნებს შორის. გამოიკვეთა შემდეგი სახის ჯგუფები:

- ასაკის მიხედვით: ახალგაზრდა, საშუალო ასაკის და ხნიერი
- ოჯახური მდგომარეობის მიხედვით: მარტოხელა, ახალგაზრდა ოჯახები, წყვილები (უშვილო)
- მოძრაობის მხრივ: პროფესიონალი მოლაშქრეები, მოყვარულები, ზოგადად ტურისტები

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მათი მოლოდინები და საჭიროებები საკმაოდ ფართოა. მინიმუმ ყველა მათგანი საჭიროებს შემდეგს:

- სასიარულო გზების მრავალფეროვნება
- ტრანსპორტის მრავალფეროვნება: ველოსიპედით სვლა, ცხენი ან ფეხით
- მოსასვენებელი ადგილები
- სანახაობრიობა: ბუნება, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები
- საკვები/კაფეები. რესტორნები
- საპი ნიკე ადგილები
- ბავშვებისთვის გამოყოფილი ადგილები
- გზების უსაფრთხოება (განსაკუთრებით ბავშვებისთვის და მოხუცებისთვის)
- სათანადო განათება
- სველი წერტილები
- მაღაზიები. სავაჭრო ცენტრები

როცა დაიწყება პროექტის დიზაინზე მუშაობა ყველ ზემოთ ნახსენები საკითხი უნდა იქნას კარგად შეფასებული და განხილული, როგორც პროექტის მორიგი აქტივობები. გარდა ამისა, პროექტში უნდა იქნას გათვალისწინებული დამატებითი მომსახურება და სხვა დეტალები, რაც აუცილებელია სრულყოფილი პროექტის განხორციელებისთვის.

უნდა აღნიშნოს, რომ ამჟამად კანიონთან არსებული მისასვლელი გზა საჭიროებს აღდგენას და შეკეთებას, რადგან მკვეთრი დაქანების გამო დაცურების საფრთხეს წარმოქმნის.




რაც შეეხება კერძო სექტორს, ამ მხრივ მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას ის ხელშემწყობი გარემო, რათა მიიზიდოს და დაინტერესოს ინვესტორი. ეს საკითხი პროექტის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი წარმატების განმსაზღვრელი აუცილებელი ფაქტორი.

მაგალითად მუნიციპალიტეტი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს კაფეების მოწყობას, თუმცა შესაძლებელია შექმნას ისეთი გარემო, რომ ინვესტორმა იმ ტერიტორიაზე უზრუნველყოს დამატებითი სერვისები. ამისთვის პირველ რიგში მუნიციპალიტეტმა უნდა მოაწესრიგოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა : გზები, წყლის და ელექტრო ენერჯით მომარაგება და კანალიზაციის სისტემა. ამდენად ის უნდა იყოს ამ პროექტის შემადგენელი ნაწილი.

ასვე გასათვალისწინებელია, პროექტის ზუსტი კოორდინაცია. მიღებული უშუალო შედეგი და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები შესაბამის დროის გრაფიკში უნდა იყოს მოქცეული,

და საბოლოო ეტაპი გახლავთ ის თუ როგორ უნდა მოახდინოს მუნიციპალიტეტმა მიღებული შედეგის ხელშეწყობა და რეკლამირება, რათა მეტი ტურისტი მიიზიდოს. ეს შეიძლება იყოს როგორც ეროვნულ ასევე რეგიონალურ დონეზე თანამშრომლობით მიღწეული. თუმცა ამ მხრივ სხვა ადგილობრივ მმართველობასთან არის შესაძლებელი თანამშრომლობა, რაც უნდა იქნას გათვალისწინებული პროექტის დიზაინზე მუშაობის ეტაპზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მისაღებია ლოგიკური ჩარჩოს შემუშავება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს და შედეგების ჯაჭვს. ეს უკანასკნელი პროექტის დიზაინის საბოლოო ეტაპზე განისაზღვრება, მას შემდეგ რაც გადაწყდება პროექტის განხორციელების საკითხი.




ასევე მნიშვნელოვანია, თითოეული მიღწეული შედეგისთვის, საჭირო რესურსების გათვალისწინება: ადამიანური ფინანსურ-მატერიალური და ასევე ის გარე ფაქტორები, რომელიც დაკავშირებულია რეკლამირებასა და ხელშეწყობასთან.

საბოლოოდ, პროექტი საჭიროებს შესაბამის ინდიკატორების განსაზღვრას რომლითაც შეფასდება მოსალოდნელი სარგებელი (პცმ მიდგომა- ობიექტური ინდიკატორები) ამჟამად, მუნიციპალიტეტის პრობლემას წარმოადგენს, ის რომ მას არ გააჩნია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია ტურიზმის შესახებ, რაც ქმნის დაბრკოლებას შესაბამისი შეფასებისთვის. თუმცა შესაძლებელია რომ ინფორმაციის შეგროვების საკითხი გადაიჭრას, თუ ეს პროექტში ერთერთ დამატებით განსახორციელებლ აქტივობად იქნება წარმოდგენილი.

ამდენად, ტურიზმის პოტენციალის განვითარების იდეა გადაიზარდა პროექტ იდეად. შემდეგი ეტაპს წარმოადგენს უკვე ამ იდეის პროექტ კონცეფციად შექმნა, რომელიც მუნიციპალიტეტის არამარტო ინფრასტრუქტურის სამსახურის ჩართულობას არამედ სხვა სამსახურების მონაწილეობასაც მოითხოვს.

ასეთი მიდგომის მთავრ მიზანს წარმოადგენს, პოტენციურ სხვადასხვა პროექტ იდეას შორის არჩევანის გაკეთება და მეტი მოქნილობის ხარისხის შენარჩუნება და

საბოლოოდ, ყველაზე ოპტიმალური და რეალისტური ვარიანტის შერჩევა შესაბამისი რესურსების და ხარჯების გათვალისწინებით. ეს მოდელი მოყვანილია ქვემოთ:



ზოგადი პროექტ კონცეფცია

ზემოქმედება/საბოლოო შედეგი	<p>) ტურიზმის x% გაზრდა (რეალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით)</p> <p>ეკონომიკური აქტივობის x% გაზრდა მუნიციპალიტეტში (რეალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით)</p> <p>დასაქმების x% გაზრდა მუნიციპალიტეტში (რეალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით)</p>
სამიზნე ჯგუფები	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული აქტივები
საბოლოო ბენეფიციარები	<p>ტურისტები (ადგილობრივი, უცხოელი)</p> <p>მეწარმეები (სასტუმროს, რესტორნის მეპატრონეები)</p>
სავარაუდო შედეგები	<p>ახალი საფეხმავლო და საველოსიპედო გზები</p> <p>გაზრდილი ტურისტული აქტივობა</p>
ძირითადი აქტივობები	<p>გარემო ზემოქმედების შეფასება</p> <p>მარშუტის დიზაინი</p> <p>მარშუტის შემუშავება</p> <p>დამატებითი ობიექტების მოწყობა (საპიკნიკე ადგილები, სათამაშო სივრცე და სხვა)</p>

პროექტთან დაკავშირებული აქტივობები

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება
2. რეალური პროექტის დიზაინის შექმნა. მთაში სვლის და საველოსიპედო მარშუტების შემუშავება
3. შესაბამისი ხელშეწყობის და სარეკლამო აქტივობების დაგეგმვა

მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნებთან პროექტის შესაბამისობა

ტურიზმის ალტერნატიული სერვისების და აქტივობების შექმნა ხელს შეუწყობს ახალი შესაძლებლობების შეთავაზებას ტურისტისთვის, რაც თავის მხრივ გაზრდის ბიუჯეტში შემოსავლებს და ზოგადად ეკონომიკურ აქტივობას წაახალისებს.

სამიზნე ჯგუფები

როგორც კი დასრულდება გზების გაკეთება მისი სარგებლობა შეეძლება ფეხით მოსიარულეებს და ველოსიპედით მოსარგებლებს, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ტურისტს.

დამატებითი ფაქტორები.

სხვადასხვა ტურისტული ალტერნატივების შექმნა, გაზრდის ტურისტულ აქტივობას და ვიზიტორების რაოდენობას. ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა მოითხოვს მეტი მომსახურების და პროდუქტის შეთავაზებას: მეტი საცხოვრებელი, საკვები ობიექტები, მაღაზიები, სავაჭრო ცენტრები. ეს ინვესტორს მისცემს შესაძლებლობას ზუსტად განსაზღვრონ მომსახურების და შეთავაზების ვარიანტები, რაც მუნიციპალიტეტში გაზრდის ეკონომიკურ აქტივობას და წარმოებას.

პცმ ჯგუფის მიერ განსახორციელებელი შემდეგი ნაბიჯები:

1. მუნიციპალიტეტისთვის დახმარების გაწევა შესაბამისი სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკური დავალების შედგენაში. (კვარტალი.3/2018)
2. მუნიციპალიტეტისთვის პოტენციური საერთაშორისო დონორის მოძიებაში მხარდაჭერის აღმოჩენა

მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებლით შემდეგი ნაბიჯები:

1. ტექნიკური დავალების მონახაზის შედგენა (კვარტალი. 3/2081)
2. ტურისტულის სერვისების წახალისების გეგმის მომზადება
3. შესაბამისი ტურისტული ობიექტების განთავსების ზონების დადგენა.

წალკა: პროექტის ლოგიკური ჩარჩოს მატრიცა

	შედეგების ჯაჭვი	ინდიკატორები	საბაზისო მონაცემები(მიმდინარე წლის ჩათვლით)	არსებული ღირებულება დამოწმებული თარიღი	სამიზნეები (მიმდინარე წლის ჩათვლით)	წყარო
საერთო მიზანი: ზემოქმედება	გაზრდილი ეკონომიკური აქტივობა ტურისტული აქტივობის ზრდის შედეგად ტურისტების რაოდენობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ზრდა. მზარდი ტურისტული აქტივობის საფუძველზე დასაქმების ზრდა	% ტურისტების რაოდენობის ზრდა % მაჩვენებლის ზრდა % ტურიზმის სფეროში დასაქმების შესაძლებლობების ზრდა	თავდაპირველ სტატისტიკურ მონაცემზე ან ახალი კვლევაზე დაყრდნობით	ხელმიუწვდომელია (საკმარისი ინფორმაციის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება)	% მაჩვენებლის ზრდა დღიურად	პარსტრატეგია
კონკრეტული მიზნები	სარგებელი	სარგებელი	სარგებელი	სარგებელი	სარგებელი	სარგებელი
	სარგებელი 1: გარემო ზემოქმედების შეფასება დასრულებულია სარგებელი 2: მთაში სვლის პროექტის დიზაინი ეყრდნობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას სარგებელი 3: მთაში სავალი გზები დასრულებულია და ხელმისაწვდომია ტურისტისთვის	სარგებელი 1: საკრებულოს მიერ დამოწმებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში სარგებელი 2: პროექტის დიზაინი შეიქმნა გზმ რეკომენდაციის საფუძველზე სარგებელი 3: დასრულებული ხელმისაწვდომი მარშრუტები	სარგებელი 1: სარგებელი 2: ხელმიუწვდომელია სარგებელი 3: ხელმიუწვდომელია	სარგებელი 1: ხელმიუწვდომელია სარგებელი 2: ხელმიუწვდომელია სარგებელი 3: ხელმიუწვდომელია	სარგებელი 1: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის დამოწმება სარგებელი 2: დამტკიცებული პროექტის დიზაინი სარგებელი 3: ხელმისაწვდომი მარშრუტები	სარგებელი 1: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის დამოწმება სარგებელი 2: დამტკიცებული პროექტის დიზაინი სარგებელი 3: ხელმისაწვდომი მარშრუტები

<p style="text-align: center;">მყისიერი შედეგი</p>	<p>მყისიერი შედეგი 1. (კავშირშია 1 სარგებელთან):</p> <p>მუნიციპალიტეტს გადაეცემა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში</p> <p>მყისიერი შედეგი 2 (კავშირშია 2 სარგებელთან)</p> <p>საკრებულოს მიერ დამოწმებული მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული პროექტის დიზაინი.</p> <p>მყისიერი შედეგი 3 (დაკავშირებულია 3 სარგებელთან)</p> <p>გზების შეკეთება დასრულებულია და მისი გამოყენება შესაძლებელია</p>	<p>მყისიერი შედეგი 1: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში</p> <p>მყისიერი შედეგი 2: პროექტის დიზაინი</p> <p>მყისიერი შედეგი 3: მთის მარშუტები ხელმისაწვდომია</p>	<p>ხელმიუწვდომელია</p>	<p>ხელმიუწვდომელია</p>	<p>მყისიერი შედეგი 1: ანგარიში</p>	<p>მყისიერი შედეგი 1: ანგარიში</p>
<p style="text-align: center;">ღონისძიებები</p>	<p><i>ძირითადი აქტივობები:</i></p> <p>ა 1.1: ტექნიკური დავალების შედგენა გზმ-თვის</p> <p>ა 1.2: დასრულებული ტენდერი</p> <p>ა 1.3: კონტრაქტორი უზრუნველყოფს და გზმ შესრულებას</p> <p>ა 1.4: საკრებულოს მიერ დამოწმებული გზმ ანგარიში</p> <p>ა 2.1: დიზაინის ტექნიკური დავალების დასრულება</p> <p>ა 2.2: დასრულებული სატენდერო პროცესი</p> <p>ა 2.3: დამტკიცებული და შერჩეული კონტრაქტორი</p> <p>ა 2.4: პროექტის დიზაინის წარდგენა</p> <p>ა 2.5: საკრებულოს მიერ პროექტის დიზაინის დამოწმება</p> <p>ა 3.1: სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური დავალების დასრულება</p>	<p>Means:</p> <p><i>რას საშუალებებია საჭირო ამ ღონისძიებების უზრუნველსაყოფად პერსონალი, აღჭურვილობა, ტრენინგი, მომარაგება, სამოქმედო ობიექტი და ა.შ.</i></p> <p>ხა რჯები</p> <p>ღონის ძიებთან დაკავშირებული რა ხარჯებია, როგორ არის ისინი კლასიფიცირებული (ბიუჯეტის ჩაშლა ღონისძიებათა ხარჯების მიხედვით)</p>				

	<p>ა 3.2: სატენ დერო პროცესი დასრულებულია</p> <p>ა 3.3: პროექტის განმახორციელებელი კომპანიასთან გაფორმებულია ხელშეკრულება</p> <p>ა 3.4: კონკრეტული მთის მარშუტი შერჩეულია და მოსამზადებელი ძირითადი სამუშაოები დასრულებულია</p> <p>ა 3.5: სამარშუტო გზები დასრულებულია</p> <p>ა 3.6: მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა</p> <p>ა 3.7: დასრულებული სამარშუტო გზების გახსნა</p>	
--	---	--

2.6.4 კასპის მუნიციპალიტეტი

სიტუაციური მაგალითი: კასპის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა

ზოგადი ინფორმაცია

კასპის მუნიციპალიტეტი მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონში. მისი ტერიტორია ძირითადად მოიცავს მთაგორიან და ვაკე ტერიტორიას. მუნიციპალიტეტის ძირითადი ტერიტორია შიდა ქართლის ვაკე ისრუა განლაგებული, რომელიც ესაზღვრება ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ნაწილს, ხოლო

სამხრეთით-თრიალეთის ქედს. მთელი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მდინარე მტკვრის ტერიტორიაზეა გაშლილი. კვერნაკის ქედი მდებარეობს ჩრდილოეთით და იყოფა მდინარე ლეხ ურასა და ქსანის ხეობებით.

მუნიციპალიტეტში 17 ადმინისტრაციული ერთეულია: ერთი ქალაქი (კასპი) და 74 სოფელი. მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორია 803.16 კმ² შეადგენს.

2014 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში 43,771 მოსახლე ბინადრობს საიდანაც 13,423 ქალაქში ცხოვრობს და 30,348- სოფლად.

რეგიონი გამოირჩევა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ტიპის მიწებით: სახნავი ფართობი - 12,500 ჰა, მრავალწლიანი მცენარეებს უჭირავთ 9,500 ჰა მიწის ფართი. სათიბი ტერიტორია მოიცავს 340 ჰა; სამოვრებს უჭირავთ - 16,630 ჰა, ხოლო ტყის რესურსებს - 26,317 ჰა (ფოთლოვანი და წიწვოვანი).

კასპი მდებარეობს თბილისიდან 56 კმ-ში, ხოლო გორიდან 24 კმ-ში. აღმოსავლეთიდან დასავლეთით მუნიციპალიტეტს კვეთს ავტომაგისტრალი (ავტობანი) და სარკინიგზო გზა. კასპის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთის, დასავლეთით-გორის სამხრეთით-თეთრი წყაროს და წალკას და ჩრდილო-აღმოსავლეთით-დუშეთის და ახალგორის მუნიციპალიტეტები.



კლიმატური პირობები - მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით. იცის, ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. გაბატონებულია აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარები. საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით 11.40 C⁰ აღწევს მაქსიმუმში-38 C⁰ და მინიმუმში-5 C⁰. ქარის ენერჯის რესურსი შეადგენს 1,000 კვ - 1 სთ / 2 კმ. ნალექების რაოდენობა წელიწადში 500-დან 600 მმ-მდეა, ხოლო- თვეში მაქსიმუმ -90 -100მმ შეადგენს და მინიმუმში-50-60მმ.

რეგიონში რამდენიმე დიდი მდინარეა: მტკავრი, ლეხურა, ქსანი, თაძამი, კავთურა და რამდენიმე პატარა მდინარე: ბოტისწყალი, გოცბისწყალი, ლაგჯინახევი, ნოცურტი, სალომიას წყალი, შავქალა, ხემელა, თორთლა, ქოჩახურა და მრავალწყარო.


რეგიონში სხვადასხვა ინდუსტრიული საწარმო ფუნქციონირებს: კერამიკული აგურის საწარმო, ცემენტის საწარმო, ცეოლითის მომპოვებელი საწარმო, ელექტრო ტექნიკის საწარმო, პლასტიკური მილების საწარმო, საყოფაცხოვრებო ნივთების საწარმო, ბიოლოგიური სასუქის საწარმო, ხილის/გამხმარი ხილის საწარმო და არყის საწარმო.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას- მოჰყავთ ყურძენი და მისდევენ ღვინის წარმოებას. მოჰყავთ ვაშლის ახალი ჯიშები, ჟოლო, კომბოსტო, ლობიო, ხახვი, ხორბალი, ქერი და სოიო. აშენებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის-ცხვარი, ღორი. აწარმოებენ თაფლისა და თაფლს პროდუქტებს და მისდევენ თევზის მეურნეობას.

- მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ:
- კასპის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 საჯარო სკოლა და ერთი კერძო სკოლა, 26 საბავშვო ბაღი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსი
- არსებობს სპორტული სკოლები - საფეხბურთო, კალათბურთის და ჭიდაობის კარატეს გუნდები, რომლებმაც დიდი წარმატებას მიაღწიეს საქართველოსა და საერთაშორისო დონეზე.
- არსებობს 12 ფოლკლორული ანსამბლი. სახალხო ანსამბლი "ქართლი" "თოჯინების თეატრი", ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი "თხოთი" და თანამედროვე ცეკვის სტუდია.
- არსებობს ბიზნესისა და ტექნოლოგიების გადამზადების ცენტრი და ფერმერთა მომსახურების ცენტრი. დაგეგმილია პროფესიული გადამზადების ცენტრის შექმნა, რომელიც სხვადასხვა პროფესიის პერსონალს მოამზადებს.



მდებარეობა



არსებული ძირითადი პრობლემები

- არ ხდება ჩამდინარე წყლების გაწმენდა. კანალიზაცია პირდაპირ მდინარეში ჩაედინება რაც იწვევს გარემოს დაზიანებას და განსაკუთრებით სასმელი წყლის რესურსების დაბინძურებას.
- მოსახლეობას წყალი მუდმივად არ მიეწოდება. გარდა ამისა, ხდება წყლის რესურსის გაფანტვა მომხმარებლის მიერ. (წყლის უმიზნო ხარჯვა)
- დაბალი ტარიფები, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ხარჯის დაფარვას

- არსებობს ბევრი წყალის დანაკარგი (ან სავარაუდოდ მოპარული). არ არის ზუსტი მონაცემები წყლის დანაკარგების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მიზანს წარმოადგენს ორი წყალ არინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა:

- 1) ერთი ნაგებობა-ძველი მდებარეობის ადგილას(წგნ1) და
- 2) მეორე ნაგებობა (წგნ 2) ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე მტკვრის მახლობლად.

ზემოთ აღნიშნული ადგილები ნაჩვენებია რუკაზე. ორივე ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს და საკმარისი ფართია ნაგებობების ასაშენებლად. ამჟამად, არსებული ტერიტორიის მახლობლად არ არსებობს რაიმე დატვირთული შენობა ნაგებობები. შერჩეული ადგილები მოცილებულია საცხოვრებელ ტერიტორიას და ამასთან არ არის მოწყვეტილი ინდუსტრიულ ზონას (ჩამდინარე წყლების ყველაზე დიდი მწარმოებლები)

წყა ლარინების გამწმენდი ნაგებობის ადგილებს შორის დაშორება დაახლოებით 3.4 კმ-ია, პირველ ნაგებობას ზღვის დონიდან მეორესთან შედარებით უფრო მაღალი მდებარეობა აქვს (509 vs 518,24 - 9 m of difference). შესაძლებელია, რომ მარტივად მთელი ჩამდინარე წყლები მხოლოდ პირველი გამწმენდი ნაგებობაში გაიწმინდოს, თუმცა, საჭიროა ქსელთან მიერთება. (ცისფერი ხაზი რუკაზე) აუცილებელია იურიდიული (მიწის მესაკუთრეობის უფლება)და ტექნიკური (მილების დიამეტრი) საკითხების დაზუსტება

სავარაუდოდ პირველი გამწმენდი ნაგებობა დაახლოებით 4000 ოჯახს უზრუნველყოფს, როცა მეორე გამწმენდი ნაგებობა-1000 ოჯახს. 300-მდე ოჯახს საკუთარი წყლის ჭების აქვთ, სა კანალიზაციაო სისტემის სახით მოწყობილი. 250 ბიზნეს ცენტრია -ქალაქში, მათგან აღსანიშნავია: ცემენტის მწარმოებელი ქარხანა (კასპის ჰაიდელბერგ ცემენტის ქარხანა)

არსებული წყლის და წყალარინების სისტემები

ა. წყალმომარაგების სისტემა

კასპი მარაგდება ოთხი ძირითადი წყლის სათავე ნაგებობიდან: სამთავისი, მრგვალი ჭალა, ლეხურა და შიოს წყარო. სათავე ნაგებობები ბუნებრივი ფილტრებით არის მომარაგებული და მდინარე ლეხ ურას ჰორიზონტალური გალერეის სისტემით.

#	სათავე ნაგებობის დასახელება	წყლის რაოდენობა (ათ. მ ³)	ზონების დასახელება	გამანაწილებელი ქსელის სიგრძე ზონების მიხედვით (კმ)
1	სამთავისი	2048,544	#1	18,1
2	მრგვალი ჭალა	473,040	#4	2,485
3	ლეხურა	529,480	#2	12,648
4	შიოს წყარო	1000,008	#3	17,067

სასმელი წყლის სისტემის მთლიანი სიგრძე არის-40-46კმ.
 წყლის გამანაწილებელი ქსელი დაყოფილია ზონებად: ოთხ ზონად
 წყლის მოხმარება შეადგენს 600-700ლ/დღეში/კ

ბ. წყალარინების სისტემები

წყალარინების სისტემა თვითდინებით მუშაობს. 1980 წელს არსებობდა სატუმბო სადგური, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო დამაკმაყოფილებლად არ ფუნქციონირებდა.

მთლიანი სა-კანალიზაციო სისტემის სიგრძე 26კ-ია სადაც 21.8კმ ქალაქ კასპის ტერიტორიაზეა მოქცეული. ქალაქს შუაზე ყოფს მდინარე ლეხურა. არსებული კოლექტორები მდინარის ორივე მხარეს არის განლაგებული. (მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე) კოლექტორების განლაგების დონეებს შორის განსხვავება შეადგენს 9 მეტრს.

კასპის მუნიციპალიტეტმა სა-კანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო პროექტები განახორციელა 2013-2017წწ, რომლის ქსელის ნაწილი გადაეცა სამართავად კასპის წყალმომარაგების კომპანიას, მხოლოდ ის ნაწილი, რომლის აღდგენა მოხდა 2013-2014 წლების განმავლობაში. მუნიციპალიტეტი გეგმავს 2018-2019 წლებისთვის დაასრულოს მთლიანი სისტემის რეაბილიტაცია.

ქალაქს გააჩნია ცალკე სანიაღვრე სისტემა. თუმცა სანიაღვრე წყლის ფილტრაცია გასათვალისწინებელია სამომავლოდ.

ა. საკანალიზაციო წყლის გაწმენდა

1978 წელს აშენდა სა-კანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა. რუკაზე მოყვანილია გამწმენდი ნაგებობის მდებარეობის ადგილი, მდინარე მტკვრის მახლობლად. 2000 წელს დაიგეგმა ნაგებობის გაფართოება და ბიოლოგიური ნაწილის დამატება. რაც სამწუხაროდ ვერ განხორციელდა არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო. ამჟამად, არ არსებობს მომუშავე გამწმენდი ნაგებობა და ჩამდინარე წყლები მდინარეში იცლება.

დაინტერესებულ მხარეთა მატრიცა

დაინტერესებული მხარეები	(შესაძლო) ინტერესები და პრობლემები
კასპის მუნიციპალიტეტი	<ul style="list-style-type: none"> • მომსახურების უწყვეტობა • დაფინანსების წყარო • ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა
ქალაქად მაცხოვრებელი	<ul style="list-style-type: none"> • გამართული წყალმომარაგების მომსახურება • გამართული კანალიზაციის მომსახურება • მისაღები ტარიფები • მშვიდი ურთიერთობები

	<ul style="list-style-type: none"> • პასუხისმგებელი წყლის კომპანია (საჭიროა სწრაფი და სწორი ქმედებები, მოთხოვნის შემთხვევაში) • სუფთა გარემო
ბიზნეს სექტორი (არსებული და პოტენციური ახალი მომხმარებლები)	<ul style="list-style-type: none"> • გამართული წყალმომარაგების მომსახურება • გამართული კანალიზაციის მომსახურება • მისაღები ტარიფები • მშვიდი ურთიერთობები • პასუხისმგებელი წყლის კომპანია (საჭიროა სწრაფი და სწორი ქმედებები, მოთხოვნის შემთხვევაში) • სუფთა გარემო
წყლის ოპერატორი (UWSCG)	<ul style="list-style-type: none"> • მეტი მომხმარებელი • ბრუნვის გაზრდა • უკეთესი სატარიფო სტრუქტურა
გარემოს დაცვის სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> • გარემოს დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობა • გაუმჯობესებული წყლის ხარისხი
ჯანდაცვის სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები
კონტრაქტორის სამშენებლო სამუშაოები	<ul style="list-style-type: none"> • სახარბიელო მომხმარებელი • მისაღები ფასი და გადახდა • მარტივი შესყიდვის პროცედურა • კარგი რეპუტაცია (კონტრაქტორის რეპუტაცია ხშირად ამასთან არის დაკავშირებული) • მათი შეტანილი წვლილის თვალსაჩინოება (მაგ. ხელმოწერები)
მიმწოდებლები	<ul style="list-style-type: none"> • სახარბიელო მომხმარებელი • მისაღები ფასი და გადახდა მომსახურებასა და პროდუქტზე • მარტივი შესყიდვის პროცედურა • გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა, ჯანსაღი კონკურენცია.


გამარტივებული პრობლემების ხე

მას შემდეგ, რაც მოხდა პრობლემის გამოვლენა, მათ შორის კავშირის დადგენის მიზნით შეიქმნა გრაფიკული სტრუქტურა „ხე“ რომელიც ურთიერთ კავშირს უზრუნველყოფს. მსგავსი ტექნიკა სასარგებლოა, რადგან განსაზღვრავს წარმატებული პროექტის მიერ შექმნილ ზემოქმედების მასშტაბს და გამოავლენს სხვა დამატებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, რომელიც შეიძლება არსებობდეს პროექტის კონტროლის მიღმა.

ასევე დამატებითი ღირებულების განსაზღვრა და წინასწარი შეფასების გაკეთება, პროექტის დასრულების შემდეგ, ობიექტის მოვლა -შენახვის საკითხის განსაზღვრა ძალზედ მნიშვნელოვანია.

ასეთი ანალიზის გაკეთება ემსახურება, ქალაქში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პრიორიტეტულობის ხაზგასმას ამ მიზნით ინვესტიციის ჩადების აუცილებლობას.

პრობლემის ხე: მაგალითი



დასკვნა

ეს მიდგომა ითვალისწინებს პროექტის კონცეფციის ისეთ შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური კონტრაქტორისათვის ყველა შესაძლო საკითხის და პრობლემის ცოდნას, რათა დროულად მოხდეს მათზე რეაგირება, როგორც კი პროექტის განხორციელების ეტაპი დაიწყება და ასევე თუ რა უნდა იქნას გათვალისწინებული ტექნიკურ დავალებაში.

შემდეგი ნაბიჯები:

1. ტექნიკური დავალების შედგენაში ხელშეწყობა-ანალიზის საგანი

- არსებული სიტუაციის, ძირითადი პრობლემების და ადგილზე სისტემის გაუმართაობის აღწერა
- მოთხოვნის ანალიზი დემოგრაფიული ანალიზის და პროგნოზის, წყლის წარმოების და მოხმარების და საკანაზალიციო წყლის წარმოების ჩათვლით.
- ტექნიკური და ტექნოლოგიური ანალიზი-საკანაზალიციო წყალმომარაგების ნაგებობის დატვირთვა, ყველაზე შესაფერისი ტექნოლოგია.
- ვარიანტების ანალიზი- საკანაზალიციო გამწმენდი ნაგებობის ვარიანტების შედარება. (წგნ1 და წგნ 2) მე-2 ვარიანტის მიხედვით საჭირო გახდება ნაგებობის განლაგების ადგილებს შორის ქსელის და სავარაუდოდ სატუმბი სადგურის მშენებლობა.

ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობა (ადგილი No 1)





წყალარინების გამწმენდი ნაგებობა (ადგილი No 2)



- პროექტის ფინანსური ანალიზი მოიცავს დაფინანსების წყაროებს, საოპერაციო ხარჯებს (მათ შორის ცვეთა), საოპერაციო შემოსავლებს, სამუშაო კაპიტალს და ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებას. (ქსელის მიმდინარე ტარიფი და ბრუნვის შიდა კურსი)
 - ორგანიზაციული და სამართლებრივი ანალიზი- განსაზღვრავს პროექტის შექმნის, განხორციელების და მოქმედების საუკეთესო ვარიანტს.
2. ტენდერის გამოქვეყნება (მუნიციპალიტეტი)
 3. სატენ დერო წინადადებების შეფასების მხარდაჭერა

სიტუაციური მაგალითი: კასპის ახალი საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა

ნაწილი 2

ამჟამად, პროექტისთვის, შემუშავდა ორი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეთა მატრიცას და პრობლემათა ხეს წარმოადგენს. სწორად დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლეების საჭიროებებს, რომლებიც მოცემულ კონტექსტში ძირითადი პრობლემების გამოვლენის საფუძველზე გამოიკვეთა. პრობლემათა ხე მოიცავს პრობლემათა იერარქიულ სისტემას, სადაც პრობლემებს შორის მიზეზ შედეგობრივი კავშირი არსებობს.

შემდეგი ინსტრუმენტი გახლავთ ლოგიკური ჩარჩო, რომელიც მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს, რაც შემდგომში გამოიყენება ეფექტური, სათანადო და განხორციელებადი პროექტის შემუშავებისთვის.

ლოგიკური ჩარჩო, რომელიც აგებულია პრობლემათა ხეზე ეს უკანასკნელი მიზნების ხესთან არის კავშირში.

ლოგიკური ჩარჩო უზრუნველყოფს:

(1) განხორციელდა თუ რა მიზნების მიღწევა

(2) როგორ შეიძლება მოვიძიოთ ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მიღწეული მიზნების შეფასებისთვის.

(3) ძირითადი დაშვებები, რომელიც იმყოფება პროექტის კონტროლის მიღმა და მოიაზრება პროექტის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორად პროექტის ამოცანების ნებისმიერ დონეზე

შემდეგი ინსტრუმენტი შემუშავების პროცესშია:

- *დანართი 1 - პროექტის დიზაინი, მონიტორინგი და შეფასება*
- *დანართი 2 - პროექტის ხარჯები, დაფინანსება და მიღწევები*
- *დანართი 3 - შეფასებითი კრიტერიუმის მატრიცა*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია პროექტის კონცეფციის მონახაზი, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას პროექტის იდეის შესახებ (დანართი 4).

შემდეგი ნაბიჯები: კვამ პროექტის ჯგუფი

1. საკანალიზაციო წყალგამწმენდი ნაგებობისთვის ტექნიკური დავალების შედგენაში მხარდაჭერა (კვარტალი 4/2018)
2. საერთაშორისო დონორის გამოვლენისთვის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა

შემდეგი ნაბიჯები: მუნიციპალიტეტი

- საკანალიზაციო წყალგამწმენდი ნაგებობისთვის ტექნიკური დავალების შედგენა (კვარტალი 3/2018)
- პროექტისთვის სხვა დამატებითი საერთაშორისო დაფინანსების მოძიება.



დანართი 1

პროექტის დიზაინი და მონიტორინგი, პროექტის შესრულების და შედეგების შეფასება.

			შესრულების ინდიკატორები და სამიზნე
--	--	--	------------------------------------

დიზაინი	მონიტორინგის მექანიზმები	დაშვებები და რისკები	შეფასება	პროექტის შესრულების ანგარიში	დამოუკიდებელი შეფასება. შეფასების შენიშვნები
A. სექტორული მიზანი					
კასპში ურბანული გარემოსდაცვითი პირობების გაუმჯობესება	გარემოს მონიტორინგის მონაცემები	მტკვრის არსებული დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის გეგმა ხორციელდება მთავრობის მიერ	წყალმომარაგების დაბინძურების თავიდან აცილება, ჩამდინარე წყლების მართვის სტრატეგიის დანერგვა	წელიწადში XXX მ ³ სუფთა წყლის უზრუნველყოფა მდინარე მტკვრიდან. XXX მილიონი მოცულობის ჩამდინარე წყლების გასუფთავება. საკანალიზაციო წყალგამწმენდი ნაგებობების დასრულება	XXX ტონა ჩამდინარე წყლის გასუფთავება დღეში კასპში პატარა და დიდი წყალგამწმენდი ნაგებობების მეშვეობით
კასპში ჯანდაცვის გაუმჯობესება	სოციალურ-ეკონომიკური კვლევები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტატისტიკა	წყლის ხარისხის გაუმჯობესება ეფექტურია.	2020 წლისთვის წყლით გადამდები დაავადებების შემცირება.	ეროვნული სტანდარტების მიხედვით ხარისხიანი წყალი	მთლიანი აზოტის გარდა, მტკვრის წყლის ხარისხის პარამეტრი უკეთესია, ვიდრე მე-3 სკლასის სტანდარტი, რომელიც მისაღებია წყალმომარაგებისთვის
გაუმჯობესებული ურბანული გარემოს კეთილმოწყობა ბიზნესის, ტურიზმის, და დასასვენების უზრუნველყოფად	სოციალურ-ეკონომიკური კვლევები და ვიზუალური კვლევები	საზოგადოების ინფორმირება და საგანმანათლებლო პროგრამებით წარმატებით ხორციელდება.	ურბანული კეთილმოწყობით საზოგადოების კმაყოფილების გაზრდა	ურბანული კეთილმოწყობით საზოგადოების კმაყოფილება	სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება სასოფლო-სამეურნეო წყლის ხარისხის, წყლის დაბინძურების, გარემოსთან დაკავშირებული გარემოებების ან პროექტის განხორციელებით და ექსპლუატაციით გამოწვეული მტკერი, ხმაური, სუნის ან მიწის ეროზიით დაზარალებული მოსახლეობის კმაყოფილების გაზომვის მიზნით
კომუნალური მომსახურების ინსტიტუციონალური განვითარება	აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება	პოლიტიკური მხარდაჭერა გატარებული რეფორმებისთვის	2022 წლისთვის მდგრადი თვითმმართველობა, მართვა და დაფინანსება	(UWSCG) საქართველოს გარეთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ანგარიშები	UWSCG 2022 წლის დეკემბრისთვის გააუმჯობეს მართვის, ოპერირების და მოვლა შენახვის ხარისხი.

დიზაინი	სამონიტორინგო მექანიზმები	დაშვებები და რისკები	შესრულების ინდიკატორები და სამიზნე		
			შეფასება	პროექტის შესრულების ანგარიში	დამოუკიდებელი შეფასება. შეფასების შენიშვნები
					მუნიციპალიტეტმა გადასცა UWSCG აქტივები ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისთვის
B. პროექტის ამოცანები					
კასპში მაღალი ხარისხის სასმელი წყლის და წყალარინების სისტემის მომსახურების უზრუნველყოფა ხელმისაწვდომ ფასად	პროექტის დასრულების ანგარიში, წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამა დებეტის გაზომვა პროექტის და სატარიფო მიმოხილვა	წყლის ხარისხი შენარჩუნებულია. საჭირო წყლის მოცულობა ხელმისაწვდომია სატარიფო რეფორმის ადეკვატური პოლიტიკური მხარდაჭერა	წყლის ხარისხი გაუმჯობესებულია 2022 იანვრისთვის XXX მ ³ წელიწადში შედეგი გარანტირებულია (75%) 2022 იანვრისთვის წყლის მოხმარების საშუალო ხარჯი არ აღემატება XXX ლარს/მ3 და გადამუშავებული წყლის შემთხვევაში YYY ლარს/მ3	მიღწეული გაუმჯობესებული შედეგი მიღწეული იქნება 2022 წლისთვის 2022 იანვრისთვის წყლის მოხმარების საშუალო ხარჯი არის XXX ლარ/მ3 და გადამუშავებული წყლის შემთხვევაში YYY ლარი/მ3	მთლიანი აზოტის გარდა, მდინარე მტკვრის წყალსაცავის წყლის ხარისხის პარამეტრი მი ს ა ლ ე ბ ი ა წყ ა ლ მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს თ ვ ი ს საჭირო ოდენობის წყლის მიწოდება წყლის ტარიფი გაიზარდა გადამუშავებული წყლის ტარიფი გაიზარდა

	UWSCG საინფორმაციო სისტემის მართვა და ანგარიში	ჩამდინარე წყლებზე შეფასებული მოთხოვნა სწორია საკანალიზაციო ქსელი დასრულებულია	კასპში ჩამდინარე წყლების 95% გადასახადების აკრეფა მოხდება 2022 იანვრისთვის	50%–60% 2020 წლის ბოლოსთვის, და 100% 2022 წლისთვის	2022 წლისთვის მოსალოდნელია 100% შედეგი, როგორც კი დასრულდება კანალიზაცია
--	---	--	--	---	--

დიზაინი	სამონიტორინგო მექანიზმები	დაშვებები და რისკები	შესრულების ინდიკატორები და სამიზნე		
			შეფასება	პროექტის შესრულების ანგარიში	დამოუკიდებელი შეფასება. შეფასების შენიშვნები
კასპში დაბინძურების შემცირება	წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამა	UWSCG- ის მიერ გაუმჯობესებული წყლის ხარისხის მართვა ეფექტური და მდგრადია. ატმოსფერული დაბინძურების პრევენცია და კონტროლი ადეკვატურად არის მიმართული.	2020 წლის დეკემბრისთვის წყლის რესურსები 100% დააკმაყოფილებს მოთხოვნას	2020 წ დეკემბრისთვის წყლის საკითხი 100% იქნება მიღწეული	მთლიანი აზოტის გარდა, მტკვარის წყლის ხარისხის პარამეტრი უკეთესია, ვიდრე მე -3 სკლასის სტანდარტი, რომელიც მისაღებია წყალმომარაგებისთვის 2020 წლისთვის XXX საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფილია
	საქმის წარმოების რაოდენობა		ჩამდინარე წყლების არალეგალური გამოყენება შემცირებულია	არანაირ ინციდენტს არ ქონია ადგილი	არანაირი უკმაყოფილება
	სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, ვიზუალურ აღქმითი კვლევა	საზოგადოების ინფორმირება და საგანმანათლებლო პროგრამები წარმატებით ხორციელდება.	2020 წლისთვის საზოგადოების კმაყოფილება გაზრდილია ურბანული კეთილმოწყობით	2020 წლისთვის საზოგადოების კმაყოფილება ურბანული კეთილმოწყობასთან დაკავშირებით გაზრდილია	სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება, სასოფლო-სამეურნეო წყლის ხარისხის, წყლის დაბინძურების, გარემოსთან დაკავშირებული გარემოებების ან პროექტის განხორციელებით და ექსპლუატაციით გამოწვეული მტკვრის, ხმაურის, სუნის ან მიწის ეროზიით დაზარალებული მოსახლეობის კმაყოფილების, გაზომვის მიზნით.

დიზაინი	სამონიტორინგო მექანიზმები	დაშვებები და რისკები	შესრულების ინდიკატორები და სამიზნე		
			შეფასება	პროექტის შესრულების ანგარიში	დამოუკიდებელი შეფასება. შეფასების შენიშვნები
	წყლის ნაკადის მონიტორინგი, მათ შორის წყლის სამუშაოები ოპერატიული საქმიანობების ჩანაწერები	არალეგალური გამოყენების საკითხი გადაჭრილია	2020 წლისთვის XXX მ ³ /წ წყალი დაცულია და დაბინძურებისგან და დანაკარგისგან 2020 წლისთვის წყლის დანაკარგი შემცირებულია 4% დან 2% მდე	XXX მ ³ საშუალოდ წყლის მიწოდება ხორციელდება 2020-2022 წწ წყლის დანაკარგის შემცირება 2018 წლის დეკემბრისთვის 1% -მდე	საჭირო წლიური წყალმომარაგება YYY მ ³ /წ 2015 დან წყალსაცავის გარდაუვალი დანაკარგის გარდა, წყალსატევში წყლის დანაკარგი 0.3% -ზე ნაკლებია, ხოლო ღია არხში 0.6% -ით ნაკლებია
C. უშუალო შედეგები					
კომპონენტი A	პროექტის განხორციელების გეგმა და მიმოხილვა მონიტორინგის პროგრამის შესრულება, ნარჩენების მართვის მონიტორინგი	საკმარისი წყლის მოცულობა წყლის ხარისხი შენარჩუნებულია წარმოების დანერგვა ადეკვატური წინასწარი დამუშავება	2022 დეკემბრისთვის წლისთვის კასპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის დღიური გამტარობა XXX მ ³ 2021 დეკემბრისთვის საკანალიზაციო სისტემის შეგროვების და გამტარობის შესაძლებლობა XXX მ ³ დღიურად ეფექტური რეჟიმის დანერგვა	2022წ ბოლოსთვის XXX მ ³ მოცულობის გადამუშავების საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის დასრულება ამ პროექტის ფარგლებში მთლიანად XXX კმ კანალიზაციის სისტემა იქნა დასრულებული ეფექტური მუშაობა შეფერხებული იყო საკანალიზაციო სისტემის მშენებლის გამო	წყალგამწმენდი ნაგებობა აღარ ფუნქციონერებს 2000 წლიდან XXX კმ საკანალიზაციის სისტემა იქნა დასრულებული (i) ეროვნულ სტანდარტებთან შედარებით კანალიზაციის სტანდარტები უფრო მკაცრია.

დიზაინი	სამონიტორინგო მექანიზმები	დაშვებები და რისკები	შესრულების ინდიკატორები და სამიზნე		
			შეფასება	პროექტის შესრულების ანგარიში	დამოუკიდებელი შეფასება. შეფასების შენიშვნები
D. აქტივობები					
კომპონენტი A	პროექტის მიმდინარეობის ანგარიშები				
ბენეფიციარ თა მონაწილეობა	გეგმების გადახედვა		დაწყება 2021 შესრულება: მიმდინარე პასუხისმგებლობა: კასპის მუნიციპალიტეტი	დაიწყო	დაიწყო პასუხისმგებლობა : კასპის მუნიციპალიტეტი UWSCG
მიწის შექმნა და განსახლება			დაწყება: დასრულებული: პასუხისმგებლობა:	დაწყება: დასრულებული: პასუხისმგებლობა:	დაწყება: დასრულებული: პასუხისმგებლობა:
ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება შემოთავაზებული პროექტის ზოგად სიცოცხლისუნარიანობას აფასებს და ის გამოვლენის ეტაპზე შეგროვებულ მონაცემებსა და ინფორმაციას ეყრდნობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის თვალსაჩინოს ხდის, თუ რამდენად განხორციელებადია პროექტი მანამ, სანამ მასში რესურსების ინვესტირება მოხდება.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება პროექტის დაწყებამდე მზადდება და ხშირად ის პროექტის შედეგებზე კონკრეტული პროცესებისა და პროცედურების შესაძლო ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყენება.

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში შესატანი ინფორმაციის მაგალითი

- ✓ პროექტის აღწერა (პროექტის დასახელება და დანიშნულება, დაინტერესებული მხარეები, მოსალოდნელი შედეგები)/პროექტის მონაცემთა ბაზა;
- ✓ მიზნები;
- ✓ სამუშაოთა გრაფიკი;
- ✓ დანახარჯები და ბიუჯეტი;
- ✓ დანიშნულება;
- ✓ რესურსები;
- ✓ პროექტის პროცესი, სტეპების ჩათვლით;
- ✓ მართვა და გუნდები;
- ✓ დაკვირვებები;

ცხრილი 13 პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ძირითადი პარაგრაფები

3.3 შეფასება

ამ ეტაპზე, რომელსაც ასევე დაგეგმვის ეტაპი ეწოდება, ტექნიკური და ფინანსური შეფასება ხორციელდება, იმისათვის, რომ ტექნიკური და ფინანსური მოთხოვნების მიმოხილვა მოხდეს და დადგინდეს, რამდენად არის პროექტი დაფინანსებისთვის გამოსადეგარი.

შეფასების ანგარიში, რომელსაც შედეგად მივიღებთ, **ლოგიკურ-სტრუქტურულ ცხრილს და ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას** უნდა მოიცავდეს და ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად შემოთავაზებულ პროექტს უნდა აფასებდეს:

შესაბამისობა პროექტი შესაბამისია მაშინ, როდესაც მისი დანიშნულება მრავალმნიშვნელოვნად ხელს უწყობს ძირითადი მიზნის მიღწევას;

ნაყოფიერება როდესაც დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ პროექტის შედეგები პროექტის საქმიანობების განხორციელებით მიიღწევა და პროექტის შედეგების განხორციელება პროექტის დანიშნულებების მიღწევას შეუწყობს ხელს;

ეფექტურობა როდესაც მოსალოდნელია, რომ საქმიანობებსა და რესურსებს შორის დამოკიდებულება მისაღები და რეალისტური იქნება;

განხორციელებადობა როდესაც დაშვებები და რისკები საქმიანობებისა და შედეგების დონეზე რეალისტური და მისაღებია;

პროექტის მდგრადობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენ შემდეგი შეკითხვები შეგვიძლია დავსვათ:

- ✓ აქვს თუ არა პროექტს ადგილობრივი დაწესებულებების მხარდაჭერა?
- ✓ პროექტის დასრულების შემდეგ, გვექნება თუ არა იგივე გარემო პირობები, როგორც ადრე?
- ✓ არსებობს თუ არა რაიმე ადგილობრივი ორგანიზაცია, რომლის ნაწილიც შეიძლება პროექტი გახდეს მისი დასრულების შემდეგ?
- ✓ აქვთ თუ არა მოსარგებლე პირებს რაიმე საკუთრების უფლებები პროექტზე?
- ✓ აჭარბებს თუ არა პროექტის ფინანსური და ეკონომიკური სარგებელი სამომავლო დანახარჯებს?

3.4 დაპროექტების ტექნიკური დავალება

ტენდერის/შესყიდვის პროცესის დაწყებამდე, პროექტისთვის ტექნიკური დავალების შედგენა საბოლოო ნაბიჯს წარმოადგენს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტექნიკური დავალება რაც შეიძლება დეტალური და სრულყოფილი იყოს, გამომდინარე იქიდან, რომ ის დაპროექტირების ხელშეკრულების დადების საფუძველი იქნება.

პროექტის სტანდარტულმა ტექნიკურმა დავალებამ შემდეგი ინფორმაცია უნდა მოიცავს:

ტექნიკური დავალების ზოგადი ნიმუში


საწყისი ინფორმაცია	<ul style="list-style-type: none"> ✓ აღწერეთ მუნიციპალიტეტი, რომელშიც შემოთავაზებული პროექტი განხორციელდება ✓ დაადგინეთ დაინტერესებული მხარეების ზოგადი როლი პროექტის საქმიანობებში ✓ წარმოადგინეთ პროექტის საჭიროების მოკლე აღწერილობა
მიზნები	<ul style="list-style-type: none"> ✓ დაადგინეთ შემოთავაზებული პროექტის ინტერვენციის ძირითადი მიზნები ✓ აღწერეთ მოსალოდნელი მიღწევები ✓ წარმოადგინეთ საჭირო რესურსების მიმოხილვა ✓ მკაფიოდ დაადგინეთ და განსაზღვრეთ რა არის მოსალოდნელი პროექტისგან და ვინ იქნება მისი სამიზნე ჯგუფი
პრობლემები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ხაზი გაუსვით ძირითად განსახილველ პრობლემებს ✓ ჩამოწერეთ კრიტერიუმი (ნაყოფიერების, შესაბამისობის, ეფექტურობის, ზემოქმედების და მდგრადობის ჩათვლით), რომლის საპირისპიროდაც პრობლემები გაანალიზებული და შეფასებული იქნება
მეთოდოლოგია	<ul style="list-style-type: none"> ✓ განსაზღვრეთ განხორციელების პროცესის ძირითადი ეტაპები ✓ დააკონკრეტეთ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საჭირო დონე ✓ აღწერეთ პროექტის საქმიანობების შინაარსი და ხანგრძლივობა ✓ ჩამოწერეთ ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტები, რომლებიც მონიტორინგის დანიშნულებისთვის არის საჭირო ✓ უზრუნველყავით მონაცემთა ანალიზის წესები
ექსპერტული ცოდნა	<ul style="list-style-type: none"> ✓ დააკონკრეტეთ წინადადებაში შეტანილი სამუშაოს ტიპი ✓ აღწერეთ საჭირო უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების ტიპი ✓ დაადგინეთ პროექტში ჩართული ფიზიკური პირების ზუსტი რაოდენობა ✓ განსაზღვრეთ თითოეული გუნდის წევრის ჩართულობის პერიოდი ✓ აღწერეთ თითოეული თანაგუნდელის მოვალეობები და პასუხისმგებლობები ✓ დაადგინეთ გუნდის წევრებს შორის არსებული ურთიერთობები
ანგარიშგება	<ul style="list-style-type: none"> ✓ წარმოადგინეთ პროექტის ანგარიშების სარჩევები (საჭიროებისამებრ) ✓ საჭიროებისამებრ, დაამატეთ ანგარიშის ნიმუშები ✓ მიუთითეთ მათი წარდგენის თარიღები ✓ ჩამოწერეთ ანგარიშის დასაწერად გამოსაყენებელი კომპიუტერული პროგრამები ✓ აღნიშნეთ ანგარიშგებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირები ✓ წარმოადგინეთ სხვა დამატებითი ინფორმაცია, როგორცაა მაგალითად დასაბეჭდი ანგარიშების


	<i>რაოდენობა, ანგარიშის დაწერასა და პროზენტაციაზე პასუხისმგებელი პირები, ა.შ.</i>
სამუშაო გეგმა	<ul style="list-style-type: none"> ✓ წარმოადგინეთ მოსალოდნელი სამუშაოს შეჯამება ✓ აღწერეთ პროექტის შედეგებისა და დანიშნულების მისაღწევად საჭირო საქმიანობები და რესურსები ✓ წარმოადგინეთ საქმიანობის გრაფიკის ნიმუში ✓ აღწერეთ პროექტზე გადანიშნული ფინანსური რესურსები

ცხრილი 14 პროექტის ტექნიკური დავალების ძირითადი პარაგრაფები

იხილეთ დანართი 5 ტექნიკური დავალების სხვადასხვა მაგალითებისთვის, განსაკუთრებით მომსახურების შესყიდვისთვის


პროექტის დაგეგმვის პროცესი





სურათი 7 პროექტის დაგეგმვის პროცესი

თავი 4: პროექტის განხორციელება, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპის ჩათვლით



ეტაპი IV. განხორციელება, მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩათვლით

ამ ეტაპის დანიშნულება შედეგების მოტანა და პროექტის ძირითადი მიზნის ხელშეწყობაა.

ის პროექტისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მართვასაც მოიცავს, ისევე როგორც ანგარიშგებას პროექტის პროგრესზე და პროექტის საქმიანობის მონიტორინგს.

პროექტის განხორციელების პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის პროგრესის მონიტორინგი, მისი მიმოხილვა და ნებისმიერი გარე ცვლილების გამოვლენა, რომელსაც პროექტზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. პროექტის გეგმები საჭიროებისამებრ უნდა დაკორექტირდეს. საკვანძო „საკონტროლო ეტაპების“ გამოვლენა, ისევე როგორც მკაფიოდ დადგენილი ანგარიშგების გრაფიკი და მონიტორინგის პროგრამის მომზადება, პროექტის ეფექტურ მართვაში გვეხმარება. მონიტორინგი, როგორც ასეთი, პროექტის და მისი საქმიანობის ეფექტურობისა და ნაყოფიერების გაზომვის საშუალებაა.

განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპისთვის საჭირო ინფორმაცია: ტექნიკური დავალება და დეტალური პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია და დაფინანსების შეთანხმება, ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა მაჩვენებლების და ინფორმაციის წყაროების ჩათვლით, საქმიანობა და სამუშაო პროგრამა, რესურსები, ბიუჯეტის გადანაწილება და გრაფიკები, რისკების მართვის ცხრილი, სახელშეკრულებო დოკუმენტები, პროექტის განხორციელების გეგმა.

ეს ეტაპი წინა ეტაპებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს და ის პროექტის მართვის პროცესის დასაწყისია. წინა ნაბიჯების დროს გამოვლენილი საქმიანობები სრულყოფილად უნდა შეფასდეს და დადგინდეს მათი ხარჯები, რესურსების, დროისა და სამუშაო ძალის რეალისტური და შესაბამისი გადანაწილებით.

განხორციელების დაგეგმვის ეტაპის საბოლოო პროდუქტი პროექტის განხორციელების გეგმა (პგგ). პგგ პროექტის მასშტაბზე, აღწერასა და ფინანსურ გეგმაზე, განხორციელების შემოთავაზებულ ღონისძიებებზე, განხორციელების გეგმაზე, მონიტორინგისა და შეფასების გეგმაზე და შესაბამის ტექნიკურ დავალებაზე დეტალურ ინფორმაციას მოიცავს.

ამ ეტაპის ძირითადი შედეგებია:

- ✓ პროექტის განხორციელების გეგმა;
- ✓ საქმიანობის კალენდარული გრაფიკი;
- ✓ პროექტის საკონტროლო ეტაპების ცხრილი;
- ✓ პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიში;
- ✓ პროექტის პროგრესის ანგარიშები;
- ✓ პროექტის ზედამხედველობის ანგარიშები;
- ✓ პროექტის საბოლოო ანგარიში;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი;
- ✓ ტექნიკური დავალება მომსახურებებისა და პროდუქციის შესყიდვისთვის (მშენებლობა, ზედამხედველობა, ა.შ.);
- ✓ პროექტის მონიტორინგის გეგმა და ანგარიშები

იხილეთ პროექტის განხორციელების გეგმის ნიმუში დანართ 6-ში განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები

დაანგარიშებებში დასახმარებლად ბევრი პროგრამული უზრუნველყოფაა, Excel-ში არსებული უფრო მარტივი სამუშაო გეგმების ჩათვლით, ან უფრო რთული პროგრამებით, როგორც Microsoft Project-ია. არ არსებობს „იდეალური“ კომპიუტრული პროგრამა და ჩვენ ნებისმიერი მიდგომის გამოყენება შეგვიძლია, მანამ სანამ არსებობს მკაფიო

წარმოდგენა საჭირო რესურსების შესახებ და თანმიმდევრულობა ცვლადების გამოყენებაში: დრო, პერსონალი, მასალები და სხვა რესურსები.

ეს ეტაპი სრულყოფილი სამუშაო გეგმით უნდა დასრულდეს, რომელშიც ყველა ხარჯი და რესურსების შესაბამისი გადანაწილება იქნება მოცემული. სამუშაო გეგმაში ასევე გამოსადეგარია პროექტის საქმიანობების ძირითადი ეტაპების გამოყოფა, გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის მენეჯერმა პროგრესის მონიტორინგი მათზე დაყრდნობით უნდა განახორციელოს.

4.1 პროექტის საქმიანობა და რესურსების დაგეგმვა

4.1.1 პროექტის განხორციელების დაწყება

შესყიდვის და სატენდერო პროცედურების შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმება პროექტის განხორციელების ეტაპის დაწყებაზე მიანიშნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროექტის გეგმა, ბიუჯეტი და ტექნიკური წინადადებები დამტკიცებულია და ხელშეკრულებები ხელმოწერილია.

განხორციელების ძირითადი ნაბიჯებია:

1. პროექტის სამუშაო გეგმა. ამოცანები პროექტის საკონტროლო ეტაპებად, ან მიზნებად არის ჩამოყალიბებული, რომლებმაც მუდმივ ანგარიშგებასა და მონიტორინგს უნდა დაუჭირონ მხარი.
2. საქმიანობების დაგეგმვა: პროექტის საქმიანობების დაგეგმვა შესაძლოა ბიუჯეტსაც მოიცავდეს.

4.1.2 სამუშაოს დაგეგმვა: განტის დიაგრამა (საქმიანობის კალენდარული გრაფიკი)

განტის დიაგრამა ღონისძიებების დეტალური განრიგია, რომელიც დაგეგმილ საქმიანობებს და მათ მოსალოდნელ შესრულების ვადებს დოკუმენტურად ასახავს. ის ჰენრი განტის მიერ შეიქმნა, რომელიც ინჟინერი და მართვის საკითხებში კონსულტანტი იყო. მისი მართვის თეორია თავს უყრის უკვე შესრულებულ სამუშაოს და იმ სამუშაოს, რომელიც ჯერ კიდევ შესასრულებელია.

როდესაც გრაფიკი პროექტების დასაგეგმად გამოიყენება, ის პროექტის მენეჯერის მხრიდან პროექტის პროგრესის შესაბამისად განუწყვეტლივ უნდა განახლდეს. შესაძლებელია უფრო კომპლექსური გრაფიკების შედგენაც, იმ კონკრეტული რესურსის მითითებით, რომელიც საქმიანობის შესასრულებლად არის საჭირო. ისეთი პროგრამები, როგორებიცაა Microsoft Excel, კალენდარული გრაფიკის შექმნას შედარებით ამარტივებენ.

პროექტის საკონტროლო ეტაპები პროექტის მენეჯერის მიერ დადგენილი წერტილებია, რომლებიც პროექტის სასიცოცხლო ციკლში მნიშვნელოვანი ეტაპის დასრულებას აღნიშნავენ. ისინი ძირითადად იმის საჩვენებლად გამოიყენება, თუ რამდენად მიჰყვება, ან არ მიჰყვება პროექტი თავის გრაფიკს და ზომავს რამდენად დასრულებულია პროექტი. თუკი ეს ასე არ არის, საქმიანობის კალენდარული გრაფიკი იძლევა იმის საშუალებას, რომ ადვილად გამოვავლინოთ ის საქმიანობები, რომლებიც პროექტის დროულად შესრულებისთვის უნდა განხორციელდეს.

პროექტის დაგეგმვის ერთ-ერთი არსებითი კონცეფცია ის არის, რომ ზოგიერთი საქმიანობა სხვა საქმიანობებზე არის დამოკიდებული, რომლებიც პირველ რიგში უნდა შესრულდეს. მაგალითად, ნამდვილად არ არის კარგი აზრი ოფისში კედლების აშენების დაწყება სამირკვლის ჩასხმამდე; არც ის არის კარგი იდეა ნამცხვარი პირდაპირ ლანგარზე მოვათავსოთ, ლანგრის გაცხიმიანების გარეშე.

ეს ერთმანეთზე დამოკიდებული საქმიანობებია, რომლებსაც თანმიმდევრულად შესრულება სჭირდებათ, იმისათვის რომ თითოეული ეტაპი მეტ-ნაკლებად დასრულებული იყოს მომდევნო ეტაპის დაწყებამდე. ჩვენ შეგვიძლია ასეთ ურთიერთდამოკიდებულ საქმიანობებს 'თანმიმდევრული' ვუწოდოთ.

არა-თანმიმდევრული საქმიანობები არ არიან დამოკიდებულები სხვა რაიმე ამოცანების შესრულებაზე. ეს საქმიანობები დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება შესრულდეს, ან პროექტის რომელიმე კონკრეტული ეტაპის მიღწევის შემდეგ. ისინი არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულები და „პარალელურ“ ამონაცებს წარმოადგენენ. ეს კონცეფცია, რომელიც თანმიმდევრულ და არა-თანმიმდევრულ საქმიანობებს ეყრდნობა, კრიტიკული მეთოდის ანალიზის სახელით არის ცნობილი.


შეჯამების სახით, საქმიანობის კალენდარულ გრაფიკებს შეუძლიათ:

- დაგეხმარონ ამოცანების და ქვე-ამოცანების გამოვლენაში, რომლებიც უნდა განხორციელდეს;
- დაგეხმარონ იმ ამოცანების ჩამოყალიბებაში, რომლებიც უნდა შესრულდეს;
- დაგეხმარონ ამ ამოცანების განხორციელების განრიგის და მათი თანმიმდევრობის დადგენაში;
- დაგეხმარონ რესურსების დაგეგმვაში, რომლებიც პროექტის შესასრულებლად არის საჭირო;
- დაგეხმარონ პროექტისთვის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში, როდესაც ის კონკრეტული თარიღისთვის უნდა დასრულდეს;

საქმიანობის კალენდარული გრაფიკის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი ის არის, რომ თითოეული საქმიანობა ცალკე ხაზზე უნდა განთავსდეს. შექმენით დროის გრაფიკი პროექტის მთლიანი ხანგრძლივობისთვის. ჩვეულებრივ, პრაქტიკულია კვირების გამოყენება, ან უფრო გრძელვადიანი პროექტებისთვის თვეების მითითება, მაგრამ შესაძლოა რამდენიმე შემთხვევაში როდესაც თქვენ ძალიან დეტალური სამუშაო გეგმის მიღება გინდათ, თქვენ შესაძლოა ყოველდღიური გრაფიკებიც კი შეიმუშაოთ.

მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობის კალენდარული გრაფიკი გამოსადეგარი და ღირებულია პატარა პროექტებისთვის, რომლებიც ერთ ცალკეულ ფურცელზე, ან ეკრანზე თავსდებიან, ისინი შესაძლოა საკმაოდ რთულად მართვადი აღმოჩნდეს 30-ზე მეტი საქმიანობის შემცველი პროექტებისთვის. დიდი კალენდარული გრაფიკები შესაძლოა კომპიუტერის მონიტორების უმეტესობისთვის არ იყოს შესაფერისი. გავრცელებული კრიტიკა იმას უკავშირდება, რომ ასეთი გრაფიკები შედარებით მცირე ინფორმაციას აჩვენებენ მონიტორის ერთეულის ფართობზე. კერძოდ, პროექტები ხშირ შემთხვევაში იმაზე გაცილებით კომპლექსურია, ვიდრე ამის ეფექტურად წარმოჩენა მხოლოდ კალენდარული გრაფიკის გამოყენებით არის შესაძლებელი.

ეტაპი	ამოცანა	მიზანი (ამოცანის შესრულების მაჩვენებელი)	რესურსი	კვირების მიხედვით გაწერილი საქმიანობა პროექტის დაწყების დღიდან																								
				სექ - 17				ოქტ				ნოვ				დეკ				იან - 18				თებ				
				1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	



სურათი 8 განტის დიაგრამის მაგალითი (წყარო: სწავლების მასალა, პროექტის კვლევითი)

იხილეთ დანართი 6 პროექტის განხორციელება და მონიტორინგი, პროექტის დაგეგმვის ინსტრუმენტების უფრო მეტი მაგალითისთვის

4.2 პროექტის მონიტორინგი

მონიტორინგი უწყვეტი საქმიანობაა, რომლის დანიშნულებაც პროექტის მმართველი გუნდისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის ინტერვენციის შესახებ უკუკავშირის მიწოდებაა, პროექტის პროგრესის შეფასების ფორმით.

პროექტის განხორციელების ეტაპის მიზანია:

- ✓ შედეგების უზრუნველყოფა;
- ✓ პროექტის დანიშნულების მიღწევა;
- ✓ ძირითადი მიზნის მიღწევის ხელშეწყობა;
- ✓ ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტურად მართვა;
- ✓ პროექტის პროგრესის **მონიტორინგი**;

ზოგადად, განხორციელება სამ პერიოდს მოიცავს:

- I. პროექტის საწყისი ეტაპი → *საწყისი ეტაპის ანგარიში*;
- II. განხორციელების პერიოდი → *პროექტის პროგრესის ანგარიშები და პროექტის მონიტორინგის ანგარიშები*;
- III. დასრულების პერიოდი → *დასრულების/საბოლოო ანგარიში*;

მონიტორინგი პროექტის პროგრესს ზომავს, იმის გადამოწმებით, თუ რამდენად მივყავართ პროექტის საქმიანობებს განზრახულ შედეგებამდე/რეზულტატამდე და რამდენად უზრუნველყოფენ ეს შედეგები პროექტის სასურველი დანიშნულების მიღწევას (იხილეთ განმარტება მე-7 პარაგრაფში - **ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა**). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონიტორინგი პროექტის განხორციელების გზებზე მიმდინარე და უწყვეტ შეფასებას უზრუნველყოფს.

ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცის შემადგენელი მაჩვენებლები (იხილეთ **პარაგრაფი 2.4.4**) პროექტის პროგრესის გასაზომად და პროექტის შედეგებისა და დანიშნულების შესაფასებლად გამოიყენება.

- მონიტორინგი პროექტის შესაბამისობას, ეფექტურობასა და ნაყოფიერებას ზომავს;
- შეფასება (იხილეთ ეტაპი V შეფასება) ასევე ზომავს პროექტის ზემოქმედებასა და მდგრადობას;

მონიტორინგი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს უჭერს მხარს იმ მხრივ, რომ ის გაფრთხილების სისტემას უზრუნველყოფს, რომელიც პროექტის განხორციელების პროცესის დაკორექტირების საშუალებას იძლევა, მაშინ, როდესაც ის გეგმას არის აცდენილი. ამგვარად, ის პროექტის განხორციელების პროცესზე ანგარიშვალდებულებას წარმოშობს და სამომავლო შეფასებისთვის საფუძველს წარმოადგენს.

4.2.1 მონიტორინგის ინსტრუმენტები და მონიტორინგის პროცესი

მონიტორინგი მონიტორინგის ნიმუშების გამოყენებით ხორციელდება. მონიტორინგის ნიმუშები ზოგადად სამ დოკუმენტს ეყრდნობა:

1. **ტექნიკური დავალება**, განსაზღვრული მიზნით და დანიშნულებით, რომელსაც პროექტმა უნდა მიაღწიოს;
2. **სამუშაო გეგმა/საქმიანობის გეგმა**, რომელიც საქმიანობებს და შედეგებს/რეზულტატებს განსაზღვრავს;
3. **ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა**, რომელიც შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს განსაზღვრავს;

პროექტის სხვა დოკუმენტები, რომლებიც მონიტორინგის პროცესს შეიძლება საფუძველად დაედოს შემდეგია:

- ა) პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიში
- ბ) პროექტის პროგრესის ანგარიშები
- გ) პროექტის საბოლოო ანგარიში

მონიტორინგის ნიმუშები გამოსაყენებლად მარტივი, ადვილად გასაგები და გარემოებებთან ადაპტირებული უნდა იყოს. ისინი კონკრეტული ქმედების განხორციელების რეკომენდაციებს უნდა იძლეოდეს (*იხილეთ დანართი 6 პროექტის განხორციელება და მონიტორინგი*).

მონიტორინგის პროცესი ზოგადად საოფისე სამუშაოთი იწყება, რომლის განმავლობაშიც მონიტორინგის კვლევის განმახორციელებელი პირი ყველა ხელმისაწვდომ საპროექტო დოკუმენტაციას აგროვებს, როგორცაა:

- ტექნიკური დავალება;
- დეტალური პროექტი;
- მშენებლობის ტექნიკური დავალება;
- საწყისი ეტაპის ანგარიში;
- პროგრესის ანგარიშები;

- ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;
- სამუშაო გეგმა;

ამასთანავე, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა წინასწარ უნდა განსაზღვროს პროექტის სხვა დაინტერესებული მხარეები და მიმღები პირები (პირდაპირი ბენეფიციარის/დამკვეთის გარდა).

კარგი იქნება, თუკი მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებამდე მონიტორინგის განმახორციელებელმა პირი „პროექტის მიმოხილვის“ ცხრილს შეავსებს (*იხილეთ ქვემოთ*), იმისათვის, რომ ინტერვიურ დროს მას პროექტის მიზნების, დანიშნულების, შედეგებისა და საქმიანობების შეჯამება ჰქონდეს ხელთ.

პროექტის მიმოხილვის მაგალითი

1	ძირითადი მიზანი	
2	პროექტის დანიშნულება	
3	შედეგები/რეზულტატები (კომპონენტის მიხედვით)	
4	საქმიანობა (კომპონენტის მიხედვით)	

ცხრილი 15 პროექტის მიმოხილვა

ამის შემდეგ, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ინტერვიუების/საველე ვიზიტების მომზადებაზე გადასვლა შეუძლია. მას ამ ვიზიტების დრო მონიტორინგის ნიმუშები და ზემოთ ჩამოთვლილი პროექტის ძირითადი დოკუმენტები უნდა ჰქონდეს თან. ინტერვიუები ბენეფიციარის/დამკვეთის გამოკითხვით უნდა დაიწყოს, იმის თაობაზე, თუ რამდენად იცნობენ ისინი საპროექტო დოკუმენტაციას და ესმით თუ არა ის. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა მონიტორინგის ნიმუშები უნდა შეავსოს, დამატებითი კომენტარების გრაფაში რაც შეიძლება მეტი დეტალის შეტანით, იმისათვის, რომ მდგომარეობის ამსახველი სრულყოფილი სურათი მიიღოს.

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა შეიძლება შემდგომში სხვა დაინტერესებული მხარეების და/ან პროექტის მიმღები პირების მონახულება გადაწყვიტოს. ამისთვის, მან აღნიშნული ინტერვიუების დროს დაინტერესებული მხარეების შეხედულებების ცხრილი შეიძლება გამოიყენოს.

მომდევნო ეტაპი **მონიტორინგის ანგარიშის** მომზადებისგან შედგება, რომელმაც შემდეგი საპროექტო დოკუმენტები უნდა მიიღოს მხედველობაში:

1. ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;
2. საქმიანობის დაგეგმვა;

ეს ორი დოკუმენტი უფრო გაამარტივებს იმის შეფასებას, თუ:

- რამდენად მიჰყვება პროექტი გრაფიკს (განხორციელებული პროექტის სამუშაო გეგმის შესაბამისად);
- რამდენად მიგვიყვანა განხორციელებულმა საქმიანობამ მოსალოდნელ შედეგებამდე, რომლებიც პროექტის ლოგიკურ-სტრუქტურულ მატრიცაში არის ჩამოთვლილი;

<p>მონიტორინგის ანგარიში <i>მონიტორინგის ხუთი კრიტერიუმის</i> მიხედვით უნდა მომზადდეს:</p> <p>1. პროექტის შესაბამისობა და ხარისხი:</p> <p>შესაბამისობა: პროექტის შესაბამისობა პროექტის დანიშნულებასთან, იმ პრობლემებთან, რომელთა მოგვარებასაც ის ისახავდა მიზნად და გარემოსთან, რომლის ფარგლებშიც პროექტი ხორციელდება;</p> <p>პროექტის დიზაინი: პროექტის დაგეგმვის ხარისხი პროექტის დანიშნულების მიღწევასთან მიმართებაში;</p> <p>2. ეფექტურობა: ხარისხი, რომლითაც საქმიანობები და რესურსები (დრო, პერსონალი, ფინანსური რესურსები და მასალები) შედეგებად/რეზულტატებად გარდაიქმნა;</p> <p>3. ნაყოფიერება: შედეგების/რეზულტატების მიერ შეტანილი წვლილის შეფასება პროექტის დანიშნულების მიღწევაში;</p> <p>4. ამ დრომდე არსებული ზემოქმედება: პროექტის ზეგავლენა მის ფართო გარემოზე;</p> <p>5. პოტენციური მდგრადობა: პროექტის მიერ მოტანილი სარგებლის შენარჩუნების ალბათობა, მისი დასრულების შემდეგ;</p>

(წყარო: სწავლების მასალა, პროექტის პკმ ექსპერტი)

მონიტორინგის ანგარიშის ნიმუში მონიტორინგის ნიმუშში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა შეივსოს და თითოეულ პარაგრაფთან მიმართებაში კომენტარებსა და შენიშვნებს, ისევე როგორც შესაბამის შეკითხვებს უნდა მოიცავდეს.

მონიტორინგის ანგარიში შესაძლოა განსახორციელებელი ქმედებებისთვის **რეკომენდაციების** საბოლოო სიასაც მოიცავდეს, მონიტორინგის თითოეულ კრიტერიუმთან შესაბამისად და ზოგად საფუძვლებზე დაყრდნობით.

მონიტორინგის ნიმუში შეიძლება ასევე ბენეფიციარის/მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ თითოეულ დასრულ შეკითხვაზე გაცემული პასუხისთვის შეფასებას წარმოაჩენდეს.

შესაბამისად, მონიტორინგის ანგარიში მთლიანი შეფასების საშუალო მაჩვენებელს გვაძლევს, რომელიც თითოეულ პარაგრაფთან/კრიტერიუმთან მიმართებაში იქნა გაცემული (შესაბამისობა და დიზაინი, ეფექტურობა, ნაყოფიერება, ამ დრომდე არსებული ზემოქმედება და პოტენციური მდგრადობა).

➤ *იხილეთ დანართი 6 მონიტორინგის ინსტრუმენტების უფრო მეტი მაგალითისთვის - მონიტორინგისა და შეფასების კითხვები; ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომის გადამოწმების საკონტროლო სია; მონიტორინგის ნიმუშების მაგალითი; როგორ შევქმნათ მონიტორინგის სისტემა*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში პროექტის აღნიშნულ ეტაპზე გამოსაყენებელი ინსტრუმენტების ტიპები არის წარმოდგენილი:

ინსტრუმენტები	აღწერა
1. მოთხოვნები და ანგარიშების სპეციფიკაციები	ცხრილი კლიენტის მოთხოვნების თხრობითი სიით და პროექტის დაგეგმილი ანგარიშების შეფასებებთან დაკავშირებით
2. დაფინანსების გეგმა	ცხრილი, რომელშიც პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები მათი წყაროების მიხედვით (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, ეროვნული და/ან ადგილობრივი მთავრობა) და გაცვლითი კურსით (ადგილობრივი და/ან უცხოური) არის ჩამოწერილი
3. გრაფიკი	პროექტის გრაფიკის ინფორმაციის გრაფიკული წარმოჩენა კავშირების ფორმით, რომლებიც ურთიერთამოკიდებულებებს და საკვანძო ეტაპებს მოიცავს
4. რესურსებისა და დანახარჯების შეფასება	სვეტებიანი ცხრილი პროექტის რესურსების მოთხოვნების სიით, თითოეული რესურსისთვის საჭირო ძალისხმევის სავარაუდო დონითა და მასთან დაკავშირებული ხარჯებით
5. შესყიდვების ღონისძიებები	სამუშაო გეგმა, რომელიც შესყიდვების დაგეგმვის პროცესს და გადაწყვეტილების სხვადასხვა ეტაპებს აღწერს, რომლებიც შესყიდვის საბოლოო ღონისძიებებს განსაზღვრავენ
6. შესყიდვების გეგმა	მატრიცა, რომელიც პროექტის სხვადასხვა ელემენტებს და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს აღწერს, სახელშეკრულებო ინფორმაციისა და შესყიდვების საბოლოო ვადების ჩათვლით
7. სახსრების გამოყენების გეგმა	მატრიცა დაგეგმვისთვის და ყოველ კვარტალში ერთხელ სახსრების წყაროების მიხედვით გადანაწილების გრაფიკის პრეზენტაციისთვის პროექტის განხორციელებადობის მანძილზე
8. მონიტორინგი, ანგარიშგება და შეფასების გეგმა	ძირითადი საპროექტო ღონისძიებების შემაჯამებელი მატრიცა, რომლებიც აქტიურად უნდა გაკონტროლდეს, შეფასდეს და განხორციელების დროს მათზე ანგარიშგება და რეაგირება

	მოხდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწორი ინფორმაცია სწორ ხალხთან სწორ დროს მივიღეს
9. ტექნიკური დავალება	მინიმალური ინფორმაციის თხრობითი აღწერა, რომელიც ტექნიკური დავალების დოკუმენტში უნდა შევიდეს

ცხრილი 16 მონიტორინგის ინსტრუმენტები (წყარო: პროექტის მართვის ინსტრუმენტები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის წყლისა და ტრანსპორტის რეგიონული ინფრასტრუქტურული პროგრამა, ბუზ ალენ ჰამილტონი, USAid, 2003 წლის იანვარი).

აღნიშნულ პარაგრაფში აღწერილი ინსტრუმენტების მაგალითები შეგიძლიათ **დანართ 6-ში - პროექტის განხორციელება და მონიტორინგი** მოიძიოთ.

განხორციელების დაგეგმვა პროექტის ციკლის კრიტიკული ეტაპია. ყურადღებით მოფიქრებული და კარგად შემუშავებული განხორციელების გეგმა ზრდის პროექტის წარმატების ალბათობას, პროექტის დამტკიცების პროცესის დაჩქარებით და მისი დაწყების ინიცირებით.

განხორციელების დაგეგმვის ეტაპისთვის ნიმუშს **პროექტის განხორციელების გეგმა (პგგ) წარმოადგენს (იხილეთ დანართი 6)** - დოკუმენტი, რომელიც პროექტის მასშტაბზე, აღწერასა და ფინანსურ გეგმაზე, განხორციელების ღონისძიებებზე, განხორციელების გეგმაზე, მონიტორინგზე, ანგარიშგებაზე, შეფასებაზე და შესაბამის ტექნიკურ დავალებაზე დეტალურ ინფორმაციას უზრუნველყოფს. პროექტის ფორმულირებისა და განხორციელების დაგეგმვის შემდეგ, პროექტის ხელშეკრულების შეთანხმება და დამტკიცება ხდება.

პროექტის დაწყება მისი დიზაინის მომზადების, დამტკიცების და დონორებთან და ფინანსურ ორგანიზაციებთან ოფიციალური მოლაპარაკებების შემდეგ ხდება. ეს პროექტის ციკლში პროექტის დიზაინსა და პროექტის განხორციელებას შორის გამყოფი წერტილია.

პროექტის დაწყება მუშაობის ინიცირებას მოიცავს, პროექტის პერსონალის, აღჭურვილობის, დანადგარებისა და სხვა რესურსების მობილიზებით. ის პროექტის ორგანიზაციისა და განხორციელების მართვის გუნდის შექმნასაც გულისხმობს, ისევე როგორც დაინტერესებული მხარეებისა და ამოცანების საბოლოო ინტეგრაციას პროექტის წინასწარ დადგენილ მიზნებთან შესაბამისად. ბევრ პროექტში, დაწყების ეტაპი წარმდგენი ორგანიზაციის ოფისიდან უშუალოდ განხორციელების სამშენებლო მოედანზე ადგილმდებარეობის შეცვლას მოიცავს.

პროექტის დამუშავების ეტაპის საბოლოო პროდუქტი **პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიშია (პსეა)** - ნიმუში, რომელიც ყველა საჭირო დეტალს მოიცავს პროექტის განხორციელების შესაბამისობაში მოსაყვანად ადრე მომზადებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან, რამაც პროექტი ამ წერტილამდე მოიყვანა.

პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიშის მეშვეობით, პროექტის გუნდი ადასტურებს პროექტის განხორციელების დეტალურ და ურთიერთშეთანხმებულ სტრატეგიას. პსეა ყველა ფიზიკური პირისთვის, თუ ორგანიზაციისთვის, რომლებიც პროექტს უნდა შეუერთდნენ, ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა.

ამ ეტაპისთვის, პროექტის მართვის რამდენიმე ინსტრუმენტი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები.

ინსტრუმენტები	აღწერა
---------------	--------

1. პროექტის ფლაერი	პროექტის ძირითადი ფაქტების შემაჯამებელი ცხრილი პროექტის დიზაინიდან და დამტკიცებული დოკუმენტებიდან
2. პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურის ცხრილი	ცხრილი, რომელიც პროექტის საკვანძო მონაწილე მხარეების ფუნქციებსა და მათ შორის არსებულ დამოკიდებულებებს აჩვენებს
3. ჰისტორამა	პროექტის საქმიანობების ცხრილური-გრაფიკული გამოსახულება, ხშირ შემთხვევაში საქმიანობების ხანგრძლივობის ვადებთან, ურთიერთდამოკიდებულებებთან და რესურსების გადანაწილებასთან ერთად
4. პასუხისმგებლობების დიაგრამები	ცხრილი, რომელიც დეტალურად წარმოაჩენს პასუხისმგებლობების სხვადასხვა ტიპებს (დამტკიცება, განხორციელება, მხარდაჭერა, ინფორმაცია, ა.შ.), რომლებიც პროექტის მონაწილე მხარეებმა პროექტის საქმიანობებს/შედეგებს დაუკავშირეს
5. შესყიდვების მართვის საკონტროლო სია	შესყიდვის ძირითადი ელემენტების საკონტროლო სია, რომლებიც შესყიდვების განხორციელების პროცესის დროს უნდა გაკონტროლდეს
6. პროექტის საინფორმაციო სისტემის დიაგრამა	დიაგრამა, რომელიც პროექტის საკვანძო მონაწილე მხარეებს, საინფორმაციო არქივებს და საკომუნიკაციო ხაზებს აჩვენებს
7. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის განრიგი	სურათი, რომელზეც სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი არის წარმოდგენილი

ცხრილი 17 პროექტის მართვის სტანდარტული ინსტრუმენტები (წყარო: პროექტის მართვის ინსტრუმენტები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის წყლისა და ტრანსპორტის რეგიონული ინფრასტრუქტურული პროგრამა, ბუზ ალენ ჰამილტონი, USAid, 2003 წლის იანვარი).

შედეგებსა და მიზნებზე საერთო და მკაფიო წარმოდგენის ქონა, თანამშრომლობის დამტკიცებული მეთოდები და პროცედურები და როლებისა და პასუხისმგებლობების თანაბარი გადანაწილებისთვის კონკრეტული გეგმის მიღება, პროექტის კონსტრუქციული აღსრულების მყარ საფუძველს ქმნის.

პროექტის აღსრულება პროექტის განხორციელების მთლიანი პროცესის მეორე ეტაპია. ის პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიშით იწყება და პროექტის დახურვით მთავრდება. შესაბამისად, პროექტის აღსრულება პროექტის დიზაინის მდგრად შედეგებად გარდაქმნის პროცესია.

პროექტის აღსრულების ეტაპის საბოლოო პროდუქტი **განხორციელების საბოლოო ანგარიშია** (გსა). გსა პროექტის განხორციელების შეჯამებაა, რომელიც ძირითად საქმიანობაზე, მნიშვნელოვან ცვლილებებზე და პროექტის განხორციელების პროცესში წარმოჭრილ მწვავე პრობლემებზე ყველა შესაბამის ინფორმაციას უყრის თავს.

თავისი რეალური სტრუქტურით, გსა პროექტის აღსრულების დროს მომზადებული ბევრნაირი ანგარიშების შეჯამებასაც წარმოადგენს, რომლებშიც მაკრო დონის თვალსაზრისით ზოგადად ერთი და იგივე ტიპის ინფორმაცია შედის, მაგრამ მიკრო დონეზე მათ სხვადასხვა აქცენტები აქვთ.

მაგალითად, პროექტის „შუალედური შეფასება“ ზემოქმედებაზე, შედეგებსა და რეზულტატებზე აკეთებს აქცენტს („გააკეთა თუ არა პროექტმა ის, რაც უნდა გაეკეთებინა და


მოიტანა თუ არა ამან მოსალოდნელი შედეგი?“), მაშინ როდესაც „მართვის აუდიტი“ რესურსების დანახარჯებზე, საქმიანობებსა და მიღწევებზე ამახვილებს ყურადღებას („სათანადოდ გამოიყენა თუ არა პროექტმა მისი რესურსები და მიაღწია თუ არა დაგეგმილ შედეგებს?“).

პროექტის განხორციელების ეტაპები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ჩამოთვლილი, ხოლო ნიმუშები დანართ 6-შია წარმოდგენილი.

ინსტრუმენტები	აღწერა
1. ხელშეკრულების მართვის საკონტროლო სია	მართვის საკონტროლო სია, რომელიც ხელშეკრულების მართვის საკვანძო მოთხოვნებსა და რეკომენდირებულ საკონტროლო ქმედებებს განსაზღვრავს
2. პერიოდული მონიტორინგი და საკონტროლო ანგარიში	მატრიცა, რომელიც გვიჩვენებს, თუ პროექტის შესრულების რომელი მაჩვენებლები/საკვანძო ეტაპები (ფიზიკური და ფინანსური) უნდა გაიზომოს, შეფასდეს და გაკონტროლდეს და რა ტიპის საკონტროლო ქმედებებია საჭირო და რატომ
3. წლიური მიმოხილვა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა	ჰისტოგრამა, რომელიც გვჩვენებს სამუშაო შეხვედრისთვის გეგმის შემუშავებაში ძირითადი საქმიანობებისა და დროის ერთეულების გამოვლენით, რომლებიც შეხვედრის დასაგეგმად, ჩასატარებლად და მასზე ანგარიშის მოსამზადებლად არის საჭირო
4. საშუალოვადიანი და საბოლოო შეფასების ციკლი	შეფასების ციკლი, რომელიც პროექტის შეფასების ჩასატარებლად საჭირო ძირითად ნაბიჯებს მოიცავს
5. პროექტის დასრულების საკონტროლო სია	პროექტის დასრულების საკონტროლო სია, რომელიც პროექტის დახურვის ძირითად საკითხებს მოიცავს

ცხრილი 18 პროექტის განხორციელების ეტაპის ინსტრუმენტები (წყარო: პროექტის მართვის ინსტრუმენტები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის წყლისა და ტრანსპორტის რეგიონული ინფრასტრუქტურული პროგრამა, ბუზ ალენ ჰამილტონი, USAid, 2003 წლის იანვარი).

თავი 5: პროექტის შეფასების ეტაპი



V. შეფასებისა და აუდიტის ეტაპი

შეფასება პროექტის დასრულებამდე, ან მისი დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს. იმისათვის, რომ პროექტის გრძელვადიანი ზეგავლენა და მდგრადობა დადგინდეს, შეფასებას დარგობრივი პოლიტიკის და სტრატეგიების გაუმჯობესების ხელშეწყობა შეუძლია, კონკრეტულ პროგრამაზე, რეგულაციაზე, ან სტრატეგიაზე რეკომენდაციების გაცემით.

აუდიტი მიმოიხილავს, თუ როგორ გაკეთდა დაფინანსება და უზუნველყოფს იმას, რომ ყველა გადასახადი დამფინანსებელი ორგანოს ბიუჯეტის დებულებებთან თანხვედრაში იქნა გადახდილი. აუდიტორების ფუნქცია იმის შეფასებაა, თუ რამდენად კარგად მოახდინა პროექტის სახელმძღვანელო გუნდმა ამ წესებისა და ნორმების დაცვა.

	შეფასება	მონიტორინგი
რა?	პროექტის, პროგრამის, ან სტრატეგიის ზემოქმედებისა და მდგრადობის შეფასება	პროექტის შეფასება პროექტის განხორციელების კონკრეტულ ეტაპზე, მონიტორინგის ხუთი კრიტერიუმის მიხედვით: შესაბამისობა, ეფექტურობა, ნაყოფიერება, ამ დრომდე არსებული ზემოქმედება, მდგრადობის პერსპექტივები.
რატომ?	უკუკავშირი სამომავლო დაგეგმვისთვის და პროგრამის შემუშავებისთვის	იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და საქმიანობები და შედეგები ხელს უწყობენ პროექტის დანიშნულების და საბოლოო ჯამში პროექტის ძირითადი მიზნის მიღწევას. გადაუდებელი ქმედების განხორციელება იმ შემთხვევაში, როდესაც შემოთავაზებული პროექტის შედეგები არ სრულდება.
როგორ?	საფუძვლიანი ანალიზი	შეფასების ჩატარება პროექტის განხორციელების კონკრეტულ ეტაპზე

ვინ?	გარე შემფასებლები	პროექტის მართვა (შიდა მონიტორინგი) – მონიტორინგის განმახორციელებელი გარე პირები (გარე მონიტორინგი) მონიტორინგი ბენეფიციარის მიერ
როდის?	პროექტის დაწყებამდე, შუალედური და მისი დასრულების შემდეგ	პროექტის განხორციელების დროს, უწყვეტად (შიდა), ან რეგულარული ინტერვალებით (გარე)
სფერო	პროექტი, პროგრამა, დარგი, სტრატეგია	პროექტი

ცხრილი 19 შეფასება და მონიტორინგი (წყარო: სწავლების მასალა, პროექტის პკმ ექსპერტი)

პროექტის შეფასება მისი დასრულების შემდეგ, დაეხმარება მუნიციპალიტეტებს იმის განსაზღვრაში, თუ როგორ ხდებოდა მისი მართვა, ისევე როგორც მუნიციპალიტეტისთვის და მოქალაქეებისთვის მისი საბოლოო ზემოქმედების და სარგებლიანობის შეფასებაში.

პროექტის შეფასების ეტაპი:


საჭირო ინფორმაცია:

- ✓ პროექტის მონიტორინგის ანგარიშები;
- ✓ პროექტის ანგარიშები;
- ✓ პროექტის ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;
- ✓ შეფასების ტექნიკური დავალება;
- ✓ ფინანსური დოკუმენტაცია;

ამ ეტაპის ძირითადი შედეგები

- ✓ შეფასების ანგარიში;
- ✓ მდგრადობის შეფასება;

სურათი 8 განხორციელება და მონიტორინგი (წყარო: სწავლების მასალა, პროექტის პკმ ექსპერტი)



5.1 შეფასების ძირითადი ტიპები

ზოგადად, შეფასების სამი ტიპი არსებობს: პროექტის დაწყებამდე, შუალედური და პროექტის დასრულების შემდეგ.

1. პროექტის დაწყებამდე განხორციელებული შეფასება პროგრამის, ან სტრატეგიის ფორმულირების ეტაპზე კეთდება და პროექტების შემთხვევაში, ის ძალიან იშვიათად გამოიყენება. ასეთი შეფასების ჩატარების ძირითადი მიზეზები შემდეგია:

- განსაზღვრეთ მხარდაჭერის სტრატეგიული დანიშნულება;
- დახმარება აღმოუჩინეთ პროგრამებისა და პროექტების ფორმულირებას, რომლებიც სტრატეგიული დანიშნულების მისაღწევად იქნება საჭირო;

შესაბამისად, პროექტის დაწყებამდე ჩასატარებელი შეფასება როგორც ეროვნული, რეგიონული, ან ადგილობრივი სტრატეგიის ნაწილი შეიძლება გახდეს, რომლის საფუძველზეც პროექტები შემუშავდება. მას ასევე შეუძლია *პროექტის საკონტროლო ეტაპების* დადგენა, რომლებიც გაზომავენ იმას, თუ რამდენად შესრულდა მხარდაჭერის სტრატეგიული დანიშნულება.

2. შუალედური შეფასება ზოგადად სტრატეგიის, ან პროგრამის განხორციელების შუაში კეთდება. ის შემდეგ საკითხებზე აკეთებს აქცენტს:

- რამდენად აქვს სტრატეგიას, ან პროგრამას სასურველი ზემოქმედება მის გარემოზე;
- რამდენად უწყობენ ხელს სტრატეგიის მიზნების მიღწევას სტრატეგიის ფარგლებში დაპროგრამებული პროექტები;
- რამდენად ეფექტურად და ნაყოფიერად ხორციელდება პროექტები;
- რამდენად აქვთ პროექტებს სასურველი ზემოქმედება;

შუალედური შეფასება პროგრამის, ან სტრატეგიის რეორიენტაციის საშუალებას იძლევა, პროექტის გარემო პირობებში მომხდარ ცვლილებებთან ადაპტირების მიზნით, ან თუკი შეფასების შედეგი გვიჩვენებს, რომ სტრატეგიას არ მოაქვს სასურველი ზეგავლენა.

3. პროექტის დასრულების შემდეგ განხორციელებული შეფასება პროგრამის, სტრატეგიის, ან პროექტის დასრულებიდან რამდენიმე ხანში კეთდება. ის შეიძლება დასრულებიდან ერთ, ან ორ წელიწადში ჩატარდეს, იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად მიაღწია პროგრამამ დასახულ მიზანს. შეფასება ზოგადად პროგრამის, სტრატეგიისა, ან პროექტის *ზეგავლენასა და მდგრადობაზე* იქნება ორიენტირებული. თუმცადა, შეფასების ფარგლებში ინსტრუმენტების სახით შესაბამისობის, ეფექტურობისა და ნაყოფიერების კრიტერიუმებიც უნდა იქნას გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში, ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომა შეფასების საფუძვლად გამოიყენება.

5.2 ზემოქმედება და მდგრადობა

პროექტის დასრულების შემდეგ ჩასატარებელ შეფასებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები ზემოქმედებისა და მდგრადობის კრიტერიუმებია. შეფასების სპეციალური ტიპი, რომელიც პროგრამის, ან პროექტის დასრულების შემდეგ ხორციელდება, **ზემოქმედების შეფასებით** არის ცნობილი.

ეს შესაძლოა საკმაოდ ძვირადღირებული აღმოჩნდეს, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი შეფასება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებში, ან საზოგადოებაში პროექტების, სტრატეგიების, ან პროგრამების ზემოქმედების შეფასებას ისახავს მიზნად, იმის დასადგენად, თუ რამდენად მოიტანა პროექტის განხორციელებამ რაიმე შედეგი. ზემოქმედების შეფასება შეიძლება გამოვიყენოთ:

- საქმიანობის რეზულტატის, ან ზემოქმედების გასაზომად;
- იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გამართლებულია საქმიანობის განსახორციელებლად გაწეული ხარჯები;
- იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად ღირს კონკრეტული პროგრამის, ან პროექტის გაგრძელება, შეცვლა, ან შეჩერება;
- გაკვეთილების გამოტანა სამომავლო საქმიანობის დაგეგმვის გაუმჯობესებისთვის;
- სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების ნაყოფიერების შედარებისთვის;
- ანგარიშვალდებულების გაძლიერებისთვის;

პროექტის **მდგრადობა** უფრო მარტივად შესაფასებელია, გამომდინარე იქიდან, რომ შეფასება შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად:

- რამდენად შენარჩუნდა პროექტის დანიშნულების მიღწევით მიღებული სარგებელი პროექტის დასრულების შემდეგ?
- რამდენად შეუწყო ხელი პროექტის დანიშნულების მიღწევამ პროექტის ძირითადი მიზნის შესრულებას და საბოლოო ჯამში იმ სტრატეგიას, რომლის კომპონენტსაც პროექტი წარმოადგენდა?

5.3 შეფასების პროცესი

შეფასების პროცესი მეტწილად იგივე პრინციპებს მიჰყვება, რასაც მონიტორინგის პროცესი, იმ მხრივ, რომ ის **მონიტორინგის და შეფასების ხუთ კრიტერიუმს** ეყრდნობა და უფრო დიდ აქცენტს ბოლო ორ კრიტერიუმზე აკეთებს, გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების ჩატარების დროს მათზე უფრო მეტი ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

პროექტის დასრულების შემდეგ ჩასატარებელი შეფასების შემთხვევაში, პირველი ნაბიჯი შეფასების **ტექნიკური დავალების** მომზადებაა. ტექნიკური დავალება შემდეგ ელემენტებს უნდა მოიცავდეს:

1. **ზოგადი ინფორმაცია** შესაფასებელ პროექტზე, ან პროგრამაზე
2. შეფასების **დანიშნულება**, როგორცაა:
 - სამომავლო დაგეგმვისთვის გამოსაყენებელი უკუკავშირის ინფორმაცია;

- პროგრამის, ან პროექტის რეალური ზემოქმედების კვლევა კონკრეტულ ჯგუფებზე, ან დარგებზე;
- ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული ფაქტორები, მაგ. უკუკავშირი იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად დაიხარჯა პროექტის, ან პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი რესურსები;

3. შეფასების მოსალოდნელი შედეგი, ან რეზულტატი, მაგ., ანგარიში, რეკომენდაციები, კონფერენციები, ა.შ.;

კრიტერიუმების გამოყენება შემდეგნაირად მოხდება:

- **ზემოქმედება და მდგრადობა** პროექტის ძირითად მიზანთან იქნება დაკავშირებული, კერძოდ, თუ რამდენად მოახდინა ძირითადი მიზნის მიღწევამ პროექტის, ან პროგრამის გარემოზე ზემოქმედება და დასრულების შემდგომ მათი შედეგების შენარჩუნება;
- **ეფექტურობა პროექტის დანიშნულებასთან** იქნება კავშირში და მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მიგვიყვანა შედეგებმა/რეზულტატებმა პროექტის, ან პროგრამის დანიშნულების მიღწევამდე;
- **ნაყოფიერება პროექტის შედეგებთან** იქნება დაკავშირებული და მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მოიტანა სასურველი შედეგები პროექტის, ან პროგრამის საქმიანობამ;
- **შესაბამისობა და დიზაინი** შეფასებასთან იქნება დაკავშირებული, კერძოდ, რამდენად მოაგვარა პროექტმა, ან პროგრამამ დასაწყისში არსებული რეალური საჭიროებები, ან პრობლემები;


მალიან ბევრი ინვესტიციის მოსალოდნელი სარგებელი ვერ ხორციელდება პროექტის ციკლის განხორციელების ეტაპის დასრულების შემდეგ. საკმაოდ ხშირად, პროექტები წყვეტენ სასურველი სარგებლის მოტანას, როგორც კი ფულადი სახსრები იწურება, გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის მიზნები ვერ უზრუნველყოფენ პროექტის სარგებლის გაგრძელებას და განხორციელების ეტაპზე მაჩვენებლები მხოლოდ შედეგების თვალსაზრისით არის განსაზღვრული. ამას გარდა, ბევრი პროექტი უგულებელყოფს ინსტრუქციონალურ და მართვის შესაძლებლობებს, რომლებიც პროექტის გარე დაფინანსების ამოწურვის შემდეგ სარგებლის მოტანის შესანარჩუნებლად არის საჭირო.

მდგრადობის მოსაზრებები ინფრასტრუქტურული პროექტების მიზნების ნაწილი უნდა იყოს. ქვემოთ მოცემული სურათი საკვანძო ელემენტების მოდელს წარმოადგენს, რომლებიც იმაზე ახდენენ ზეგავლენას, თუ რამდენად გაგრძელდება პროექტის მიერ სარგებლის მოტანა პროექტის განხორციელების დასრულების შემდეგ. აღნიშნული ფაქტორები კრიტიკულია პროექტის სარგებლის გრძელვადიანი მდგრადობისთვის და ისინი პროექტის ციკლის თითოეულ ეტაპზე უნდა იქნას გათვალისწინებული. ამ პარაგრაფში აღწერილი მდგრადობის ინსტრუმენტები პროექტის მენეჯერებს საკუთარ პროექტებში „მდგრადობის თვალსაზრისის“ შეტანის საშუალებას აძლევენ.

მდგრადობის დინამიური მოდელი: ძირითადი ელემენტები

ხელშემწყობი გარე გარემო

1. ხელშემწყობი გარეშე გარემო



სურათი 9 მდგრადობის დინამიური მოდელი (წყარო: პროექტის მართვის ინსტრუმენტები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის წყლისა და ტრანსპორტის რეგიონული ინფრასტრუქტურული პროგრამა, ბუზ ალენ ჰამილტონი, USAid, 2003 წლის იანვარი).

პროექტის მდგრადობაზე შემდეგი ოთხი ელემენტი ახდენს ზეგავლენას:

1. ხელშემწყობი გარე გარემო: პროექტის გამოვლენისა და მომზადების დროს, გარე გარემო მდგრადობის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს. პერიოდულ შეფასებებს პროექტის განხორციელების პროცესში გარე გარემოში ისეთი ცვლილებების გამოვლენა შეუძლიათ, რომლებსაც შესაძლოა პროექტის საქმიანობების მოდიფიკაცია დასჭირდეთ.
2. შესაბამისი რესურსები: გამძლე სარგებელი შესაბამის რესურსებზე არის დამოკიდებული (ფინანსური, ადამიანური, ბუნებრივი და ტექნიკური), რომლებიც პროექტის დასრულების შემდეგ არის ხელმისაწვდომი.
3. განგრძობადი მართვის შესაძლებლობა: განმახორციელებელმა ორგანიზაციამ საბოლოო პროდუქტი პროექტის დაინტერესებული მხარეების ცვალებად ინტერესებს უნდა მთარგმნოს.
4. განგრძობადი მოთხოვნა პროექტის მომსახურებების მიმართ: პროექტის კონკრეტულმა სარგებელმა სამიზნე მოსახლეობის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს. შესაბამისად, იმის გადაწყვეტა, თუ რომელი სარგებელი უნდა იქნას მიწოდებული, სამიზნე ჯგუფის გამოვლენაზე და მათგან უკუკავშირის მიღებაზე არის დამოკიდებული.

პროექტის დამგეგმავმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ როგორ მოხდება პროექტის გამოვლენის ადრეულ ეტაპზე მდგრადობის მოსაზრებების პროექტის თავდაპირველ კონცეფციაში ინტეგრაცია და როგორ იქნება უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ისეთი პროექტის შემუშავებაში, რომელიც სარგებლის მოტანის გაგრძელებაზე იქნება ორიენტირებული.

იხილეთ დანართი 7 პროექტის შეფასებისა და მდგრადობის ინსტრუმენტები პროექტის მდგრადობის შეფასების ანგარიშისთვის და პროექტის მართვის ინსტრუმენტები მდგრადობისთვის

დანართების ჩამონათვალი

დანართი 1 სიტუაციური ანალიზის ინსტრუმენტები

საწყისი გარემოსდაცვითი შემოწმება
ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

დანართი 2 პროექტის გამოვლენის ინსტრუმენტები

ლოგიკურ-სტრუქტურული მიდგომის ძირითადი ნაბიჯები
ინფრასტრუქტურული პროექტი ლოგიკურ-სტრუქტურული ჩარჩოს მიხედვით
პროექტის განმარტებითი ბარათი ნიკვას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის მიხედვით
პროექტის განმარტებითი ბარათის ნიმუში
პროექტის ანოტაციის მაგალითი და ნიმუში
პროექტის გამოვლენის ინსტრუმენტების მაგალითები
საპროექტო წინადადების დოკუმენტის ნიმუში
დაინტერესებული მხარეების საჭიროებები ნიკვას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის მიხედვით
დაინტერესებული მხარეების საჭიროებების შეფასება

დანართი 3 პროექტის ფორმულირებისა და შეფასების ინსტრუმენტები

ხარჯი-სარგებლის ანალიზის (ხსა) სახელმძღვანელო პრინციპები, რუმინეთი
საწყისი გარემოსდაცვითი შემოწმების ფორმა (მგფ)
ფორმულირებისა და შეფასების ეტაპის ინსტრუმენტები
საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება (სდხ)
პროექტის რანგირების მაგალითი
რისკების ანალიზი და მათი შერბილების სტრატეგიები
ქვე-პროექტის შეფასების ანგარიში (ნიკვას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტი, მგფ)
წინასწარი სოციალური მდგომარეობის შემოწმების ფორმა (მგფ)
ქვე-პროექტის შეფასების ფორმა (მგფ)
ქვე-პროექტის შემაჯამებელი ანგარიში (მგფ)

დანართი 4 წინასწარი და საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
რუმინეთის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების სახელმძღვანელო
წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შეკითხვები
ტექნიკური დავალების რეალური მაგალითი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისთვის (აჭარა)

დანართი 5 ტექნიკური დავალება (ტდ)

დეტალური პროექტის მომზადების ტექნიკური დავალება (მგფ-ის რეალური მაგალითი)
ტექნიკური დავალების სტანდარტული ნიმუში
ქ. გორში სამეფო ქუჩის რეაბილიტაციის ტექნიკური დავალების რეალური მაგალითი
ფახულანის გზის დეტალური პროექტის ტექნიკური დავალება

ტექნიკური დავალება საკონსულტაციო მომსახურებისთვის და
ზედამხედველობისთვის

ტექნიკური დავალება საქონლის შესყიდვისთვის (კომპიუტერული აღჭურვილობა, მგფ)
ტექნიკური დავალება მომსახურების შესყიდვისთვის (საოფისე მოწყობილობების
ტექნიკური მომსახურება და შეკეთება)

დანართი 6 პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები

მიღება-ჩაბარების აქტი (მგფ-ის ნიმუში)
განხორციელების საბოლოო ანგარიშის (გსა) ნიმუში
საქმიანობის კალენდარული გრაფიკი
საქართველოში მოქმედი შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპები და
მეთოდოლოგია
როგორ შევქმნათ მონიტორინგის სისტემა
პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიშის (პსეა) ნიმუში
მონიტორინგის და შეფასების კითხვები და მონიტორინგის ნიმუშები
პროექტის საკონტროლო ეტაპების ცხრილი
მონიტორინგის გეგმა და ნიმუში (მგფ)
პროექტის განხორციელების ეტაპის მართვის ინსტრუმენტების მაგალითები
პროექტის მართვის ინსტრუმენტები განხორციელებისთვის და მონიტორინგისთვის
პროექტის საწყისი ეტაპის მართვის მაგალითები
საქართველოში მოქმედი შესყიდვების წესები
პროექტის განხორციელების გეგმის (პგგ) ნიმუში
მივლინების ანგარიში (მგფ-ის რეალური ნიმუში)

დანართი 7 პროექტის შეფასებისა და მდგრადობის ინსტრუმენტები

პროექტის მართვის ინსტრუმენტები მდგრადობისთვის
პროექტის მდგრადობის შეფასების ანგარიშის ნიმუში

დანართი 8 პროექტის მართვის ტერმინების ლექსიკონი